

ჯარისკაცები ჩივიან, ხელმძღვანელობა თავს იმართლებს

A4



ქართველი არქეოლოგი ტროას შესახებ

B1



პორშე" ლე მანზე ბრუნდება

B3


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 11 ოქტომბერი, 2005 წელი. №225 (1085) | ფასი 50 თეთრი


## ამბები

### ანექსია ორ მილიარდად

ორი მილიარდი დოლარი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სანაცვლოდ - რუსულმა მედიამ საქართველოსთვის მორიგი წინადადება გაახმოვანა. "კონცეფციის" მიხედვით, რუსეთმა უარი უნდა თქვას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაზე და სტატუს კვო ოფიციალურად დააფიქსიროს. კომპენსაციის სახით კი, საქართველოს ფული შესთავაზოს.

A3

## უცხოეთი

### პოლონეთის პრეზიდენტის ვინაობა არჩევნების მეორე ტურში გაირკვევა



პოლონეთის მომავალი მმართველის სახელი კვლავ უცნობი რჩება. კვირას გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში, წინასწარი მონაცემებით, ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო ხმათა საკმარისი ოდენობის დაგროვება.

A5

## სპორტი

### ერთი შემადგენლობით თამაში სარისკოა



"რეალს" უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია და მას მიმდინარე სეზონში ჯილდოების მოგება შეუძლია.

A6

## ამინდი

| | 11/10 | 12 /10 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 23 |
| ტყიბული | 22 | 25 |
| სოხუმი | 23 | 25 |
| დმანისი | 16 | 20 |
| გორი | 17 | 21 |
| ონი | 15 | 18 |
| ზუგდიდი | 27 | 27 |
| ახმეტა | 20 | 22 |
| გაგრა | 21 | 22 |
| სამტრედია | 25 | 27 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8000 |
| ევრო | 2.1858 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.1712 |
| რუბლი | 0.0632 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| პროექტი | A 8 |
| რევიუ | B 2 |
| მეცნიერება და ტექნიკა | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# გრიპის ახალი პანდემია ცრუ განგაში თუ რეალური საფრთხე

### ფრინველის გრიპის ვირუსი აღმოჩენილია თურქეთსა და რუმინეთში

ნიკა თარაშვილი

*გრიპის პანდემიამ გასული საუკუნის დასაწყისში ევროპასა და ამერიკაში მილიონობით ადამიანი იმსხვერპლა. მანამდე უცნობ დაავადებასთან საბრძოლველად ექიმები უძლურნი აღმოჩნდნენ. აღსანიშნავია, რომ ვირუსი მუტაციას განიცდიდა და დროთა განმავლობაში ხელახალი ძალით იჩენდა თავს. საუკუნის მიწურულს გრიპის ახალი ვირუსი გაჩნდა, რომელსაც ფრინველის გრიპი უწოდეს. თავდაპირველად ამ ვირუსის მსხვერპლი, ძირითადად, შინაური და გარეული ფრინველი აღმოჩნდა. თუმცა, მოგვიანებით, მესამე ათასწლეულის დასაწყისში, ისევ და ისევ მუტაციის შედეგად, მან ადამიანთა სიკვდილიც გამოიწვია. გასული ორი წლის მანძილზე, ეს ვირუსი ერთ გეოგრაფიულ რეგიონს არ გასცილებია (ძირითადად, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნები დააზარალა) და, შესაბამისად, საქართველოს არ ემუქრებოდა. თუმცა, მიმდინარე წლის ზაფხულში ვირუსმა შეაღწია რუსეთსა და ყაზახეთშიც, ხოლო გასულ კვირას გაირკვა, რომ ვირუსი ნელ-ნელა დასავლეთისკენ მიიწევს. დაავადების პირველ ფაქტებს უკვე ჰქონდა ადგილი თურქეთსა და რუმინეთში.*



ევროკომისიამ აკრძალვა დააწესა თურქეთიდან შინაური ფრინველისა და მისი ხორცის შემოტანაზე

გაგრძელება A5 გვერდზე

# უმრავლესობა და ოპოზიცია რუსი სამშვიდობოების მომავალზე თანხმდება

### ტერმინალ "ოპიზაში" დეპუტატების ბიზნესინტერესების შესწავლაზე კი - ვერა

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტის ბიუროს გუშინდელი სხდომა საკმაოდ მშვიდად, აკადემიურად წარიმართა. თუმცა, ეს სიმშვიდე მოჩვენებთია: მიმდინარე კვირის პლენარულ სხდომებზე რამდენიმე ისეთი საკითხი განიხილება, რომლებსაც აუცილებლად ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვება.*

განსახილველი საკითხებიდან, თავისი მნიშვნელობით, პირველ ადგილზე დგას დადგენილების პროექტი "ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ", რომელიც აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას ეხება.

გაგრძელება A3 გვერდზე



დავის მთავარ საგანს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა წარმოადგენს.

# შეუშვით სახლში აგენტი

თამარ დვალი

*დღეიდან 300-მდე სოციალური აგენტი მთელი საქართველოს მასშტაბით თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება. მათი უპირველესი ამოცანა იმ ოჯახების ცხოვრების დონის შესწავლა და აღწერაა, რომლებმაც განაცხადი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში შეიტანეს. "სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამის" პრეზენტაცია გუშინ ფილარმონიის ფოიეში გაიმართა.*

გაგრძელება A2 გვერდზე



ქვეყნის პირველი ლედი სოციალური აგენტის ფორმაში.

# გავლენ თუ არა სამშვიდობოები

### ქართველი ექსპერტები პარლამენტის დადგენილების შესახებ

*ქართველი ექსპერტები თვლიან, რომ პარლამენტის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი რუსეთის სამშვიდობო ძალების საქართველოდან გაყვანის თაობაზე ვერ ამუშავდება, რადგან "პრინციპულად არასწორადაა" შედგენილი.*

სოფო ბუკია

რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ საუბრები ჯერ კიდევ მათი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის დღიდან დაიწყო. შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, ყოველ ექვს თვეში ერთხელ, ქართული მხარის მუქარის მიუხედავად, რუსეთის სამშვიდობო მისიას მანდატი კიდევ ექვსი თვით უგრძელდებოდა. 2003 წლის მარტში, შევარდნაძისა და პუტინის სოჭში შეხვედრის შემდეგ, მიღწეულ იქნა ასეთი შეთანხმება: სამშვიდობოები კონფლიქტის ზონაში დარჩებიან იმ დრომდე, ვიდრე რომელიმე მხარე მათი გაყვანის სურვილს არ გამოთქვამს.

ამგვარი სურვილი ქართულმა მხარემ დღეს უკვე დადგენილების პროექტის სახით გამოთქვა. პარლამენტის მუშა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დადგენილების პროექტს, სადაც რუსეთის სამშვიდობო ძალების საქართველოდან გაყვანაზეა საუბარი, პარლამენტი, სავარაუდოდ, დღეს დაამტკიცებს.

პარლამეტის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტში სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სამშვიდობო მისიები დიფერენცირებული მხოლოდ ვადებითაა. ანუ პარლამენტი სამხრეთ ოსეთიდან სამშვიდობოების გაყვანას 15 თებერვლამდე ითხოვს, აფხაზეთის სამშვიდობო მისიას კი ვადას ივლისამდე უგრძელებს.

დოკუმენტში არ ხდება ამ ორი მისიის დიფერენცირება მთავარი ნიშნით: ფორმატის მიხედვით. არადა, ამ ორი მისიის მოდელი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდება.

ქართულ-ოსური კონფლიქტის სამშვიდობო პროცესს ეუთო მეთვალყურეობს და სამშვიდობო მისიას იქ შერეული ქართულ-რუსულ-ოსური სამშვიდობო ძალები ახორციელებენ.

აფხაზეთში მეთვალყურეა გაერო, ხოლო სამშვიდობო ოპერაციას დსთ-ს დავალებით რუსეთი ახორციელებს.

როგორც კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, პარლამენტის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტის მთავარი წუნი სწორედ ეს არის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დეპუტატის ყოფილი მეუღლე, ფაქტობრივად, თავისუფალია

### რეალურ დამნაშავეს გამოძიება დაადგენს, - სჯერა ორივე მხარეს

*რამდენიმედღიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ პარლამენტარ გოჩა ჩახვაძის მეუღლე ეთერ ჭუმბურიძე თბილისის საოლქო სასამართლომ დარბაზიდან გაათავისუფლა. ყოფილი მეუღლის განზრახ მკვლელობის მცდელობასა და იარაღის უკანონო შეძენა, შენახვა, ტარებაში ბრალდებულმა ეთერ ჭუმბურიძემ ამ ეტაპზე ნაწილობრივი თავისუფლება მიიღო - სასამართლო კოლეგიამ იგი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გაათავისუფლა.*

თამარ კაციტაძე

საოლქო სასამართლოში ეთერ ჭუმბურიძის დაცვის მხარე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ასაჩივრებდა. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატები და ბრალდებული წინა სასამართლო პროცესზევე ამტკიცებდნენ, რომ დეპუტატის ყოფილი მეუღლე დამნაშავე არ არის და იგი მხოლოდ გავლენიანი მეუღლის მორიგი ინტრიგის მსხვერპლი გახდა, მართლმსაჯულებისთვის სარწმუნო მაინც გამოძიების არგუმენტი აღმოჩნდა. სამართალდამცველების ვერსიით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ გოჩა ჩახვაძის და მისი ახლობლების ჩვენებას ეყრდნობა, შვილების სანახავად მისულმა ეთერ ჭუმბურიძემ ყოფილ მეუღლეს "მაკაროვის" სისტემის იარაღიდან ოთხჯერ ესროლა და ოთხჯერვე ააცილა. სამართალდამცველებისთვის ჩახვაძის ჩვენებებზე დამყარებული ბრალდება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ეთერ ჭუმბურიძისთვის, როგორც განსაკუთრებით საშიში დამნაშავისთვის, წინასწარ სამითვიანი პატიმრობა მოეთხოვა. სხვათა შორის, გამოძიების იმდროინდელი მოთხოვნა აბსოლუტურად დაემთხვა დეპუტატ გოჩა ჩახვაძის სურვილს, რაც დაკმაყოფილდა კიდეც.

გაგრძელება A4 გვერდზე

# სანამ სტრატეგიული ობიექტი გაიყიდება

### სანამ კომპანიას გაყიდის, მთავრობამ დარგის რეგულირების სეგმენტი უნდა გააძლიეროს

მაია ურუშაძე

*"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" პრივატიზების წინ, პოტენციურ ინვესტორებს კომპანიის ამერიკელი მენეჯერებისთვის არაფერი უკითხავთ - არც კომპანიის შესაძლებლობების, არც მისი რენტაბელობის, არც მისი აქტივების და არც უთვალავი ვალების თაობაზე. არადა, ეკონომიკის სამინისტრომ ამ ობიექტის მიმართ ინტერესთა გამოხატულების კონკურსი უკვე დაასრულა, ხმამაღლა კი მხოლოდ ერთი დაინტერესებული მხარის ვინაობა გაჟღერდა და ისიც თავად "დაინტერესებულის" მხრიდან. არავის გაკვირვებია, რომ ეს მხარე რუსული ენერგოგიგანტი "რაო ეეს როსიი" აღმოჩნდა, რომლის გამგეობის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის (ანდრეი რაპოპორტი) თბილისური ვოიაჟი პირდაპირ - ზამთრისთვის მზადებას, ირიბად კი - სწორედ ენერგოსექტორში მოსალოდნელ დიდ პრივატიზაციას დაუკავშირდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი იმას მიანიშნებს, რომ ხელიდან კიდევ ერთი სტრატეგიული ობიექტი გვეცლება.*

გაგრძელება A3 გვერდზე

## მოკლედ

### ევროსაბჭოს კატეგორიული მოთხოვნა

ევროსაბჭო საქართველოს პარლამენტისაგან ეროვნული უმცირესობებისათვის ჩარჩო კონვენციის მიღებას დაჟინებით და კატეგორიულად, უმოკლეს ვადებში მოითხოვს.

პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ელენე თევდორაძის განცხადებით, პარლამენტი ძალიან ცუდ დღეშია ჩავარდნილი. ევროსაბჭოს წარმომადგენლები სექტემბერში უნდა ჩამოსულიყვნენ საქართველოში ვიზიტით, თუმცა, ქართველი დეპუტატების აქტიური ჩარევით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელთა ვიზიტი ნოემბრისთვის გადაიდო, სწორედ იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტს მოესწრო და ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენციის და ეროვნული უმცირესობების ენების შესახებ კონვენციების რატიფიკაცია მოეხდინა. "თუმცა, საქართველოს პარლამენტმა ვერც ერთი ვალდებულება ვერ შეასრულა," - აღნიშნა თევდორაძემ.

საქართველოს პარლამენტი იმ დათქმების დათმობას მოითხოვს, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეროვნულ უმცირესობათა კონვენციასთან დაკავშირებით შეიმუშავა. თუმცა, როგორც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გაირკვა, აღნიშნული დათქმები საგარეო საქმეთა სამინისტროდან პარლამენტში წარმოდგენილი ჯერ კიდევ არ არის. **ინტერპრესნიუსი**

### სომხეთი ოფიციალურ თბილისს სამცხე-ჯავახეთში სიფრთხილისკენ მოუწოდებს

ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში სომხეთის პრეზიდენტის თანაშემწე გარნიკ ისაგულიანი აცხადებს, რომ სამცხე-ჯავახეთთან ურთიერთობის დროს საქართველოს ხელისუფლებამ თავშეკავება უნდა გამოიჩინოს.

"ყველაზე პატარა პროვოკაციაც კი, შესაძლოა, ამ რეგიონში ფართომასშტაბიან შეტაკებაში გადაიზარდოს, ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ მეტი სიფრთხილე და ყურადღება უნდა გამოიჩინოს," - აცხადებს გარნიკ ისაგულიანი. როგორც ცნობილია, 5 ოქტომბერს ახალქალაქის კომერციული მაღაზიების მეპატრონეებმა და მათმა მომხრეებმა გამგეობის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი ფინანსური პოლიციის მიერ სავაჭრო ობიექტების დახურვას აპროტესტებდნენ. ფინანსურმა პოლიციამ ეს ობიექტები ბიუჯეტისთვის გადასახადების დამალვის გამო დალუქა. საპროტესტო აქციის დროს პოლიციამ, რომელიც წესრიგს იცავდა, ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა, რამაც შეკრებილ მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია.

პრეზიდენტ სააკაშვილის შეფასებით, ქართული პოლიცია, რომელიც მოწოდების სიმაღლეზეა, კონტროლს ამყარებს იმ რეგიონებში, სადაც ადრე უკონტროლობა შეინიშნებოდა. "ყველანაირი არეულობის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდება," - განაცხადა მან. **მედიანიუსი**

### ბათუმის ნავთობტერმინალზე გადაზიდვები შემცირდება

ბათუმის ნავთობტერმინალით გადაზიდული ნავთობის მოცულობა ოქტომბრის ბოლოდან მნიშვნელოვნად შემცირდება. როგორც ნავთობტერმინალის წარმომადგენელმა გიორგი ხარაზიშვილმა განაცხადა, BTC კონსორციუმის წევრი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ოპარატორი კომპანიები, მათ შორის - BP, "სტატოილი" და "ექსონი", აზერბაიჯანიდან ნავთობის ტრანსპორტირებას, ბათუმის ტერმინალის ნაცვლად, ძირითადი საექსპორტო მილსადენით განახორციელებენ. ხარაზიშვილი აღნიშნავს, რომ ეს კომპანიები აზერბაიჯანის ნავთობის საბადოს "აზერ ჩინალ გინშლის" მსხვილი აქციონერები არიან. ხარაზიშვილის ინფორმაციით, ყოველთვიურად ბათუმის ნავთობტერმინალით 900 000 ტონა ნავთობი გადაიტვირთება, საიდანაც 400 000 ტონა აზერბაიჯანულ ნავთობზე მოდის.

ხარაზიშვილი არ გამორიცხავს, რომ პირველ ეტაპზე ტერმინალზე აზერბაიჯანული ნავთობის წილი განახევრდეს. ამასთან, მისივე თქმით, ეს მაჩვენებელი რამდენიმე თვეში შესაძლოა ძველ ნიშნულს დაუბრუნდეს, რადგან "აზერ ჩინალ გინშლიზე" ნავთობის მოპოვების გაზრდა იგეგმება. ღონისძიებას საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტები დაესწრებიან. მილსადენის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები 500 მილიონი დოლარით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა დააფინანსეს. მისი კრედიტორები არიან ECDG, A\SACE, HERMES, Ex-Lm,Bank, OPIC, City Group, Royal Bank of Scotland. პროექტის მთლიანი ღირებულება 3,5 მილიარდი დოლარია. **პრაიმ-ნიუსი**

### "წინ საქართველოს" თავისუფალი აზრის დარბაზობა

"ან საქართველოში მცხოვრები ყველა ოჯახი მიიღებს საარსებო მინიმუმს ან ეს ხელისუფლება აღარ იქნება." ამ განცხადებით დაიწყო კინოს სახლში საზოგადოებრივი მოძრაობა "წინ საქართველოს" წევრების შეკრება. თუმცა უმუშევრობისა და სოციალური პრობლემების გარდა დარბაზში გამომსვლელები მთავრობის პრივატიზაციის პოლიტიკაზე და საქართველოში ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობაზეც აქტიურად კამათობდნენ. სხდომას "წინ საქართველოს" ახალი "სახე" ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია უძღვებოდა. დარბაზში ხმაური მოჰყვა "სახალხო ფრონტის" თავმჯდომარის ნოდარ ნათაძის მოხსენებას მიწის კანონის შესახებ. მისი განცხადებით: "საქართველოს მიწა არაქართველ მოსახლეობაზე არ უნდა იყიდებოდეს." ნათაძის ამ განცხადებას, "წინ საქართველოს" ერთ-ერთი დამაარსებლის, აზერბაიჯანული ეროვნების ალი ბაბაევის პროტესტი მოჰყა. ამის გარდა ბაბაევი უმოქმედობაში ლევან ღვინჯილიასაც ადანაშაულებდა. ცხარე კამათი მოძრაობის ლიდერის თემურ შაშიაშვილის ჩარევის შემდეგ მიწყნარდა. "დარბაზობის" ბოლოს მოძრაობის წევრებმა აღიარეს, რომ ერთმანეთთან კამათით არა თუ საქართველო, მათ საზოგადოებრივი მოძრაობაც კი ვერ წავა "წინ". **24 საათი**

### გამრიცხველიანება გრძელდება

"საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" მალე წალენჯიხის ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას დაიწყებს. როგორც "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" განაცხადეს, ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი ზაჰესში მალე დასრულდება, ქუთაისში, ბორჯომში, ფოთსა და ზუგდიდში კი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. **ინტერპრესნიუსი**




### ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი" აცხადებს კონკურსს წამყვანის თანამდებობაზე

**მოთხოვნები**

- ასაკი - 25-დან 40 წლამდე;
- სასიამოვნო გარეგნობა;
- სასიამოვნო ხმის ტემბრი;
- ქართული ენის სრულყოფილი ცოდნა;
- უცხო ენის ცოდნა (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- გამართული მეტყველება;
- უმაღლესი განათლება;
- ეთერში მუშაობის გამოცდილება (სასურველია, მაგრამ არა აუცილებელი);
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელობა;
- გუნდური მუშაობის უნარი.

მსურველებმა ს.ს.ი.პ. "საზოგადოებრივი მაუწყებელი"-ს მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ 3 ფოტო (9X13) პორტრეტი, სამ სხვადასხვა რაკურსში. ანკეტების მიღება იწარმოებს 21 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68

# ბიზნესმენებს ახალი საბაჟო კოდექსი გააცნეს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ ბიზნესმენებისგან ახალ საბაჟო კოდექსთან დაკავშირებით შენიშვნები მოისმინა. ახალი საბაჟო კოდექსი სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა წარადგინა.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, ახალი კოდექსის ძირითადი მიზნები ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა და ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერაა. ახალი საბაჟო კოდექსის ძირითადი მიმართულებები საბაჟო პროცედურების გამარტივება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია და საბაჟო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. მისივე თქმით, მოხდება ადმინისტრირების მაქსიმალური ლიბერალიზაცია.

2007 წლის პირველი იანვრიდან ყველა კეთილსინდისიერ დეკლარანტს ექნება საბაჟო ვალდებულებების გადავადების უფლება ერთ თვემდე, რაც აქამდე არ ჰქონდა. ასევე, საბაჟო კონტროლის ზონაში კანონმდებლობით გათვალისწინებულ კონტროლს განახორციელებს მხოლოდ საბაჟო ორგანო და სადავო საკითხების განხილვის ვადა შემცირდება. კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს სისტემა ყველა სადავო საკითხს, მაქსიმუმ, ორი თვის ვადაში განიხილავს. იგულისხმება საბაჟო ორგანო, საბაჟო დეპარტამენტი და ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო.



ნოღაიდელი ბიზნესმენებს შენიშვნების გათვალისწინებას დაჰპირდა.

რაც შეეხება ბიზნესმენებს, მათ საბაჟო კოდექსში შემდეგი შენიშვნები წარადგინეს: მათი აზრით, ნავთობპროდუქტების დანაკარგები არ უნდა იბეგრებოდეს, ასევე, არ უნდა იბეგრებოდეს წიგნები, რომელიც არაკომერციული დანიშნულებით შემოდის საქართველოში, მაგალითად, ბიბლიოთეკებისა და სხვადასხვა სასწავლებლებისთვის.

ნოღაიდელის განცხადებით, ბიზნესმენების შენიშვნებს ახალ საბაჟო კოდექსთან დაკავშირებით, მთავრობა განიხილავს.

შეგახსენებთ, რომ ახალი საბაჟო კოდექსის დამტკიცება მომავალი წლის დასაწყისისთვის იგეგმება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# კანონი "მეწარმეთა შესახებ" ისევ ცვლილებებს ელის

*დღეს სასტუმრო "თბილისი მარიოტში" "მეწარმეთა კანონის" შესწორებების ერთობლივი საბოლოო ვერსიის განხილვის მიზნით საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC), გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს მთავრობის, ბიზნეს-ასოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მრგვალი მაგიდის ირგვლივ იკრიბებიან. აღნიშნული ორგანიზაციები იმ მუშა ჯგუფში არიან გაერთიანებული, რომელიც "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში არსებული ხარვეზების აღმოფხვრასა და მისი ევროპის კანონმდებლობასთან ჰარმონიზებაზე მუშაობენ.*

ნინო ნარჩემაშვილი

1994 წელს მიღებული საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოს საქმიანობას არეგულირებს. სამუშაო ჯგუფმა ამ კანონის პირველი ამომწურავი რეფორმის განსახორციელებლად ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო მუშაობა. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების მნიშვნელოვანი შედეგი კი საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა უნდა გახდეს. **"ჩვენ გვსურს პოტენციურ უცხოელ ინვესტორებს მოვუხსნათ ეჭვები და პრობლემები ქართულ სამეწარმეო სამართალთან დაკავშირებით. ინვესტორებს სჭირდებათ მათი უფლებების დაცვის უნივერსალურად გავრცელებული მექანიზმები და ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რაც გააიოლებს ინვესტიციების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებას"** - აღნიშნავენ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში.

მნიშვნელოვანია, რომ კანონი გასაგები უნდა იყოს მეწარმეებისთვის, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, თავისუფლად მიიღონ გადაწყვეტილებები იმ სფეროში, რომელიც რეგულირებას არ საჭიროებს, მაგრამ ამავე დროს უნდა გამოირიცხოს კანონის სავალდებულო მოთხოვნებისაგან თავის არიდების შესაძლებლობა.

საქართველოში შემუშავებული "მეწარმეთა შესახებ კანონი" გერმანიის სამეწარმეო სამართალს ეფუძნება, თუმცა არაერთი დებულება და პრინციპი იქნა გამოტოვებული, ზედმეტად შემცირებული ან თარგმანში დაკარგული. IFC-ში აღნიშნავენ, რომ **"კანონის დებულებათა მნიშვნელობის განმარტების სირთულე ხელს უშლის როგორც მეწარმეთა საქმიანობას, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობასა და სისწორეს".**

რაც შეეხება დღევანდელ მრგვალ მაგიდაზე განსახილველად გამოტანილ ცვლილებებს - როგორც მისი ავტორები აცხადებენ, ფაქტობრივად მთლიანად შეიცვალა და დაიხვეწა დებულებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ლიკვიდაცია, გარდაქმნა და რეორგანიზაცია. მეწარმეებს შეძლებისდაგვარად მიეცემათ საშუალება, აირჩიონ არა კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების ბრმად მიყოლა, არამედ წესდებაში მათგან გადახვევა და ინდივიდუალურად უფრო მოსახერხებელი რეჟიმის შექმნა. მათივე თქმით, მომზადებული კანონპროექტი ასახავს საკორპორაციო სფეროში ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს, რითაც ის უფრო გასაგები და მისაღები გახდება ინსტიტუციონალური ინვესტორებისთვის და შეესაბამება საქართველოს მისწრაფებას ევროკავშირში ინტეგრაციისაკენ.

IFC-ში იმასაც აღნიშნავენ, რომ სამუშაო ჯგუფში კერძო სექტორის, სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციათა თანამშრომლობის არსებობა ნაყოფიერი გამოდგა. თუმცა საბოლოო შედეგს მხოლოდ მისი რეალურ ცხოვრებაში დანერგვა უჩვენებს.

# შეუშვით სახლში აგენტი

პირველი გვერდიდან

**ქვეყანა**, სადაც სიღატაკის საერთო მაჩვენებელი მოსახლეობის 10 პროცენტით განისაზღვრება.

**დრო**, რომელმაც ყველა რეზერვი ამოწურა.

**ვითარება**, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებს გამოსწორებას, - ასეთია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც გუშინდელ პრეზენტაციაზე კიდევ ერთხელ გააჟღერეს.

დღემდე სახელმწიფოში არ არსებობდა ოფიციალური მონაცემები, თუ რამდენი ადამიანი იყო სიღატაკის ზღვარს მიღმა. 29 ივლისიდან მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელწიფო პროგრამის ფარგლებში, სოციალური დახმარებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტომ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის მსურველი ოჯახების განაცხადების მიღება დაიწყო. დღეისთვის საქართველოს მასშტაბით მოქმედებს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ ფორმირებული 1 150-მდე საკომუნიკაციო პუნქტი. ამ დროისთვის აღრიცხულია 153 000 მაძიებელი ოჯახის განაცხადი.

ოქტომბრიდან განაცხადების მიღების პარალელურად პროგრამაში ერთვებიან სააგენტოს სოციალური აგენტები, რომლებიც დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით უზრუნველყოფენ მაძიებელი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას.

**"ეს პროგრამა გვაძლევს სახელმწიფო რესურსების ოპტიმალურად გამოყენების საშუალებას. პროგრამის უმთავრეს მიზანს საზოგადოების ულატაკესი ფენის გამოვლენა და მისთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენა წარმოადგენს. ახალი პროგრამა გაწერილია 10 წელზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ძირეულად შეიცვლება ქვეყნის სოციალური ვითარება, ანუ სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები აღარ იარსებებენ,"** - განაცხადა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა **ვლადიმერ ჭიპაშვილმა**. გუშინ მინისტრმა საპატიო "სოციალური აგენტის" სტატუსი საქართველოს პირველ ლედის სანდრა რულოვსსაც მიანიჭა. მას შემდეგ, რაც ქალბატონ სანდრას სოციალური აგენტის ფორმა გადასცეს, მან აღნიშნა, რომ სიტყვა "აგენტი" ცუდად ჟღერს და იქნებ ამ სახელწოდების შეცვლაზეც ეფიქრათ.

**"დღეს არის გარდამავალი ეტაპი. იმედია, რამდენიმე წლის შემდეგ იმდენად მაღალი ხელფასები და პენსიები იქნება ჩვენს ქვეყანაში, რომ სიღატაკის ზღვარს მიღმა აღარავინ აღმოჩნდება. მე დიდი ხანია, ამ სფეროში ვმუშაობ და ვიცი, თუ რაოდენ ძნელია დაადგინო სინამდვილეში ვინ არის ყველაზე მეტად გაჭირვებული,"** - აღნიშნა პრეზენტაციაზე მისულმა სანდრა რულოვსმა.

როგორც სოციალური დაცვისა და დასაქმების სააგენტოს წარმომადგენელმა მამუკა ნადარეიშვილმა გვითხრა, დღეიდან 300-მდე სოციალური აგენტი საველე სამუშაოებს შეუდგება. მათ უნდა გადაამოწმონ იმ ოჯახების ცხოვრების დონე, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი ერთიან ბაზაში მოხვედრილიყვნენ. სოციალური აგენტები შეისწავლიან ოჯახის ქონებრივ, სოციალურ და დემოგრაფიულ მდგომარეობას. სპეციალური ფორმულაა შემუშავებული, რომელიც დეკლარაციის საფუძველზე გარკვეულ ქულას მიანიჭებს ოჯახს.

სწორედ ეს "სარეიტინგო ქულა" იქნება განმსაზღვრელი, მიიღებს თუ არა ოჯახი იმ დახმარებას, რომელსაც ცალკეული სოციალური პროგრამა ითვალისწინებს. მონაცემთა ბაზაში რეგისტრაცია მოსახლეობისთვის არის წინაპირობა და არა გარანტია სოციალური დახმარების მისაღებად.

# მოსალოდნელი ცვლილებები

## ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში

*2005 წლის დასაწყისიდან დღემდე თბილისის მთავრობამ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მუნიციპალური პროგრამების დაფინანსება მილიონ 160 ათასი ლარით შეამცირა. მომავალი წლისთვის ასეთი ტენდენცია ჯერჯერობით არ იგეგმება. თუმცა, აღნიშნულ სფეროში სერიოზული, ზოგიერთი სამედიცინო დაწესებულებისთვის მტკივნეული ცვლილებებია მოსალოდნელი.*

ნანა ქადაგიშვილი

წლევანდელ ბიუჯეტში წლის დასაწყისისთვის ქალაქის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის 99 პროგრამის დასაფინანსებლად 21 მილიონ 700 ათასი ლარი იდო. რვა თვის განმავლობაში, როცა თბილისის მერია-საკრებულოს ხარჯები მილიონ 280 ათასი ლარით გაიზარდა, აღნიშნული პროგრამების დაფინანსება მილიონ 160 ათასი ლარით შემცირდა. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში კი გაჭირვებული მოქალაქეების ათასობით დაუკმაყოფილებელი განცხადება უჯრებში აწყვია. თუმცა, პრობლემას მხოლოდ უსახსრობა როდი ქმნის. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროსთვის განკუთვნილი დაფინანსება უფრო ეფექტურად რომ იყოს განაწილებული, სახელმწიფო დახმარებით მეტი უმწეო ადამიანი ისარგებლებდა.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამათა შორის უმწეოთა დახმარების მუნიციპალური პროგრამაზე ყოველთვის განსაკუთრებული მოთხოვნილება იყო. ამ პროგრამით უმწეო მოქალაქეების სამედიცინო დახმარება და მედიკამენტები ფინანსდება. წლევანდელ ბიუჯეტში აღნიშნული პროგრამისთვის 2 მილიონ 970 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. ეს თანხა რვა თვეში ამოიწურა და დახმარება 14 327 მოქალაქეს გაეწია. ბევრი მათზე გაჭირვებული ადამიანი კი საკუთარ რიგს ისევ უცდის. როგორც ჯანმრთლეობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის ახალი ხელმძღვანელი **მამუკა ქაცარავა** აცხადებს, ამ 2 მილიონ 970 ათასი ლარის უფრო ეფექტურად განაწილება შეიძლებოდა.

უმწეოთა დახმარების მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში სამედიცინო დახმარების მისაღებად ერთ-ერთი ყველაზე საჭირო დოკუმენტი უმწეობის დამადასტურებელი ცნობაა. ამ ცნობას მოქალაქეები საკუთარი რაიონების გამგეობებიდან იღებენ. აღნიშნული ცნობის აღება კი არც ისე ძნელია, რადგან არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმი, ორ გაჭირვებულ ადამიანს შორის უპირატესობა რომელს მიენიჭოს. შესაბამისად, სახელმწიფოსგან ფულადი დახმარებაც იმ მოქალაქეს ერგება, ვინც გამგეობაში განცხადების შეტანასა და აღნიშნული ცნობის აღებას სხვაზე, თუნდაც მასზე გაჭირვებულზე, ადრე მოასწრებს. ამას ემატება ტელეფონის ზარები "ზემოდან". ამ ყველაფრის შედეგი კი საბიუჯეტო თანხების ულიმიტოდ ხარჯვა და დახმარების გარეშე დარჩენილი ათასობით უმწეოა.

აღნიშნულის გარდა, მომავალი წლიდან, შეიძლება, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსების განაწილების პრინციპიც შეიცვალოს, რაც ზოგიერთ სამედიცინო დაწესებულებისთვის, ალბათ, არასასიამოვნო იქნება. **"აბსოლუტურად ყველა პროგრამის შემსრულებელ ორგანიზაციას მოვთხოვ შედეგებს და პროგრამების მომავალი წლის ბიუჯტს ამ შედეგების მიხედვით განვსაზღვრავ,"** - აცხადებს ქაცარავა. იგი არ გამორიცხავს, რომ შედეგების გადახედვას ზოგიერთი პროგრამის დაფინანსების შემცირება მოჰყვება. მაგალითად, ურგენტული ამბულატორული (ტრამვების) პროგრამისთვის წლევანდელ ბიუჯეტიდან 400 ათასი ლარია გამოყოფილი. ეს პროგრამა ნებისმიერი ეკომონიური შეძლების მოქალაქისთვის ტრავმის დროს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას ითვალისწინებს. ასეთი სამედიცინო დახმარების ღირებულება 25-35 ლარია. **"ამ თანხის გადახდა მოქალაქეთა უმრავლესობას შეუძლია. უფრო ეფექტური იქნება, ეს 400 ათასი ლარი მივმართოთ ისეთ პროგრამაზე, რომლითაც უმწეო მოქალაქები ისარგებლებენ; ან დავაფინანსოთ ისეთი დაავადებები, რომელთა ღირებულების გადახდა შეძლებული მოქალაქისთვისაც კი ხელმიუწვდომელია,"** - აცხადებს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

სავარაუდოდ, ურგენტული პროგრამის ბედი მოელის საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამებსაც. **"მეეჭვება, ამ პროგრამების განმხორციელებელი ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაო იმდენად ეფექტური აღმოჩნდეს, რომ მათი ამ ოდენობით დაფინანსება ღირდეს,"** - მიაჩნია ქაცარავას. ნაკლებეფექტური პროგრამების დაფინანსების შემცირების ხარჯზე გამოთავისუფლებული თანხები კი უმწეოთა დახმარების პორგრამას მოხმარდება.

საბიუჯეტო თანხების მიზნობრივი ხარჯვის მისაღწევად კიდევ ერთი პრობლემის მოგვარებაა საჭირო. სამედიცინო დაწესებულებები, სადაც სახელმწიფო პროგრამები ხორციელდება, ხშირად, კუთვნილზე მეტ თანხას იღებენ. ექიმები ავადმყოფების მდგომარეობას განგებ ართულებენ, რათა სახემწიფოსგან მეტი თანხა მიიღონ. ჯანდაცვის სამინისტრომ ამ პრობლემის მოგვარება სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიის ხელით სცადა. ყოველ სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც სახელმწიფო პროგრამა ხორციელდება, სადაზღვეო კომპანიის ერთი წარმომადგენელი მიამაგრა. თუმცა, ეფექტი არც ამან გამოიღო, რადგან საავადმყოფოს ხელმძღვანელობას კომპანიის წარმომადგენელთან ურთიერთობის დარეგულირება არ გასჭირვებია. ჯანმრთეობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ახალი ხელმძღვანელობა სამინისტროს სთავაზობს გამოსავალს - სახელმწიფო პროგრამის მცირე წილი კერძო კომპანიას მიჰყიდოს და სამედიცინო დაწესებულებებში გადარიცხული თანხების ხარჯვა მასაც გააკონტროლებინოს.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სეპარატისტული ცხინვალის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრი ბორის ჩოჩიევი აცხადებს, რომ შერეული საკონტროლო კომისიის სხდომა მოსკოვში 20-21 ოქტომბერს გაიმართება. "ჩვენ ამის შესახებ საქართველოში ეუთოს მისიის წარმომადგენელთან როი რივთან შეხვედრის დროს შევთანხმდით. მან პირობა მოგვცა, რომ ამის შესახებ ქართულ მხარესთან თანხმობას მიაღწევდა," - განაცხადა ბორის ჩოჩიევმა. მისივე თქმით, ქართული მხარე პირდაპირ კონტაქტზე არ გამოდის. "ჩვენს ზარებს ჯერჯერობით რეაგირების გარეშე ტოვებენ," - აცხადებს ბორის ჩოჩიევი. როგორც ცნობილია, შერეული საკონტროლო კომისიისა და შერეული სამშვიდობო ძალების ფორმატზე ქართულმა მხარემ უარი განაცხადა. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები სამშვიდობო ფორმატის რადიკალურად შეცვლას ითხოვენ. რაც შეეხება ოს სეპარატისტებს, მათი ლიდერი ედუარდ კოკოითი აცხადებს, რომ კომისიის სტატუსი უნდა გაიზარდოს და მასში ის პირები გაწევრიანდნენ, რომლებიც გადაწყვეტილებების განხორციელებაზე პასუხისმგებელნი იქნებიან. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-აფხაზურ საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი ირაკლი ალასანია სოჭში აფხაზური ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულ არაოფიციალურ შეხვედრას ნაყოფიერს უწოდებს. ირაკლი ალასანიას, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას და "პრეზიდენტ" სერგეი ბაგაფშის მრჩეველ სოკრატ ჯინჯოლიას შორის გამართულმა შეხვედრამ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების საკითხებზე მხარეთა შორის აზრთა ურთიერთგაცვლის თვალსაზრისით, ნაყოფიერად ჩაიარა. 8-9 ოქტომბერს, სოჭში ვიზიტისას, ქართულ-აფხაზურ საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელი ირაკლი ალასანია სოჭში მცხოვრებ დევნილთა დიასპორის წარმომადგენლებს რამდენჯერმე შეხვდა და მათთან ერთად, სოჭსა და ადლერის რაიონში მცხოვრებ დევნილთა სოციალური და სხვა სახის პრობლემები განიხილა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის მერის მოვალეობის ყოფილმა შემსრულებელმა ბესიკ გულორდავამ სამუშაო კაბინეტი დატოვა. "მე სკამისათვის არ ვიბრძვი, უბრალოდ, გული მწყდება, რომ ახალგაზრდა რეფორმატორებს შეთქმულება მოუწყვეს," - განაცხადა გულორდავამ. მან საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდა, ქალაქი კრიმინალებს არ ჩაუგდოს ხელში. გულორდავა სარჩელს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შეიტანს, რითაც საკრებულოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება ყარაჩაი-ჩერქეზეთის ბიზნესწრეებს - აფხაზეთის ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადებას, მოსახლეობას - აფხაზეთის მოქალაქეობასა და საცხოვრებელი ფართის უპრობლემოდ შეძენას ჰპირდება. ამის შესახებ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა სერგეი ბაგაფშმა ყარაჩაი-ჩერქეზეთში ვიზიტისას, ნალჩიკში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, რომელშიც მონაწილეობა ყარაჩაი-ჩერქეზეთის პრეზიდენტმა მუსტაფა ბატდიევმა მიიღო. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სოჭი-ინგირის ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი რუსი, ქართველი და აფხაზი რკინიგზელების სამუშაო ჯგუფების შეხვედრა, რომელზეც მხარეთა წარმომადგენლებმა საქართველო-რუსეთის რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენისთვის საჭირო თანხა უნდა განსაზღვრონ, სოხუმში, სავარაუდოდ, 17-23 ოქტომბერს გაიმართება. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის ლეონიდ ლაკერბაიას ინფორმაციით, რუსმა და აფხაზმა რკინიგზელებმა სოჭი-ინგირის რკინიგზის მონაკვეთის ტექნიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული მასალების დამუშავება 1 ოქტომბრისთვის დაასრულეს. 17-23 ოქტომბერს დაგეგმილ შეხვედრაზე კი მხარეებმა აღნიშნული მონაკვეთის აღდგენისთვის საჭირო ფინანსებზე უნდა იმსჯელონ და მისი ოდენობა განსაზღვრონ. ქართული მხარის საპროტესტო განცხადებების მიუხედავად, აფხაზურმა მხარემ დაარღვია მხარეებს შორის 2005 წლის 19 ივლისს სოხუმში მიღწეული შეთანხმება და სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის მდგომარეობა ქართველი რკინიგზელების გარეშე, რუსულ მხარესთან ერთად შეისწავლა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მემარჯვენე ოპოზიცია" საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს ითხოვს. ამ მიზნით, ფრაქციის წევრები საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელს შეიტანენ და, პარალელურად, პარლამენტის წინაშე საკანონმდებლო ინიციატივით წარდგებიან. მათი ინიციატივის თანახმად, საარჩევნო სიები საუბნო კომისიებმა უნდა დაადგინონ და ამ საკითხში ცესკო არ უნდა ჩაერიოს. "როგორც წესი, საუბნო კომისიები ნორმალურ სიებს ადგენენ, თუმცა შემდეგ ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან სულ სხვა სიები მოდის და ამომრჩეველი ხმის მიცემის უფლებას კარგავს. ამიტომაც, ჩვენი ინიციატივის მიხედვით, საარჩევნო სიებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ საუბნო კომისიებმა უნდა აიღონ," - განაცხადა ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრმა ფიქრია ჩიხრაძემ. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# გავლენ თუ არა სამშვიდობოები

პირველი გვერდიდან

**"თუკი ჩვენ სამშვიდობოების გაყვანა გვინდა, ერთი დადგენილებით ეს არ მოხდება. თავისთავად პარლამენტის ეს ინიციატივა კარგია, მაგრამ მათ, ვინც ამ დოკუმენტზე მუშაობს, ვურჩევდი, უფრო კვალიფიციურად და პროფესიონალურად მოეკიდონ საქმეს. მთელი ყურადღება ამჯერად ოსეთზე უნდა იყოს მიმართული, ამ ეტაპზე ეს არის მთავარი პრობლემა. აფხაზეთი უფრო ძნელი საქმეა და თუ ჩვენ მოვერევით ოსეთის საკითხს, აფხაზეთის საკითხიც უფრო გაადვილდება,"** - აცხადებს ზაქარეიშვილი.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ პირველ რიგში დაგომისში ხელმოწერილ ხელშეკრულებას უნდა გადახედოს, რომელიც ცხინვალში სამშვიდობო ფორმატს განსაზღვრავს. **"საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს ხელშეკრულება ეჭვქვეშ უნდა დააყენოს და რუსეთს მოსთხოვოს მისი ერთობლივად გადახედვა,"** - აცხადებს იგი.

თუმცა, როგორც ზაქარეიშვილი ამბობს, დაგომისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით შეიძლება საქართველო კიდევ ერთ სერიოზულ პრობლემას წააწყდეს. **"ეჭვი მეპარება, რომ დაგომისის ხელშეკრულება საერთოდ არ არის რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ. მე ჩემს დოკუმენტებში ასეთი რამე ვერ მოვიძიე. თუ ეს ასეა, მაშინ სრულ განუკითხაობასთან გვაქვს საქმე. ასეთ შემთხვევაში, პარლამენტს არ შეუძლია რეაგირება მოახდინოს დოკუმენტზე, რომლის რატიფიცირება ჯერ არ განუხორციელებია. გამოდის, რომ ყველაფერი პოლიტიკურ ნებაზეა დაყდნობილი და არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს,"** - აღნიშნავს ზაქარეიშვილი.

ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის თაობაზე კრემლთან შეთანხმებას მიაღწია, იმაზე მეტყველებს, რომ დიდი პოლიტიკა სასიამოვნო სიურპრიზებისგან დაზღვეული არ არის.

თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამ შემთხვევაში სიურპრიზებთან საქმე არ გვექნება. **"არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ბაზებით სპეკულირება. ბაზების გაყვანის სამართლებრივი საფუძველი იყო არა პარლამენტის დადგენილება, არამედ ეუთოს სამიტი 1999 წლის ნოემბერში. პარლამენტმა ამ გადაწყვეტილების ამოქმედების დადგენილება მიიღო, ახალი არაფერი გაუკეთებია,"** - აღნიშნავს ზაქარეიშვილი. მისი აზრით, სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი ალიაქოთი პარლამენტის დადგენილებით დასრულდება. **"პარლამეტი ალბათ მიიღებს ამ დადგენილებას, მაგრამ სავარაუდოდ საქმე აქ მორჩება, რადგან დოკუმენტი პრინციპულად არასწორადაა შედგენილი,"** - აღნიშნავს ზაქარეიშვილი.

როგორ განვითარდება მოვლენები იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ტერიტორია რუსმა სამშვიდობოებმა დატოვეს? მოხდება რუსი სამშვიდობოების სხვებით ჩანაცვლება თუ ამოქმედდება ცეცხლის შეწყვეტის ორმხრივი რეჟიმი ანუ ყარაბაღის ვარიანტი?

როგორც პოლიტოლოგი დავით დარჩიაშვილი აცხადებს, ამის პროგნოზირება შეუძლებელია. **"ქართულ მხარეს გასაგები მიზეზების გამო არ აკმაყოფილებს სამშვიდობო მისიის მოღვაწეობა, თუმცა, და ეს განსაკუთრებით ეხება აფხაზეთს, იქ მისიის მიერ მანდატის შეუსრულებლობა ცოტა ძნელი დასამტკიცებელია. ამ მისიებს პოლიციური მანდატი არა აქვთ. მათ წესრიგის დამყარება, მით უმეტეს, რაღაც იურისდიქციის შეცვლა-აღდგენა არ აბარიათ. მათი მიზანია მხარეების დაშორიშორება... რაც შეეხება მსოფლიოში არსებულ პრეცედენტებს, შედარებით მშვიდობიანი მოდელია ყარაბაღი,"** - აღნიშნავს დარჩიაშვილი.

პაატა ზაქარეიშვილის თქმით, რუსი სამშვიდობოების სხვა ქვეყნის სამშვიდობო კონტინგენტით ჩანაცვლება გამორიცხულია, **"ეს არის პოლიტიკური მოლაპარაკების საკითხი, ამას რუსეთი არასოდეს დაუშვებს. არც ერთი სახელმწიფო არ შემოვა იქ, სადაც რუსეთის ინტერესებია,"** - აცხადებს იგი.

ექსპერტები თვლიან, რომ აღნიშნულ ინიციატივაში საქართველოს უცხოელი მეგობრების მხარდაჭერის იმედი ნაკლებად უნდა ჰქონდეს.

დარჩიაშვილის თქმით, **"უცხოელი პარტნიორები შეიძლება მოკრძალებული რჩევებით შემოიფარგლონ. ეს ქვეყნის გადასაწყვეტია, უნდა თუ არა მას საკუთარ ტერიტორიაზე სამშვიდობო ძალები".**

ზაქარეიშვილის განცხადებით, **"ამერიკელებიც და ევროპელებიც ძალიან შეშფოთებულნი არიან, რადგან მიაჩნიათ, რომ ეს კარგს ვერაფერს მოიტანს. ისინი ვერ შეუტევენ რუსეთს. უცხოელები მხოლოდ ასე ჩაერევიან: იტყვიან, რომ ეს მათ ინტერესებში არ შედის. ყველაფერი დამთავრდება პარლამენტის გადაწყვეტილებით".**

ზაქარეიშვილის თქმით, როცა სამშვიდობო ძალების გაყვანაზეა საუბარი, საქართველომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა კონფლიქტის ზონის უსაფრთხოებაზე.

**"თუ ქართული მხარე ცალსახად განაცხადებს, რომ არასოდეს არ განაახლებს საომარ მოქმედებას კონფლიქტურ ზონებში, მაშინ ყარაბაღის მოდელზე საუბარი თამამად შეიძლება... მაგრამ სწორედ ეს არის პრობლემა. ქართული მხარე ამ გარანტიას ვერ აიღებს, ჩვენი მილიტარიზაცია და კუნთების თამაში ამის საშუალება არ მოგვცემს..."** - აღნიშნავს ზაქარეიშვილი.

# უმრავლესობა და ოპოზიცია რუსი სამშვიდობოების მომავალზე თანხმდება

პირველი გვერდიდან

ეს საკითხი საპარლამენტო უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის კამათს არ იწვევს. თუმცა, გასარკვევია, რას ემყარება მათი ერთსულოვნება - არსებული რეალობის ანალიზს თუ პატრიოტულ აღტკინებას.

რუსი სამშვიდობოების გაყვანის იდეა ახალი არ არის. ამ მოთხოვნით, ქართველი პოლიტიკოსები ადრეც არაერთხელ გამოსულან, მაგრამ მაშინ მას კონტრარგუმენტები ძალავდა. კერძოდ, საუბარი იყო იმაზე, რომ რუსების გასვლას აუცილებლად მოჰყვებოდა პროვოკაციები, დაიღვრებოდა სისხლი, განახლდებოდა საბრძოლო მოქმედებები და ა.შ. დღეს ამ საშიშროებას უკვე აღარავინ ახსენებს. საფრთხის პრევენციაზე მხოლოდ მინიშნებით არის საუბარი დადგენილების პროექტის მეცხრე მუხლში, რომელშიც პარლამენტი მთავრობას ავალებს, რომ "2005 წლის 1 დეკემბრამდე წარმოადგინოს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმის რეალიზების დეტალური სამოქმედო რუკა ყველა პოლიტიკური, **უსაფრთხოების,** ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, საგანმანათლებლო, კულტურული და სხვა ასპექტების გათვალისწინებით."

რუსი სამშვიდობოების გაყვანა-არგაყვანასთან შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვან, მაგრამ უფრო სკანდალურ საკითხს შეეხება კიდევ ერთი დადგენილების პროექტი, რომელიც საბაჟო ტერმინალ "ოპიზაში" დეპუტატების ბიზნესინტერესების შესასწავლად დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას გულისხმობს. ამ თემის ირგვლივ უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის, თითქმის ერთი თვეა, კულუარული თუ ღია დაპირისპირება მიმდინარეობს.

დავის მთავარ საგანს კომისიის თავმჯდომარის კანდიდატურა წარმოადგენს. პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე "ახალმა მემარჯვენეებმა", "კონსერვატორებმა" და "რესპუბლიკელებმა" კომისიის ხელმძღვანელად ოფიციალურად წარადგინეს კობა დავითაშვილის კანდიდატურა.

უმრავლესობა არ მალავს, რომ ყოფილ თანამებრძოლს მხარს არ დაუჭერს. მისთვის გაცილებით მისაღებია ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარის" წევრის, საჩხერის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ვალერი გელბახიანის პერსონა. უმრავლესობის წევრები ბევრს საუბრობენ ამ უკანასკნელის მაღალ პროფესიონალიზმზე, გამოცდილებაზე, მიუკერძოებლობაზე...

ვალერი გელბახიანის კანდიდატურის მიმართ ოპოზიცია ფრთხილ და მოზომილ განცხადებებს აკეთებს. **"მის იურიდიულ განათლებაზე საჩოთიროს ვერაფერს ვიტყვი, თუმცა, კომისიის მუშაობის პროცესში, შესაძლოა, მისი თავისუფლების ხარისხმა გარკვეული ეჭვები დაბადოს,"** - აცხადებს ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე, რომელიც საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე ყველაზე მისაღებ კანდიდატურად, არც მეტი, არც ნაკლები... კობა ბექაურს მიიჩნევს.

საპარლამენტო უმრავლესობას სარეზერვო ვარიანტიც აქვს. სახელისუფლებო ფრაქციაში არ გამორიცხავენ, რომ, კომისიის თავმჯდომარედ "მემარჯვენე" გიორგი ცაგარეიშვილის, თამაზ ყაჭეიშვილის, კოკა გუნცაძის ან ზურაბ კოსტავას კანდიდატურას დაუჭირონ მხარი.

ეს დავით გამყრელიძის თანაგუნდელებს საკმაოდ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს - მათ თანაფრაქციელის წინააღმდეგ წასვლა მოუწევთ. **"ჩვენ შეთანხმებული ვართ, რომ თუ საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარედ დავით გამყრელიძე არ დაინიშნება, ამ პოსტზე ჩვენი ფრაქციის სხვა წევრის კანდიდატურას მხარს არ დავუჭერთ,"** - განმარტავს მამუკა კაციტაძე.

დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარისა და ამ კომისიასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე საპარლამენტო უმრავლესობის გუშინდელ დახურულ სხდომაზეც იყო მსჯელობა, ამ გაჭიანურებულ პოლემიკას კი ხუთშაბათის პლენარულ სხდომაზე დაესმება წერტილი. საპარლამენტო უმრავლესობა იმ დეპუტატების ვინაობასაც ასახელებს, რომლებიც საგამოძიებო კომისიაში სახელისუფლებო ფრაქციის კვოტით შევლენ. ესენი არიან პარლამენტარები ნიკა გვარამია, ნინო კალანდაძე, კობა დვალიშვილი, ვახტანგ ბალავაძე, კახაბერ სუხიშვილი და თეიმურაზ ჟორჟოლიანი.

# საქართველოს პროტესტი UNESCO-ში

*საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გუშინ ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთში გაემგზავრა, სადაც UNESCO-ს 33-ე გენერალური კონფერენციის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას და, მოსკოვის ნაცვლად, საქართველოს UNESCO-ს ბუდაპეშტის ბიუროში გაწევრიანებას მოითხოვს.*

მიზეზი იმისა, რომ საქართველო UNESCO-ს (გაერო-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) ბუდაპეშტის ბიუროში გაწევრიანებას მოითხოვს, ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინაში რიგით 33-ე გენერალური სესიის გახსნის დღესვე გამოიკვეთა. 3 ოქტომბერს, UNESCO-ს მოსკოვის ბიუროს ვებ-გვერდზე საქართველოს რუკა შეცვლილი სახით გაჩნდა - ჩამოჭრილი იყო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორია.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვის UNESCO-ს ბიუროს საპროტესტო წერილი მაშინვე გაუგზავნა და შეცდომის სასწრაფოდ გამოსწორება მოითხოვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, თავისი პოზიცია დააფიქსირა საქართველოს UNESCO-ს საქმეთა ეროვნული კომისიის გენერალურმა მდივანმა და ამ ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს კოიშირო მაცუურას წერილით მიმართა, სადაც მომხდართან დაკავშირებით აღშფოთებას გამოთქვამდა.

თავის მხრივ, საფრანგეთში მიმდინარე 33-ე გენერალური სესიის დელეგაციის წევრი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში და საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი UNESCO-ში ნათია ჯაფარიძე გაერო-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის მოადგილეს მარსიო ბარბოზას შეხვდა. შეხვედრის მიზანი იყო ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის მოსკოვის ბიუროს მიერ გამოქვეყნებულ რუკასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების პროტესტის გადაცემა. ნათია ჯაფარიძემ და საქართველოს დელეგაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება, UNESCO-ს მოსკოვის რეგიონული ბიუროს დაქვემდებარებიდან გამოვიდეს. ბარბოზას UNESCO-ში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის საპროტესტო ნოტა გადაეცა.

ამასთან, გაერო-ს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის შტაბ-ბინაში UNESCO-ს საქმეთა საქართველოს ეროვნული კომისიის გენერალური მდივნის ირაკლი მეტრეველისა და ამავე ორგანიზაციის მოსკოვის ბიუროს დირექტორის დენდევ ბადარჩის შეხვედრა შედგა. მეტრეველმა მომხდარი ორგანიზაციის ფუძემდებლური პრინციპებისა და საერთაშორისო კანონმდებლობის უხეშ დარღვევად შეაფასა. მოსკოვის ბიუროს დირექტორმა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სინანული გამოთქვა და აღნიშნა, რომ შემთხვევა სათანადოდ იქნება გამოძიებული.



სალომე ზურაბიშვილი.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის ვიზიტის სხვა დეტალებს, საფრანგეთიდან გამგზავრების შემდეგ იგი დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში ევროკავშირის ოფიციალურ პირებთან შეხვედრებს გამართავს. საუბრის თემა საქართველოს სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული დეტალები იქნება, რომლებიც საზღვრის დაცვას, პენიტენციური სისტემის განვითარებას, პოლიციის რეფორმას უკავშირდება.

ოფიციალური შეხვედრების გარდა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოს მიერ დაგეგმილ ტრადიციულ საქველმოქმედო საღამოზე დასწრებას გეგმავს. საღამოზე ქართველი ბიზნესმენები და კულტურის მოღვაწეებიც იქნებიან.

სალომე ზურაბიშვილის ვიზიტი უცხოეთში ოქტომბრამდე გაგრძელდება.

*24 საათი*

# ანექსია ორ მილიარდად

## რუსული ოცნება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის "კანონიერ გადაფორმებაზე"

*ორი მილიარდი დოლარი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სანაცვლოდ - რუსულმა მედიამ საქართველოსთვის მორიგი წინადადება გაახმოვანა. "კონცეფციის" მიხედვით, რუსეთმა უარი უნდა თქვას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაზე და სტატუს კვო ოფიციალურად დააფიქსიროს. კომპენსაციის სახით კი, საქართველოს ფული შესთავაზოს.*

დიმიტრი ავალიანი

პირველი ოფიციალური პირი, რომელმაც საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებისკენ მოუწოდა, გოსდუმის ვიცე-სპიკერი ლუბოვ სლისკა გახდა. ამგვარი პოზიცია მოსკოვის ოფიციოზის სხვა წარმომადგენლებს ჯერჯერობით არ დაუფიქსირებიათ, თუმცა კრემლის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების თემა რუს პოლიტიკოსთა თუ ექსპერტთა შორის სულ უფრო პოპულარული ხდება. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველომ რუსეთზე დიპლომატიური ზეწოლა გააძლიერა - პრეზიდენტმა გაეროს ტრიბუნიდან რუსეთი საქართველოს ტერიტორიის ანექსიაში დაადანაშაულა, პარლამენტში კი რუსული სამშვიდობო ძალების მანდატის შეწყვეტის შესახებ დადგენილების განხილვა მიმდინარეობს.

გასულ პარასკევს რუსეთის გოსდუმამ ახალი რეგიონების შექმნის შესახებ კანონი მიიღო. მართალია, კანონი მხოლოდ რეგიონების ე. წ. "გამსხვილების" პროცესს ეხებოდა, თუმცა განხილვისას "როდინასა" და კომუნისტური ფრაქციის წევრებმა "სხვა ქვეყნების, მაგალითად, სამხრეთ ოსეთის" რუსეთის ფედერაციაში გაწევრიანების პროცედურის გათვალისწინებაც მოითხოვეს.

რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელმა გოსდუმაში ალექსანდრ კოსოპკინმა ამაზე ორაზროვანი პასუხი გასცა. მისი თქმით, **"ასეთი თემა არსებობს"**, თუმცა **"ეს საკითხი გლობალური, გეოპოლიტიკურია"**. და იქვე დასძინა, რომ: **"თუ ჩვენ ქვეყნის შიგნით რეგიონების გაერთიანების ეფექტურ გზას მოვნახავთ, ეს დადებითი მომენტი იქნება იმათთვის, ვინც საზღვარგარეთაა."**

საქართველოსაგან ორი სეპარატისტული რეგიონის "შესყიდვის" იდეა რუს ექსპერტს, ჟურნალ "პოლიტიჩესკი კლასის" მთავარ რედაქტორს ვიტალი ტრეტიაკოვს მოუვიდა. მისი აზრით, რომელიც მან რუსული სამთავრობო პრესის საშუალებით გაახმოვანა, რუსეთი საკმარისად "გაიმართა წელში" იმისთვის, რომ "საქართველოს კოლიზია ერთხელ და სამუდამოდ მოაგვაროს."

**"საქართველოს ტერიტორული მთლიანობის მხარდაჭერა ამ ქვეყნის პოლიტიკოსთა სავსებით გასაგები მიზანია, თუმცა რუსეთისათვის ეს არც მიზანია და არც, მით უმეტეს, ვალდებულება,"** - საერთაშორისო სამართლის თავისებურ ხედვას წარმოაჩენს ტრეტიაკოვი და იქვე დასძენს, რომ აფხაზ და ოს ხალხებს საქართველოსაგან დამოუკიდებლობისა და რუსეთის შემადგენლობაში შესვლის სურვილი აქვთ, რასაც რუსეთი, რა თქმა უნდა, ვერ შეეწინააღმდეგება.

თუმცა, "არგუმენტების" ამ ბანალურ ნაკრებს ტრეტიაკოვი იმასაც უმატებს, რომ რუსეთს, თურმე, **"მეზობელი საქართველოს, მისი მეგობარი ხალხის ინტერესების"** იგნორირებაც არ შეუძლია. და ამიტომ, საქართველოს ისეთი კომპრომისი უნდა შესთავაზოს, რომელიც ორივე მხარეს დააკმაყოფილებს. კერძოდ კი: რუსეთმა უარი უნდა თქვას საქართველოს ოფიციალური საზღვრების აღიარებაზე; უნდა აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა; შესთავაზოს მათ რეფერენდუმის ჩატარება რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე; დადებითი პასუხის შემთხვევაში თანხმობა განაცხადოს რუსეთის ფედერაციაში მათ გაწევრიანებაზე. და, რაც ყველაზე მთავარია - საქართველოს "თითო ტერიტორიაში" ერთი მილიარდი აშშ დოლარი შესთავაზოს, ანუ, სულ ორი მილიარდი დოლარი. ან გააფორმოს იჯარა 150 წლით იგივე თანხის საფასურად.

ტრეტიაკოვის აზრით, ამგვარი გეგმით ყველა მხარე კმაყოფილი იქნება. იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ ამ გეგმის განხორციელების შედეგად, მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობა საბოლოოდ მოწესრიგდება.

ტრეტიაკოვი იმასაც აცხადებს, რომ არ გაუკვირდება, თუ ვლადიმირ პუტინი კონფლიქტების დარეგულირების "მიახლოებით ასეთ გეგმას" წარმოადგენს.

თუმცა, რუსი დამოუკიდებელი ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი აცხადებს, რომ რუსეთის მხრიდან საქართველოს სეპარატისტული რეგიონების აღიარება არარეალურია. **"იმის ალბათობა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, და საერთოდ, ოფიციალურმა კრემლმა ასეთი რამ გააკეთოს, უკიდურესად მცირეა,"** - აცხადებს ფელგენგაუერი "24 საათთან" საუბარში. მისი აზრით, **"რუსეთი ამით ძალზე რთულ მდგომარეობაში, ძლიერი საერთაშორისო ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდება. ამით ქვეყანა ძალზე ბევრს დაკარგავს, სანაცვლოდ კი არაფერს მიიღებს."**

პაველ ფელგენგაუერის თქმით, რუსეთი ამ რეგიონებზე თავისი გავლენის შენარჩუნებას სხვა მეთოდებით ცდილობს. მაგალითად, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის რუსული პასპორტების დარიგება უკანონოდ, საკუთარი კანონმდებლობის დარღვევით განახორციელა.

თუმცა, მედიის, ხელისუფლებასთან დაახლოებული სხვადასხვა ცენტრების, ინსტიტუტებისა და ექსპერტების აქტიურობა რუსეთში გარკვეულ საზოგადოებრივ აზრს ქმნის იმის შესახებ, რომ საქართველოს ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობისა თუ რუსეთის შემადგენლობაში მიღების საკითხი სულ მალე დადებითად გადაწყდება. პაველ ფელგენგაუერი ამას რეალური გეგმებისათვის "ნიადაგის მომზადებად" არ მიიჩნევს და არ იზიარებს მოსაზრებას, თითქოს საჭიროების შემთხვევაში, კრემლს მის მიერვე შექმნილი საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფა გაუჭირდება. **"ჯერ ერთი, მასას აქ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა ნაკლებად აღელვებს. ამ მხრივ, გაცილებით მტკივნეული - ყირიმის საკითხია. და მეორე - საზოგადოებრივი აზრი რუსეთში ბევრს არაფერს ნიშნავს. ხელისუფლება ყოველთვის შეძლებს, ხალხს ტელევიზორით აუხსნას, რატომ იყო ესა თუ ის ნაბიჯი სწორი,"** - ამბობს ფელგენგაუერი.

ამავე დროს, ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ვლადიმირ სოკორი დარწმუნებულია, რომ რუსეთი, ადრე თუ გვიან, დე ფაქტო განხორციელებული ანექსიის "კანონიერად" გაფორმებას შეეცდება. მეტიც, მისი აზრით, თუ რუსეთმა საქართველოს ამ ორი რეგიონის შემოერთება შეძლო, ასეთ რამეს სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც განახორციელებს. **"საქართველოს დასავლელმა პარტნიორებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო ნორმებისა და კანონების დარღვევაზე რეაგირება უნდა მოახდინონ. აუცილებელია გადაუდებელი მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში მდგომარეობის დესტაბილიზაციის გამომწვევი პრეცედენტი, შესაძლოა, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ტერიტორიებზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ განმეორდეს,"** - წერს ვლადიმირ სოკორი.

# ამინდის გაუარესების გამო ელექტროენერგიის მოხმარება გაიზარდა

*ამინდის გაუარესების გამო, საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება 1,5 მილიონი კილოვატსაათით გაიზარდა. როგორც კომპანია "თელასში" აცხადებენ, ელექტროენერგიის დღე-ღამური მოხმარება 10 პროცენტით გაიზარდა და ოქტომბრის დასაწყისში 5 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა. 10 პროცენტით გაიზარდა "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მოხმარებაც.*

ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე ალეკო ხეთაგური მიიჩნევს, რომ ელექტროენერგიის მოხმარების გაზრდა სისტემაში პრობლემებს არ შექმნის. **"ამის გამო სისტემაში პრობლემები არ შეიქმნება, მაგრამ ავარიებისგან დაზღვეულები არ ვართ. ზაფხულის განმავლობაში განხორციელებული რეაბილიტაცია შესაძლებლობას გვაძლევს, ავარიების ლიკვიდაცია მაქსიმალურად სწრაფად მოვახდინოთ. სხვა შემთხვევაში, ელექტროენერგიას ყველა მომხმარებელი მიიღებს. რა თქმა უნდა, ელექტროენერგიის საფასურის გადახდის პირობა უცვლელი დარჩება,"** - განაცხადა ხეთაგურმა.

გუშინ საქართველოს ენერგოსისტემა შეზღუდულ რეჟიმში მუშაობდა. ამის მიზეზი "ენგურჰესის" ერთი აგრეგატის ერთდღიანი გაჩერება გახდა, რამაც სისტემაში დეფიციტი წარმოშვა. თბილისი საჭიროზე 20 მეგავატით ნაკლებს, ხოლო საქართველოს რეგიონები 100 მეგავატით ნაკლებ სიმძლავრეს იღებდნენ. როგორც "ენგურჰესის" დირექტორმა ლევან მებონიამ განაცხადა, "ენგურჰესში" ერთი აგრეგატის ერთდღიანი გაჩერება, ტექნიკური ხარვეზის გამო, აუცილებელი იყო.

რაც შეეხება კავკასიონის ელექტროგადამცემ ხაზს, კომპანია "საქრუსენერგო" აქ სამონტაჟო სამუშაოებს 4-5 დღეში დაასრულებს. **"ჩვენ არა მარტო ზვავის გამო დაზიანებული მონაკვეთი აღვადგინეთ, არამედ პროფილაქტიკური სამუშაოებიც ჩავატარეთ, რათა ხაზი ზამთრის სეზონზე სრულად მომზადებული იყოს,"** - განაცხადა კომპანიის გენერალური დირექტორის პირველმა მოადგილემ შოთა მაისურაძემ.

შეგახსენებთ, რომ გასულ ზამთარს კოდორის ხეობაში ზვავმა "კავკასიონის" ელექტროგადამცემ ხაზის ორი ანძა წააქცია, რის შემდეგაც ხაზმა ფუნქციონირება შეწყვიტა.

აჭარაში კი, თურქეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი პირველი დეკემბრიდან დაიწყება. როგორც "აჭარის ენერგოკომპანიაში" აცხადებენ, ქართულმა მხარემ თურქულ მხარესთან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა და ზაფხულის პერიოდში 230 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მიაწოდა.

ცნობისათვის, თურქეთში აჭარიდან ელექტროენერგიის ექსპორტი მიმდინარე წლის ივნისის შუა რიცხვებში დაიწყო და სექტემბრის შუა რიცხვებში დასრულდა. შესაბამისად, ქართული მხარე თურქეთიდან შემოდგომა-ზამთრის პერიოდში 70 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტს განახორციელებს. იმპორტი აპრილის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება.

**"თურქეთიდან შემოტანილ ელექტროენერგიას, ძირითადად, პიკის საათებში გამოვიყენებთ, დანარჩენ დროს კი დენს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან მივიღებთ. აჭარის მაქსიმალური მოხმარება ზამთრის პერიოდში 90-100 მეგავატს აღწევს,"** - განაცხადეს "აჭარის ენერგოკომპანიაში".

*24 საათი*

# შვედეთის მთავრობა მხარდაჭერას გვპირდება

შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დაგეგმილი აქვს, დააფინანსოს პროექტი "საქართველოში რძისა და მერძევეობის სექტორის მხარდაჭერა." ბიუჯეტი შეადგენს 35051452 შვედურ კრონას (დაახლოებით, 4 მლნ აშშ დოლარი). SIDA-ს სპეციალური მისიის მიერ 2004 წლის ნოემბერში შემუშავებული იქნა შესაბამისი ტექნიკური დავალება (ToR). პროექტის განხორციელებაზე გამართულ ტენდერში გაიმარჯვა კონსორციუმმა OPTO International-მა.

პროექტის მიდგომა ითვალისწინებს მერძევეობის მხარდაჭერის კომპლექსურ ღონისძიებებს:

- ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობა (ასოციაციების, ან სხვადასხვა სახის იურიდიული პირების დაარსების ხელშეწყობა და მათი შემდგომი განვითარება); მათი დახმარება რძის შეგროვებისა და გაციების თანამედროვე აღჭურვილობით, ხარისხის კონტროლის აპარატურით, პირუტყვის საკვების დამზადების და სხვა მექანიზაციით, ფერმერთა სწავლებები რძისა და რძის პროდუქტების წარმოების, ხარისხის კონტროლის, მექანიზაციის გამოყენების, მარკეტინგის საკითხებში (A ქვეპროექტი). (ბიუჯეტი - 20 755 966 შვედური კრონა, დაახლოებით 2,8 მლნ აშშ დოლარი)
- რძისა და რძის ნაწარმის მარკეტინგის განვითარებაში მხარდაჭერა (B ქვეპროექტი) (ბიუჯეტი - 6 295 911 შვედური კრონა, დაახლოებით, 800 ათასი აშშ დოლარი).
- შესაბამისი საკანონმდებლო (სასურსათო უვნებლობის ჩათვლით) ბაზის დახვეწა (C ქვეპროექტი) (ბიუჯეტი 1,6 მლნ აშშ დოლარი).

პროექტი განხორციელდება კახეთის რეგიონში, დაგეგმილია რძის შეგროვების ცენტრის დაარსება ცხინვალის რეგიონში. ტექნიკური დავალების მიხედვით, კახეთის რეგიონში უნდა ჩამოყალიბდეს რძის შეგროვების არანაკლებ რვა, ხოლო ცხინვალის რეგიონში არანაკლებ ერთი ცენტრი. თითოეული ცენტრის დაარსება განხორციელდება, როგორც ცალკეული მიკროპროექტი, რომელსაც გარკვეული პირობებით (თანადაფინანსებითა ან წილობრივი მონაწილეობით, ლიზინგით, გრანტით) გადაეცემა რძის შეგროვებისა და გაციების შესაბამისი თანამედროვე აღჭურვილობა. აღნიშნული პირობები შემუშავებული იქნება პროექტის მიერ და შესაძლებელია, რომ ისინი სხვადასხვა მიკროპროექტისათვის განსხვავებული იყოს.

პროექტი ითვალისწინებს გეოგრაფიულ გაფართოებას - პირველ ეტაპზე პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში SIDA-ს თანხმობით შესაძლებელია რძის შეგროვების ცენტრების დაარსება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებშიც, რისთვისაც SIDA-ს მხრიდან შესაბამისი აღჭურვილობისათვის გამოყოფილი იქნება დამატებით 3,5 მლნ შვედური კრონა (დაახლოებით, 500 ათასი აშშ დოლარი).

პროექტი ითვალისწინებს ფერმერების მხარდაჭერას რძის რეალიზაციის საკითხში არამარტო რძის არსებულ ქარხნებთან თანამშრომლობით, არამედ სტიმულირებას მოახდენს ადგილობრივი ხარისხიანი ყველის წარმოების განვითარებისა და მისი რეალიზაციის ხელშეწყობისათვის.

პროექტის განხორციელება დაგეგმილია მიმდინარე წლის ნოემბრის დასაწყისიდან. **24 საათი**

# გაეროს სტატისტიკური დეპარტამენტის დირექტორის ვიზიტი საქართველოში

მიმდინარე წლის 10-14 ოქტომბერს საქართველოში სამუშაო ვიზიტით ჩამოდის UNECE (გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისათვის) სტატისტიკური დეპარტამენტის დირექტორი ბატონი ჰაინრიხ ბრუნგერი (Heinrich Brungger). ევროსივრცეში იგი წარმოადგენს ძირითად პასუხისმგებელ პირს სტატისტიკის მეთოდოლოგიური და კანონშემოქმედებითი მიმართულებით. ბატონი ბრუნგერის ვიზიტის ძირითადი მიზანია საქართველოში სახელმწიფო სტატისტიკის წარმოების არსებული სიტუაციის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება; სტატისტიკის ადგილისა და როლის პოპულარიზება ფართო საზოგადოებისათვის; "სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის ძირითადი პრინციპების საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და სტატისტიკური ინფორმაციის მომხმარებლებთან განხილვა.

"სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი სტატისტიკის დეპარტამენტში უშუალოდ ბატონი ბრუნგერის რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა. გამოყენებული იქნა "სტატისტიკის შესახებ" ევროკავშირის მოდელური კანონი და იმ ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების პროცესში სერიოზული მიღწევები გააჩნიათ. ამასთან, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის სპეციფიკა და მის სწრაფვა ევროსივრცეში ინტეგრაციისაკენ.

ჰაინრიხ ბრუნგერი, თავისი ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მედიის წარმომადგენლებს შეხვდება. **24 საათი**

# ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმის იჯარით გაცემაზე კონკურსი ცხადდება

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო აცხადებს კონკურსს თელავის რაიონში, სოფელ წინანდალში მდებარე სახელმწიფო ქონების 49 წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემის შესახებ. იჯარით გასაცემი შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 22485.1 კვ.მ და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწა 178963 კვ.მ. მათ შორის - ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმი, სასტუმრო სახლი, სასადილო, ადმინისტრაციული შენობა, ღვინის ქარხანა და მასზე დამაგრებული მიწის ფართობი. საწყისი წლიური საიჯარო ქირა 70.000 აშშ დოლარი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა ჯგუფს, საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს. განცხადებები მიიღება 2005 წლის 10 ოქტომბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით. კონკურსი გაიმართება 2005 წლის 9 ნოემბერს. დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ იხილოთ საიტი - www.privatization.ge **24 საათი**

## ოსები ქართული მხარისგან დანაშაულში ეჭვმიტანილების გათავისუფლებას ითხოვენ

თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრ ბორის ჩოჩიევს ერგნეთის ინციდენტის გამო დაკავებული ოსი ეროვნების ორი პირის ახლობლები შეხვდნენ.

შეხვედრაზე ეჭვმიტანილების ახლობლებმა ბორის ჩოჩიევს სთხოვეს, ეშუამდგომლა ქართულ მხარესთან, რათა დაკავებულები გაათავისუფლონ.

როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინათ პატარა ლიახვის ხეობაში, ერგნეთთან მდებარე სოფელ ბერულაში შეკრებილ მოსახლეობას ოსი ეროვნების პირებმა "უაზის" ტიპის ავტომანქანიდან ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს, რის შედეგადაც ორი ქართველი დაიჭრა.

ქართველმა სამართალდამცველებმა ორი პირის დაკავება მოახერხეს, დანარჩენი სამი კი მიიმალა. დაკავებულთაგან ერთ-ერთი ოსი სეპარატისტების ლიდერის ედუარდ კოკოითის პირადი დაცვის წევრი აღმოჩნდა. მოგვიანებით, ცხინვალის მილიციამ ვინმე მამიტოვი დააკავა, რომელიც ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

**"ჩვენ დაკავებული გვყავს პირი, რომელიც ამ დანაშაულს აღიარებს. ამდენად, ქართველი სამართალდამცველების მიერ დაკავებული ოსი ეროვნების პირები არიან უკანონო პატიმრობაში"**, - აცხადებს ბორის ჩოჩიევი.

მისი თქმით, ის დაუკავშირდა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას და სთხოვა, რომ ერგნეთის ინციდენტთან დაკავშირებით ერთობლივი ობიექტური გამოძიება დაიწყოს.

ქართული მხარე მამიტოვის გადმოცემას მოითხოვს და აცხადებს, რომ მის მიერ დანაშაულის აღიარებას ერთადერთი მიზანი აქვს, რათა ქართველი სამართალდამცველების მიერ დაკავებული ოსი ეჭვმიტანილები უდანაშაულოდ გამოცხადდნენ და გათავისუფლდნენ.

*მედიანიუსი*

## კოდორელებმა ხეობაში მყოფი კონტრდაზვერვის თანამშრომლები გაათავისუფლეს

გუშინ კოდორის ხეობაში ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ხეობაში მყოფი შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების სამსახურის კონტრდაზვერვის ორი თანამშრომელი დააკავეს და შემდეგ გაათავისუფლეს.

კოდორის ხეობიდან მიღებული ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის უშიშროების მთავარი სამმართველოს კონტრდაზვერვის ორ თანამშრომელთან - საჯაიასა და ჯიკალეიშვილთან ურთიერთობას კოდორელები, დაახლოებით, 2 საათის მანძილზე არკვევდნენ, რის შემდეგაც ისინი უპრობლემოდ გაათავისუფლეს.

საინფორმაციო სააგენტო "მედია-ნიუსის" ცნობით, კონტრდაზვერვის თანამშრომლები ხეობის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის დისშვილმა ბაჩო არღვლიანმა მას შემდეგ აიყვანა მძევლად, რაც იარაღი და ავტომანქანა წაართვა.

ბაჩო არღვლიანი მძევლების აყვანის მთავარ მიზეზად მის წინააღმდეგ დაგეგმილ სპეცოპერაციას ასახელებდა. მისი თქმით, კოდორის ხეობაში კონტრდაზვერვის თანამშრომლები მისი დაკავების მიზნით ჩავიდნენ.

სააგენტო "ინტერპრესნიუსი" კი, სანდო წყაროზე დაყრდნობით, იუწყება, რომ ახალი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში კოდორში სამართალდამცველთა გააქტიურებასა და კრიმინალთან ბრძოლას ხეობაში მცხოვრებ კრიმინალთა ნაწილი ვერ ეგუება და ხეობაში სამართალდამცავთა გამოჩენაზეც კი არაადეკვატურად რეაგირებენ.

იმავე წყაროს მტკიცებით, გუშინ ხეობაში ადგილობრივებსა და სამართალდამცავებს შორის მომხდარი ინციდენტი პირველი არ არის.

ხეობას შეფარებული კრიმინალები და მათი მფარველები გაღიზიანებას ვერ ფარავენ იმის გამო, რომ 2005 წელს ხეობაში ამოქმედდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის მთავარი სამმართველოს პოლიციის გულრიფშის რაიონული განყოფილება, რომელმაც ხეობაში, სადაც დიდი რაოდენობით უკანონო იარაღია თავმოყრილი და ხშირად მას კრიმინალებიც აფარებდნენ თავს, საქმიანობა შესამჩნევად გააქტიურა.

## იუსტიციის მინისტრმა არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში საჩუქრები მიიტანა

გუშინ არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში საქართველოს იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ და არასამთავრობო ორგანიზაციამ "ადამიანის უფლებების საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი" პატიმრებისთვის საჩუქრები მიიტანეს.

არასრულწლოვან პატიმრებს სასკოლო სახელმძღვანელოები და სპორტული ინვენტარი გადაეცათ; მათ შორის - საჭადრაკო დაფა, მაგიდის ჩოგბურთის მოწყობილობა, მოკრივის ხელთათმანები და სხვა.

როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მყოფ ბავშვებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისთვის, რომ სწავლითა და სპორტით დაკავდნენ. გარდა ამისა, კემულარიას განცხადებით, მზადდება პროგრამა, რომ არასრულწლოვანმა პატიმრებმა სხვადასხვა ხელობა აითვისონ.

როგორც მინისტრმა განმარტა, ერთ კვირაში არასრულწლოვანთა ახალი დაწესებულება გაიხსნება.

**"მათ სტანდარტული პირობები ექნებათ, რაც მნიშვნელოვანი პირობაა იმისა, რომ პატიმრებმა სასჯელის მოხდის შემდეგ ცხოვრება ჯანსაღი წესით გააგრძელონ"**, - განაცხადა კოტე კემულარიამ.

არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულების ხელმძღვანელის ხათუნა ჯაპავას ინფორმაციით, ამ დროისთვის ციხეში 23 არასრულწლოვანი იხდის სასჯელს. მათ შორის არიან ქურდობისთვის, ძარცვისთვის, ყაჩაღობისთვის, მკვლელობისთვის და გაუპატიურებისთვის ნასამართლევი პირები.

არასრულწლოვან დაწესებულებაში მყოფი პატიმრების ასაკი 14-დან 18 წლამდე მერყეობს.

*ინტერპრესნიუსი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** რეგიონული სამმართველო "ლაგოდეხის", სასაზღვრო სექტორ "ცოდნის" მიმდებარე ტერიტორიაზე მესაზღვრეებმა საქართველოს მოქალაქე დააკავეს, რომელსაც აზერბაიჯანიდან საქართველოში 5000 ლარის ოდენობის კონტრაბანდული საყოფაცხოვრებო საქონელი შემოჰქონდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას ლაგოდეხის რეგიონული სამმართველოს ოპერატიულ-საგამოძიებო განყოფილება აწარმოებს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის 52-ე საშუალო სკოლაში ასაფეთქებელი მოწყობილობის არსებობის შესახებ ინფორმაცია არ დადასტურდა. რამდენიმესაათიანი უშედეგო ძებნის შემდეგ გამნაღმველთა ჯგუფმა სკოლის შენობა დატოვა.

52-ე სკოლაში ნაღმის არსებობის შესახებ ინფორმაცია საპატრულო პოლიციის ცხელ ხაზზე გუშინ, დილის ცხრა საათზე შევიდა, რის გამოც, სასწავლო დაწესებულებაში მყოფ პირთა ევაკუაცია განხორციელდა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიცია ავტომანქანებზე ტვირთის წონის კონტროლს ახალი აპარატურით განახორციელებს. საპატრულო პოლიციის ცნობით, აპარატი ორი კომპაქტური სასწორისგან და ქვითრის ელექტრონული საბეჭდისგან შედგება. ქვითარზე მითითებული იქნება, თუ რა წონის ტვირთი გადააქვს ავტომანქანას. დარღვევის შემთხვევაში, შედგება ადმინისტრაციული ოქმი და დამრღვევს აპარატის მიერ ნაჩვენები ქვითრის მიხედვით მოუწევს ჯარიმის გადახდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** უაქციზო თამბაქოს ნაწარმის უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შედეგად ფინანსურმა პოლიციამ გასული დღე-ღამის განმავლობაში სხვადასხვა რეგიონში 11 200 კოლოფი არამარკირებული სიგარეტი ამოიღო. მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის გამო, ოთხ ფაქტზე კანონდამრღვევების მიმართ დაწყებულია წინასწარი გამოძიება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის კვლევით ინსტიტუტში ფინანსური პოლიცია შევიდა. მათ დალუქეს ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ივანე კიღურაძის სამუშაო ოთახი და ინსტიტუტის დოკუმენტაცია. **ჯი-ეიჩ-ენი**

# დეპუტატის ყოფილი მეუღლე, ფაქტობრივად, თავისუფალია

პირველი გვერდიდან

დაზარალებულის სტატუსის მქონე ჩახვაძე და სამართალდამცველები გუშინაც ერთსულოვნები იყვნენ. სასამართლო პროცესის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გოჩა ჩახვაძემ ოჯახურ დრამასთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია მოაწყო და განაცხადა, რომ თანახმაა, მის ყოფილ მეუღლეს პატიმრობა შედარებით მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიებით შეეცვალოს.

**"საოლქო სასამართლოში ჩემს ადვოკატს შუამდგომლობა გავატანე, სადაც ვაფიქსირებ ჩემს სურვილს, რომ ეთერ ჭუმბურიძეს პატიმრობა გაუსვლელობის ხელწერილით შეეცვალოს. მე დაინტერესებული ვარ, რომ გამოძიება ობიექტურად წარიმართოს და ყველანაირად ხელს ვუწყობ მის მსვლელობას. აღნიშნული შუამდგომლობა კი იმ მოტივით დავწერე, რომ ეთერ ჭუმბურიძე ჩემი შვილების დედაა და სასამართლოსგან სწორედ ამ ფაქტის გათვალისწინებას მოვთხოვ,** - განაცხადა დეპუტატმა და იქვე თავიც იმართლა, - **ჩემმა ყოფილმა მეუღლემ ქართული ოჯახისათვის უკადრებელი რამ ჩაიდინა და სწორედ ამიტომ გავშორდი. ჩემნაირად მოიქცეოდა ყველა ქართველი მამაკაცი. რადგან მე დეპუტატი ვარ, მხოლოდ ამან გამოიწვია ასეთი აჟიოტაჟი, თორემ ასეთი ფაქტები საქართველოში ხშირად ხდება".**

დეპუტატი იმასაც ირწმუნებოდა, რომ ბოლო დროს განვითარებულმა დრამატულმა მოვლენებმა მას შეურაცხყოფა მიაყენა. ჭუმბურიძის გათავისუფლება კი იმიტომ სურს, რომ, შესაძლოა, მისმა პატიმრობამ ბავშვებზე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს.



ეჭვმიტანილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

სასამართლო პროცესის დაწყებისთანავე გაირკვა, რომ პოზიცია შეცვლილი ჰქონდა ბრალდების მხარესაც. ამჯერად სამართალდამცველებმაც ეთერ ჭუმბურიძისთვის წინასწარი პატიმრობის პოლიციის ზედამხედველობით შეცვლის შუამდგომლობა დააყენეს.

მართალია, ბრალდებულის ადვოკატი კვლავ ეთერ ჭუმბურიძის უპირობო გათავისუფლებას ითხოვდა, მაგრამ მართლმსაჯულებისთვის ადვოკატების არგუმენტები ადამიანის ბრალეულობაზე სამსჯელოდ კვლავაც არასაკმარისი აღმოჩნდა. არადა, წინა პროცესისგან განსხვავებით, საქმეში მართლაც გაჩნდა საგულისხმო მტკიცებულებები.

ეთერ ჭუმბურიძის ადვოკატის გირშელ ძებნიაურის ინფორმაციით, დაცვის მხარისთვის უკვე ოფიციალურად გახდა ცნობილი გამოძიების მიერ დანიშნული კომპლექსური ექსპერტიზის პასუხები. ძებნიაურის თქმით, დასკვნის თანახმად, დანაშაულის იარაღზე არ აღმოჩნდა ბრალდებულის თითის ანაბეჭდები. ამასთან ეთერ ჭუმბურიძის ხელზე არ დაფიქსირდა დენთის კვალი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მას არ უსვრია. და კიდევ ერთი, დეპუტატის ყოფილი მეუღლის ჩანთაში არ აღმოჩნდა იარაღის მიკრო ნაწილაკები, რითაც გამოირიცხა დაზარალებულების ჩვენება, რომ ჭუმბურიძემ ჩანთით მიიტანა "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი.

**"გუშინდელი პროცესი შეიძლება ნახევრად ობიექტურად ჩავთვალოთ, რადგან ჩვენ ეთერ ჭუმბურიძის უპირობო გათავისუფლებას ვითხოვდით. თუმცა, ამ ეტაპზე მიზანი მაინც მიღწეულია. მომავალში გამოძიებასთან თანამშრომლობით ჩვენ ყველაზე მეტად ვართ დაინტერესებულნი, რადგან საბოლოოდ უნდა გაირკვეს სიმართლე და დანაშაულის უშუალო მონაწილეებთან ერთად მისი ორგანიზატორიც დაისაჯოს"**, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში გირშელ ძებნიაურმა.

ეთერ ჭუმბურიძის ადვოკატები უახლოეს მომავალში გეგმავენ, აღნიშნულ საქმესთან გააერთიანონ ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაში აღძრული სისხლის სამართლის საქმეც.

**"ჯერ კიდევ ივნისში ეთერ ჭუმბურიძემ რაიონის პოლიციას მიმართა და ყოფილი მეუღლის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მოითხოვა. გოჩა ჩახვაძის მიერ მეუღლის ცემის ფაქტზე მართლაც დაიწყო გამოძიება, მაგრამ დღემდე არაფერი გაკეთებულა. უახლოეს მომავალში ჩვენ ორივე საქმის გაერთიანებას მივაღწევთ და გენერალურ პროკურორს გოჩა ჩახვაძისთვის იმუნიტეტის მოხსნის შუამდგომლობით მივმართავთ. ეს აუცილებელია გამოძიების ობიექტური მსვლელობისთვის"**, - ამბობს ძებნიაური, რომელიც არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში დეპუტატ ჩახვაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე მუხლით აღიძრას - კერძოდ, ცრუ ჩვენების, დანაშაული პროვოცირების და ყოფილი მეუღლისთვის ფიზიკური დაზიანებების მიყენებისთვის. თუმცა, ეს ყველაფერი მომავლის საქმეა.

# ჯარისკაცები ჩივიან, ხელმძღვანელობა თავს იმართლებს

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*დედოფლისწყაროს უტილიზაციის ცენტრის დაცვის ოცეულიდან გაქცეული აზერბაიჯანელი ეროვნების ათი ჯარისკაციდან გუშინ სამი უკან, სამხედრო ნაწილში დაბრუნდა, დანარჩენები კი სამხედრო პოლიციაში დაკითხეს.*



გაქცეული ჯარისკაცები ომბუდსმენის ოფისთან.

დედოფლისწყაროს სამხედრო ნაწილიდან გაქცეული აზერბაიჯანელი ეროვნების ათი ჯარისკაცი გუშინ სახალხო დამცველის ოფისში მივიდა და ომბუდსმენს დახმარების თხოვნით მიმართა.

სამხედრო მოსამსახურეების განცხადებით, ისინი ოსიაურის სამხედრო ნაწილში ირიცხებიან, მაგრამ ამჟამად დედოფლისწყაროს ნაწილში მსახურობენ.

ჯარისკაცების თქმით, სამხედრო ნაწილის მეთაურები მათ ეთნიკურ ნიადაგზე ავიწროებენ, საკვებს აკლებენ, არ აძლევენ ჰიგიენურ საშუალებებს და ტანსაცმელს. სამხედროები აცხადებენ, რომ ნაწილის მეათაურები მათ ცუდად ეპყრობიან და ხშირად სჯიან, რადგან ქართულ ენაზე გაცემული ბრძანებები არ ესმით.

გამოქცეულ ჯარისკაცებს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი და ომბუდსმენის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსი გოგა ონიანი შეხვდნენ. სოზარ სუბარი მათ ვითარების შესწავლას დაჰპირდა და სამხედრო ნაწილში დაბრუნება ურჩია. ჯარისკაცთაგან სამმა მართლაც გაიზიარა მისი რჩევა.

თავის მხრივ, ომბუდსმენის ოფისში გუშინვე მივიდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ალეკო კიკნაძე. მისი განცხადებით, ამ საქმით საგამოძიებო ორგანოები დაინტერესდებიან და აუცილებლად დადგინდება, რა მდგომარეობაა რეალურად დედოფლისწყაროს სამხედრო ნაწილში.

სამხედრო ნაწილში არსებულ სიტუაციაში გარკვევისა და ჯარისკაცების პრეტენზიების გადამოწმების მიზნით, თბილისში დარჩენილი შვიდი ჯარისკაცი სამხედრო პოლიციაში ჩვენების მისაცემად გადაიყვანეს. მათ დაკითხვას ომბუდსმენის აპარატის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. რა დასკვნამდე მივლენ სამართალდამცველები, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ჯარისკაცებს ადმინისტრაციული სასჯელი არ დაეკისრებათ, რადგან მათ კანონი არ დაურღვევიათ - მათი სამხედრო ნაწილიდან წამოსვლის შემდეგ 48 საათი არ გასულა და თანაც ისინი სახალხო დამცველის აპარატში იმყოფებოდნენ.

გუშინვე, ჯარისკაცების გაქცევის გამო, კომენტარი გააკეთა იმ სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობამ, რომლიდანაც ჯარისკაცები გაიქცნენ. დედოფლისწყაროს უტილიზაციის ცენტრის დაცვის ოცეულის კაპიტანმა ზაზა ყანჩაშვილმა და ზემდეგმა ჯიმი ხოხონიშვილმა განაცხადეს, რომ ის ჯარისკაცები, რომლებმაც უტილიზაციის ცენტრი დატოვეს, რამდენიმე თვის წინ ოსიაურის ბაზიდან გაქცეული სამხედროები არიან.

ყანჩაშვილის თქმით, დედოფლისწყაროს ნაწილში ჯარისკაცებს სამხედრო სამსახურისთვის დამახასიათებელი მოვალეობების შესრულება არც უხდებათ და მხოლოდ ცენტრის დაცვა ევალებათ.

როგორც ირკვევა, დედოფლისწყაროს უტილიზაციის ცენტრში სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლა ეროვნებით აზერბაიჯანელ და სომეხ ჯარისკაცებს მოუწიათ. თუმცა, ნაწილიდან ჯარისკაცების გაქცევა ამ ორ ერს შორის ნაციონალურ დაპირისპირებას არ უკავშირდება. როგორც კაპიტანი ყანჩაშვილი ამბობს, მომხდარი უსიამოვნების მიზეზი ენობრივი ბარიერი იყო.

**"იმის ნაცვლად, რომ სამხედროებს სამხდრო ბრძანებები შეესრულებინათ, პირიქით მოქმედებდნენ. ისინი სამხედრო კანონებს არ ემორჩილებოდნენ. რაღაცას ვეტყოდით და გვეუბნებოდნენ, - თქვენი ენა არ გვესმისო.. ერთადერთი, რასაც ჩვენ მათგან მოვითხოვდით, ის იყო, რომ პოსტებზე ღამის მორიგეობა ეწარმოებინათ და არ დაეძინათ. ხშირად ყოფილა, როცა საღამოობით მწყემსებთან გაპარულან, მაგრამ მათთვის არანაირი შეურაცხყოფა არ მიგვიყენებია. მხოლოდ გაფრთხილებებს და საყვედურებს ვაძლევდით"**, - ასე იმართლებს თავს ყანჩაშვილი. ზემდეგი ჯიმი ხოხონიშვილი კი აღნიშნავს, რომ გაქცევის დღეს ჯარისკაცებს შორის უთანხმოება მოხდა: **"ამ დღეს ჯარისკაცები განსაკუთრებით ფუსფუსებდნენ და მოუსვენრად იყვნენ, მაგრამ ჩვენ ამის მიზეზს იმის გამო ვერ ვიგებდით, რომ ენობრივი ბარიერი იყო. საერთოდ, ამ ჯარისკაცებს გადმოსვლის დღიდანვე ჰქონდათ პრეტენზიები - ამბობდნენ, რომ აქაურობა არ მოსწონდათ და გაქცევით იმუქრებოდნენ", -** იხსენებს ხოხონიშვილი.

როგორც ირკვევა, ჯარისკაცებს სამხედრო ნაწილი 9 ოქტომბერს, საღამოს ცხრის ნახევარზე დაუტოვებიათ. ცენტრის მეთაურებმა გაქცეული ჯარისკაცების ძებნა მაშინვე დაიწყეს, მაგრამ, როგორც კაპიტანი და ზემდეგი ამბობენ, უსიამოვნებას ხელი იმ აზერბაიჯანელმა მწყემსებმა შეუწყეს, რომლებმაც გაქცეულები გადამალეს. უტილიზაციის დაცვის ცენტრის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს.

# პრეზიდენტი მოსამართლეების საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიას იძლევა

*გუშინ 33 ახალდანიშნული მოსამართლის ფიცის მოსმენის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა სასამართლო სისტემაში არსებული კრიზისული ვითარების გამოსწორება მოითხოვა.*

ოცდაცამეტმა ახალდანიშნულმა მოსამართლემ, რომლებიც ამ თანამდებობაზე კონკურსის წესით დაინიშნენ, საქართველოს პრეზიდენტის წინაშე ფიცი დადო. მოსამართლეები ქვეყნის პირველ პირს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა წარუდგინა.

მოსამართლეების წინაშე სიტყვით გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა აღნიშნა, რომ სასამართლოში ბოლო პერიოდში სერიოზული კრიზისი შეიქმნა, რომელიც უახლოეს მომავალში უნდა დაიძლიოს.

**"დღეს მოსახლეობა პოლიციას და პროკურატურას უფრო ენდობა, ვიდრე სასამართლოს. ამ სისტემაში არსებულ მძიმე ვითარებას ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი"**, - განაცხადა სააკაშვილმა, მოსამართლეებს სამართლიანობისა და ობიექტურობისკენ მოუწოდა და მათ საქმიანობაში ჩაურევლობის სრული გარანტია მისცა.

პრეზიდენტის თქმით, სასამართლო სისტემაში რეფორმების წარმატებით მიმდინარეობაზე 15 მოსამართლის დაკავების ფაქტიც მეტყველებს, მაგრამ, ამ 15 მოსამართლის გარდა, სასამართლო სისტემაში კიდევ ბევრი კორუმპირებულია, რომელთა გამოვლენა და პასუხისგებაში მიცემა აუცილებელია, რადგანაც სასამართლოს სისტემის მიმართ ნდობის დაბალი ხარისხი საქართველოში, ფაქტობრივად, სისტემაში არსებული კორუმპირებული კადრების ბრალია.

**"ჩვენ შეგიქმნით ყველა პირობას, გექნებათ თანამედროვე შენობები და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ხელფასებიასევე, გაძლევთ გარანტიას, რომ ხელისუფლება თქვენს საქმიანობაში არ ჩაერევა. სამაგიეროდ, თქვენ მოსახლეობას ობიექტურობის გარანტია უნდა მისცეთ. მჯერა, რომ უზენაესი სასამართლოს ამჟამინდელი თავმჯდომარე აუცილებლად მოახერხებს სისტემის დალაგებას და არც მოსამართლეებს უნდა ეშინოდეთ შანტაჟის, პრესის, ზეწოლის და ყვირილის, რადგან ხალხი მათ მხარესაა"**, - განაცხადა სააკაშვილმა.

თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი კი არ იზიარებს გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს სასამართლო სისტემა გაუმართავად მუშაობს და იქ მიმდინარე რეფორმები წარუმატებელია.

კუბლაშვილის თქმით, მთავარია, რეფორმების შედეგად სისტემაში მოვიდნენ კვალიფიციური, კეთილსინდისიერი და პრინციპული მოსამართლეები.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს იმედი აქვს, რომ ამჟამად არსებული მოსამართლეების დანიშვნის სისტემა სასამართლოს გამჭვირვალეს და დამოუკიდებელს გახდის ხელისუფლების ყველა სხვა შტოსაგან.

გუშინვე კიდევ ერთხელ ითქვა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტში შევა კანონპროექტი, რომელიც იუსტიციის საბჭოს შემადგენლობის მთლიანად გადახალისებას ითვალისწინებს - კერძოდ, კუბლაშვილის განცხადებით, უახლოეს ხანში იუსტიციის საბჭო მთლიანად მოსამართლეებისაგან დაკომპლექტდება.

*24 საათი*

# გრიპის ახალი პანდემია

## ცრუ განგაში თუ რეალური საფრთხე

### ფრინველის გრიპის ვირუსი აღმოჩენილია თურქეთსა და რუმინეთში

პირველი გვერდიდან

#### ვირუსი დასავლეთისკენ მიიწევს

ევროკომისიამ აკრძალვა დააწესა თურქეთიდან შინაური ფრინველისა და მისი ხორცის შემოტანაზე - ამის შესახებ ჯანდაცვის ევროკომისრის პრესმდივანმა ფილიპ ტოდმა განაცხადა. შეგახსენებთ, გასული კვირის ბოლოს თურქეთის ეგეოსის ზღვის სანაპირო რაიონში "ფრინველის გრიპის" დაავადების შემთხვევებს ჰქონდა ადგილი. მანიასის რაიონი კარანტინის მდგომარეობაშია და შინაურ ფრინველთა ხოცვა მიმდინარეობს.

ჯერჯერობით უცნობია, არის თუ არა თურქეთში გავრცელებული ვირუსი ადამიანის სიცოცხლისთვის საშიში. **"გამოკვლევებით დადასტურდა, რომ საქმე გვაქვს ფრინველის გრიპის ვირუსთან. თუმცა, ამ დროისთვის ჩვენ არ შეგვიძლია იმის თქმა, თუ ვირუსის რომელ სახეობაზეა საუბარი ან რამდენად პათოგენურია იგი,"** - განაცხადა ფილიპ ტოდიმ.

ორი დღით ადრე ფრინველის გრიპის ვირუსის გავრცელების ფაქტები დადასტურდა რუმინეთშიც - დუნაის დელტის რაიონში შინაური ფრინველის მასობრივ დაავადებას ჰქონდა ადგილი. ჯერჯერობით ევროკავშირი რუმინეთზე შეზღუდვებს არ აწესებს.

ორ ქვეყანაში დაავადებული ფრინველის გამოკვლევის საბოლოო შედეგები, სავარაუდოდ, ხვალ გახდება ცნობილი და, როგორც ბრიუსელში აცხადებენ, სწორედ ამის შემდეგ მიიღებენ შესაბამის ზომებს.

მართალია, ოფიციალური წყაროები ირწმუნებიან, რომ რუმინეთისა და თურქეთის შემთხვევებს ერთმანეთთან საერთო არ აქვთ, მაგრამ, შესაძლოა, ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ უკურნებელი ვირუსი, პროგნოზის თანახმად, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, კერძოდ, რუსეთიდან გავრცელდა.

ამ მოსაზრებას ისიც ამყარებს, რომ ივლისის თვიდან "ფრინველის გრიპის" ვირუსი რუსეთს კატასტროფული სისწრაფით მოედო, მოგვიანებით კი იგი ყაზახეთში - მოსაზღვრე რაიონებშიც იქნა აღმოჩენილი.

ალბათ, წინასაწარმეტყველური იყო რუსეთის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმის გენადი ონიშენკოს მიერ ჯერ კიდევ აგვისტოში გაკეთებული განცხადება. იგი აღნიშნავდა, რომ არ იყო გამორიცხული, შემოდგომაზე ქათმის გრიპი შავი და კასპიის ზღვების მიმდებარე ქვეყნებშიც გავრცელებულიყო. **"ფრინველთა მიგრაციის გზების ანალიზი უჩვენებს, რომ 2005 წლის შემოდგომის პერიოდში არ არის გამორიცხული დასავლეთ ციმბირიდან ვირუსის მოხვედრა ასტრახანის, როსტოვის, ვოლგოგრადის ოლქებში; ასევე, კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეებში და ამ რეგიონის მოსაზღვრე ქვეყნებში,"** - ნათქვამია ონიშენკოს წერილში, რომელიც აგვისტოში "როსპოტრებნადზორის" ინტერნეტ-გვერდზე გამოქვეყნდა.

იგი უფრო ავისმომასწავებელ პროგნოზსაც აკეთებდა, - ქათმის გრიპის ვირუსმა, შესაძლოა, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ტერიტორიაზეც შეაღწიოსო. რუსი ექიმის აზრით, მოვლენების ასეთი განვითარება სრულიად რეალურია - ციმბირიდან თბილ ქვეყნებში გადაფრენისას ფრინველებმა სწორედ ეს გზა უნდა გაიარონ.

#### ახალი პანდემია?

ფრინველის გრიპის ვირუსით ადამიანის დაავადების პირველ შემთხვევებს 1997 წელს ჰონკონგში ჰქონდა ადგილი. H5N1 ტიპის ვირუსით დაავადებული 18 ადამიანიდან მაშინ 6 დაიღუპა. ვირუსის მომდევნო "აფეთქება" 2003 წლის ბოლოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მოხდა. დღემდე ამ დაავადებამ 66 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ნიშანდობლივია, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ის ადამიანები დაავადდნენ, რომელთაც ფრინველთან უშუალო კონტაქტი ჰქონდათ.

განუზომლად დიდი იყო ზარალი რეგიონის სოფლის მეურნეობისთვის - ვიეტნამში, ტაილანდში, ლაოსში და რეგიონის სხვა ქვეყნებში 140 მილიონზე მეტი ფრთა შინაური ფრინველი გაწყვიტეს.

გასულ ზაფხულში ფრინველის გრიპი მოედო რუსეთისა და ყაზახეთის მთელ რიგ რაიონებსაც (როგორც ვარაუდობენ, გარეული ფრინველების მიგრაციის შედეგად). რუსი ეპიდემოლოგების თქმით, ზაფხულში "ფრინველის გრიპის" აფეთქებას ადამიანთა სიკვდილი არ მოჰყოლია. თუმცა, ექსპერტები შიშობენ, რომ მან (ვირუსმა) შეიძლება მალე მუტაცია განიცადოს და ადამიანიდან ადამიანს გადაეცეს.

გასულ კვირას გაერო-ს გენერალურმა მდივანმა "ფრინველის გრიპთან" ბრძოლის სპეციალურ კოორდინატორად დევიდ ნაბარო დანიშნა. 56 წლის ექიმის, რომელსაც მანამდე მაღალი თანამდებობები ეკავა მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციაში, ამოცანა იქნება გაერო-ს სხვადასხვა სააგენტოს შორის კოორდინაცია, რათა მსოფლიო ახალი პანდემიის წარმოქმნის შესაძლებლობას მომზადებული შეხვდეს.

ნაბაროს თქმით, ადამიანისთვის საშიში H5N1 ტიპის ვირუსის მუტაცია სრულიად შესაძლებელია, რის შემდეგაც დაავადების გავრცელების მასშტაბები კატასტროფულად მოიმატებს. ნაბარო ძალიან დამთგრუნველ პროგნოზს აკეთებს - მისი თქმით, ფრინველი გრიპის პანდემიამ, შესაძლოა, ხუთიდან 150 მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლოს.

მართალია, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ მალევე სცადა, გაექარწყლებინა ნაბაროს მიერ დასახელებული "გრანდიოზული" ციფრები, მაგრამ ორგანიზაციის წარმომადგენლის დიკ ტომსონის მიერ გაკეთებული პროგნოზიც არ გამოიყურება იმედის მომცემად - მოსალოდნელმა პანდემიამ, ტომსონის თქმით, შესაძლოა, ორიდან 7,4 მილიონამდე ადამიანი შეიწიროს. **"არავინ იცის, რამდენი ადამიანი დაიღუპება შესაძლო პანდემიის შედეგად. ამასთანავე, პანდემია შეიძლება დაიწყოს ფრინველის გრიპის ვირუსის სხვა ტიპისგანაც და არა მარტო H5N1 ტიპის ვირუსისგან. შემდეგი პანდემია შეიძლება 50 წლის შემდეგ დაიწყოს და მილიონობით ადამიანი იმსხვერპლოს,"** - ამბობს დიკ ტომსონი.

#### გარეული ფრინველების მიგრაცია თუ ფრინველის ხორცის იმპორტი

რუსი ეპიდემიოლოგები ირწმუნებიან, რომ ვირუსის გადატანას თბილ ქვეყნებში ფრინველების სეზონური მიგრაცია უწყობს ხელს. თუ ეს ვერსია სიმართლეს შეეფერება, ვირუსის გავრცელების გეოგრაფიული არეალი, ფაქტობრივად, შეუზღუდავია. გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში, კარანტინიც ვერ იძლევა დაავადების ლოკალიზების სრულ გარანტიას.

გუშინ მთელ ევროპაში განგაში დაიწყო. თურქეთიდან და რუმინეთიდან ფრინველის იმპორტი ევროკავშირის კვალდაკვალ სხვა ქვეყნებმაც აკრძალეს. პირველ რიგში, აკრძალვები დააწესა ამ ორ ქვეყანას შორის მოქცეულმა ბულგარეთმა. ფრინველის იმპორტი აკრძალულია შვეიცარიაშიც. სხვათა შორის, თურქეთიდან ქათმის შეტანა შეწყვიტა აზერბაიჯანმაც, თუმცა - მხოლოდ იმ რეგიონიდან, სადაც დაავადების შემთხვევებს ჰქონდა ადგილი.

მაგრამ, შინაურ ფრინველსა და მისი ხორცის იმპორტზე აკრძალვების დაწესება მხოლოდ ამცირებს საფრთხეს - ვირუსის გავრცელების შესაძლებლობა კი კვლავაც რჩება.

ალბათ, ამის გამო არიან ასე ძლიერ მსოფლიოს ლიდერები შეშფოთებულნი. აშკარა ხდება, რომ ერთადერთი გამოსავალი ეფექტური ვაქცინის შექმნაში მდგომარეობს. მოსალოდნელი პანდემიის საფრთხე აშშ-ს სახელმწიფო მოხელეებსაც აიძულებთ, ქმედითი ღონისძიებები გაატარონ ქვეყნის ვაქცინების მწარმოებელ ინდუსტრიაში. გუშინ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ვაქცინების მწარმოებელი ძირითადი კომპანიების ხელმძღვანელებს შეხვდა. თეთრი სახლის წარმომადგენლის განცხადებით, შეხვედრის მიზანი იყო აშშ-ს **"ვაქცინების წარმოების შესაძლებობის გაზრდა მოსალოდნელი რისკის თავიდან ასაცილებლად".**

გარდა ამისა, აშშ ცდილობს, მოსალოდნელი საფრთხის წინაშე მთელი მსოფლიო გააერთიანოს. აშშ-ს ჯანდაცვის მდივანი გუშინ სპეციალური ვიზიტით სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას ესტუმრა. ვიზიტის მიზანი თანამშრომლობის გაღრმავება ვირუსთან ბრძოლის სფეროში იყო. როგორც მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელი პიტერ კორდინგლი აცხადებს - **"შეუძლებელია, ებრძოლო მას (ფრინველის გრიპს) მხოლოდ აშშ-ში... მასთან ბრძოლა საჭიროა აზიაში - იქ, სადაც წარმოიშვა".**

# პირველად ისტორიაში - ქალი კანცლერი

*გერმანიის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ წარმოშობილი კრიზისი, როგორც ჩანს, მალე გადაიჭრება. ევროპის უმდიდრეს სახელმწიფოს უახლოეს მომავალში "დიდი კოალიცია" ჩაუდგება სათავეში. მართალია, ჯერჯერობით ცნობილი არ არის ახალი მთავრობის შემადგენლობა, მაგრამ კანცლერის ვინაობა რომ გაირკვა, აშკარაა.*

*გერმანიის ისტორიაში პირველად ქვეყნის ახალი კანცლერი გახდება ქალი - ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერი ანგელა მერკელი. არჩევნებში მისი კონკურენტი, ყოფილი კანცლერი გერჰარდ შრიოდერი კი, სავარაუდოდ, პოლიტიკიდან წავა.*



*ანგელა მერკელი ევროპის უმდიდრესი სახელმწიფოს ისტორიაში პირველი ქალი მმართველი იქნება.*

მოქმედმა კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა და ანგელა მერკელმა სამკვირიანი მოლაპარაკებების შემდეგ მიაღწიეს შეთანხმებას კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ, რომელშიც შრიოდერის სოციალ-დემოკრატიული პარტიის და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წარმომადგენლები შევლენ. ჯერჯერობით ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ.

შეგახსენებთ, გერმანიაში 18 სექტემბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. თუმცა, ეს გამარჯვება მხოლოდ პირობითი იყო - მათ მხოლოდ 4 მანდატით მეტი მოიპოვეს ბუნდესტაგში.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, მინისტრთა ახალ კაბინეტში სოციალ-დემოკრატები საგარეო საქმეთა, ფინანსთა, იუსტიციის და შრომის სამინისტროებს ჩაუდგებიან სათავეში.

გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრიოდერი პოლიტიკიდან მიდის. ეს განცხადება თავად შრიოდერმა ანგელა მერკელთან, ასევე, "სოციალ-დემოკრატიული პარტიის" და "ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირის" ლიდერებთან შეხვედრისას გააკეთა.

**"ჩემი შემდგომი ცხოვრების გზას სხვაგვარად ვხედავ,"** - კანცლერის ამ სიტყვების ციტირებას გერმანული ტელეარხები "ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის" წყაროებზე დაყრდნობით ახდენენ.

გერმანული ტელეარხების მონაცემებით, შრიოდერის მთავრობის რამდენიმე მინისტრმა - კერძოდ, ეკონომიკის მინისტრმა ვოლფგანგ კლემენტემ და თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა პეტერ შტრუკემ მომავალ კოალიციურ მთავრობაში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. თუმცა, მათი კანდიდატურები სხვადასხვა პოსტზე განიხილებოდა.

18 სექტემბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში "ქრისტიან-დემოკრატებმა" - 226 ადგილი, "სოციალ-დემოკრატებმა" კი 222 ადგილი მოიპოვეს. კოალიციური მთავრობის ფორმირების შესახებ მოლაპარაკება, თითქმის, ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. მხარეთა შორის მთავარი სადავო საკითხი ის იყო, თუ ვინ უნდა ჩადგომოდა სათავეში მთავრობას - გერჰარდ შრიოდერი თუ ანგელა მერკელი.

"დიდი კოალიციის" შექმნის შესახებ პარტიებს შორის მიღწეული შეთანხმება ბუნდესტაგმა უნდა დაამტკიცოს.

*24 საათი*

# პოლონეთის პრეზიდენტის ვინაობა არჩევნების მეორე ტურში გაირკვევა

პოლონეთის მომავალი მმართველის სახელი კვლავ უცნობი რჩება. კვირას გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში, წინასწარი მონაცემებით, ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ შეძლო ხმათა საკმარისი ოდენობის დაგროვება. მეორე ტურში, რომელიც ორი კვირის შემდეგ გაიმართება, სავარაუდოდ, მემარჯვენე პარტიების ორი წარმომადგენელი იბრძოლებს გამარჯვებისთვის.

მეორე რაუნდში ერთმანეთის წინაშე დონალდ ტუსკი და ლეხ კაჩინსკი წარდგებიან, სადაც მცირე არითმეტიკული უპირატესობაც საკმარისი იქნება გამარჯვებისთვის. ორ კანდიდატს შორის სხვაობა ამჟამადაც მხოლოდ 1,5 პროცენტს შეადგენდა. ლიბერალური პარტიის "სამოქალაქო პლატფორმის" ლიდერმა დონალდ ტუსკმა ხმების 34,8 პროცენტი მოაგროვა. მის მთავარ ოპონენტს, მემარჯვენე ცენტრისტული პარტიის "სამართალი და სამართლიანობის" ლიდერს ლეხ კაჩინსკის ამომრჩეველთა 33,3 პროცენტმა დაუჭირა მხარი.

მეორე ტურის მთავარი ინტრიგა ის იქნება, თუ რომელ მათგანს მისცემს ხმას სხვა კანდიდატების მხარდამჭერი ამომრჩეველი - განსაკუთრებით, ნაციონალისტი ელექტორატი. აღსანიშნავია, რომ მესამე ადგილზე პოპულისტ (შეიძლება ითქვას, სკანდალურ) პოლიტიკოსად მიჩნეული ანჟეი ლეპერი გავიდა. მას ამომრჩეველთა 15 პროცენტზე მეტმა მისცა ხმა. ლეპერი ხელმძღვანელობს ანტიევროპულ ნაციონალისტურ პარტია



*დონალდ ტუსკი და ლეხ კაჩინსკი.*

"თავდაცვას".

ასევე, მნიშვნელოვანი იქნება, თუ ვისკენ გადაიხრება "მემარცხენე" იდეოლოგიის მხარდამჭერ პოლონელთა სიმპათია - მემარცხენეთა ძირითადმა კანდიდატმა მარეკ ბოროვსკიმ ხომ ხმების ათ პროცენტზე მეტი მიიღო.

ასე რომ, პოლონეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგების პროგნოზირება უაღრესად რთულია.

შეგახსენებთ, პოლონეთის ამჟამინდელ პრეზიდენტს, ყოფილ კომუნისტთა წარმომადგენელს, ალექსანდრ კვასნევსკის სახელმწიფოს მეთაურის პოსტი ზედიზედ ორი ხუთწლიანი ვადით ეკავა და არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

*24 საათი*

# ევროსაბჭოს კატეგორიული მოთხოვნა

ევროსაბჭო საქართველოს პარლამენტისაგან ეროვნული უმცირესობებისათვის ჩარჩო კონვენციის მიღებას დაჟინებით და კატეგორიულად, უმოკლეს ვადებში მოითხოვს.

პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ელენე თევდორაძის განცხადებით, პარლამენტი ძალიან ცუდ დღეშია ჩავარდნილი. ევროსაბჭოს წარმომადგენლები სექტემბერში უნდა ჩამოსულიყვნენ საქართველოში ვიზიტით, თუმცა, ქართველი დეპუტატების აქტიური ჩარევით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენელთა ვიზიტი ნოემბრისთვის გადაიდო, სწორედ იმის გამო, რომ საქართველოს პარლამენტს მოესწრო და ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენციის და ეროვნული უმცირესობების ენების შესახებ კონვენციების რატიფიკაცია მოეხდინა. "თუმცა, საქართველოს პარლამენტმა ვერც ერთი ვალდებულება ვერ შეასრულა," - აღნიშნა თევდორაძემ.

საქართველოს პარლამენტი იმ დათქმების დათმობას მოითხოვს, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეროვნულ უმცირესობათა კონვენციასთან დაკავშირებით შეიმუშავა. თუმცა, როგორც პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გაირკვა, აღნიშნული დათქმები საგარეო საქმეთა სამინისტროდან პარლამენტში წარმოდგენილი ჯერ კიდევ არ არის.

***ინტერპრესნიუსი***

## ორი სიტყვით

**აზია.** პაკისტანის ჩრდილოეთში მომხდარმა კატასტროფულმა მიწისძვრამ 30-40 ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ამის შესახებ გაერო-ს ბავშვთა ფონდის - "იუნისეფის" წარმომადგენელმა ისლამაბადში, ჯულია ლევერტონმა განაცხადა. ჯულია ლევერტონმა "ფრანს-პრესის" სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ ეს ციფრები პაკისტანის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მონაცემებს ეყრდნობა.

ოფიციალური ინფორმაციით, მიწისძვრის შედეგად ქვეყნის, დაახლოებით, 60 ათასი მცხოვრები დაშავდა. სტიქიით ყველაზე მეტად დაზარალებულ ქაშმირში სამაშველო სამუშაოებს გაერო-ს წარმომადგენლები უწევენ კოორდინაციას. სახლების ნანგრევებში გადარჩენილებს ჩინეთიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, იაპონიიდან და ევროპის ქვეყნებიდან პაკისტანში ჩასული სპეციალისტები ეძებენ.

პაკისტანში სამდღიანი გლოვაა გამოცხადებული. რიხტერის სკალით 7,6 ბალის სიძლიერის მიწისძვრა სამხრეთ აზიაში შაბათს, დილით მოხდა. მისი ეპიცენტრი ისლამაბადიდან აღმოსავლეთით 95 კმ-ში მდებარეობდა. პაკისტანის მეზობელ ინდოეთში მიწისძვრამ, დაახლოებით, 700 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

გაერო-ს ჰუმანიტარული საქმიანობის საკოორდინაციო სამმართველოს წარმომადგენლის ელიზაბეტ ბირსის განცხადებით, მიწისძვრის შედეგად პაკისტანსა და ინდოეთში ორმილიონნახევარზე მეტი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. პაკისტანის მთავრობამ განაცხადა, რომ მზად არის, ნებისმიერი დახმარება მიიღოს. ისლამაბადის თხოვნას მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი პოლ ვულფოვიცი უკვე გამოეხმაურა. მან ჟურნალისტებს აცნობა, რომ, დამანგრეველი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, ორგანიზაცია პაკისტანს 20 მილიონ დოლარს გამოუყოფს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**ერაყი.** ბაღდადში გუშინ არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წარმომადგენელთა კორტეჟზე თავდასხმა განხორციელდა. ბოევიკებმა ავტოკოლონას ცეცხლი გაუხსნეს. თავდასხმისას არავინ დაშავებულა.

ამ ინციდენტამდე რამდენიმე საათით ადრე ერაყის დედაქალაქში მორიგი ტერაქტი მოხდა. ქალაქის დასავლეთ ნაწილში მდებარე პოლიციის საგუშაგოსთან დანაღმული ავტომანქანის აფეთქების შედეგად სამი პოლიციელი და სამი გამვლელი დაიღუპა. წინა დღეს "ბოევიკებმა" თავდასხმათა სერია განახორციელეს ერაყის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ კირკუკშიც, რის შედეგადაც მოკლულია - ოთხი და დაჭრილია ათი ერაყელი ჯარისკაცი. **24 საათი**



ინფოთეკა

## ბრაზილიაში ბოტაფაგოელი გულშემატკივარი მოკლეს

ბრაზილიური საფეხბურთო კლუბის "ბოტოფაგოს" გულშემატკივარს საყვარელი გუნდის თამაშის შემდეგ პოლიციელმა ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა. ბრაზილიის პოლიციის განყოფილებაში კი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აზუსტებენ, რომ მატჩის შემდეგ რიო დე ჟანეიროში "ლუსო ბრასილენოს" სტადიონის წინ ფანატიკოსთა დაჯგუფებებს შორის ჩხუბი ატყდა. ვითარების განსამუხტავად კონფლიქტში პოლიციელები ჩაერთვნენ, ხოლო ერთ-ერთმა სამართალდამცავმა შემთხვევით ესროლა 29 წლის უილსონ პომპეუს, რომელიც დიდი რაოდენობით დაკარგული სისხლის გამო საავადმყოფოში გარდაიცვალა. გულშემატკივრის მკვლელი პოლიციელი ამჟამად დაკავებულია, ხოლო მომხდართან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

## სკოლარის ევროპულმა კლუბებმა დაადგეს თვალი

"ფრანს პრესის" ცნობით, პორტუგალიის ნაკრების ბრაზილიელი მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი პირენეელთა გუნდს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულებისთანავე დატოვებს. იმავე სააგენტოს ცნობით, სკოლარის ამგვარ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია ცნობილი ევროპული კლუბების მიერ შეთავაზებულმა წინადადებებმა, რომლებსაც ბრაზილიელი სპეციალისტის საკუთარ კლუბებში ხილვა სურთ. მათი რაოდენობა კი საკმაოდ დიდი ყოფილა.

"თუ პორტუგალიის ნაკრები გერმანიაში წარუმატებლად გამოვა, ბუნებრივია, სკოლარი თანამდებობას დატოვებს. იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც ჩვენ გვსურს, ჩვენდა სამწუხაროდ, მის დაკავებას მაინც ვერ შევძლებთ", - აცხადებს პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჟილბერტო მადაილი.

## რუმინელები ფინეთის ნაკრებს 10 ათასი ევროთი წაახალისებენ

რუმინეთის მოწინავე სპორტული გამოცემა "Gazeta Sporturilor" ფინეთის ნაკრებს ჩეხეთის ნაკრებთან ფრესთვის (ან მოგებისთვის) 10 ათას ევროს სთავაზობს! საქმე ისაა, რომ თუ ფინელები ჩეხებს დაამარცხებენ ან ფრეს მიაღწევენ, რუმინეთის ნაკრებს 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გადამწყვეტ მატჩში თამაშის საშუალება მიეცემა.

ჰელსინკში გამარჯვების შემდეგ რუმინელთა დამრიგებელმა ვიქტორ პიცურკამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინააღმდეგი არ იქნება, თუ ჩეხეთთან მატჩისთვის ფინელებს გარკვეულ სტიმულს მისცემენ. კრისტიან კივუმ და ადრიან მუტუმ კი რუმინეთის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლის სანაცვლოდ მათთვის განკუთვნილ პრემიალურ 60 ათას ევროზე უარი თქვეს. რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მირჩა სანდუმ კი განაცხადა, რომ ფინეთის ნაკრების სტიმულირებაზე ლაპარაკიც არ უნდა იყოს.

## ინგლისელებს პრემიალურებს უთვლიან

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოგების შემთხვევაში ინგლისის ნაკრების თითოეული მოთამაშე 300 ათას დოლარს მიიღებს. ბრიტანული ტაბლოიდის The Sun-ის ცნობით, ინგლისის ნაკრების თითოეულ წევრს მხოლოდ ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში 20-20 ათასი დოლარი გადაეცემათ. საგულისხმოა, რომ მომდევნო თვეების განმავლობაში ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებთან მსოფლიო ჩემპიონატისთვის დაწესებული პრემიალურების ოდენობაზე მოლაპარაკებებში მონაწილეობას მიიღებენ მოთამაშეთა კომიტეტის წევრები დევიდ ბექჰემი, მაიკლ ოუენი, სოლ კემპბელი და გერი ნევილი.

ფეხბურთი

# ერთი შემადგენლობით თამაში სარისკოა

*გაზეთ "მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში მადრიდის "რეალის" საფეხბურთო დირექტორი არიგო საკი კლუბში არსებულ ვითარებაზე საუბრობს. მას მიაჩნია, რომ "რეალს" უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია და მას მიმდინარე სეზონში ჯილდოების მოგება შეუძლია. თუმცა, ამბობს, რომ ამისთვის საჭიროა ერთ მუშტად შეკვრა და შესაძლებლობების მაქსიმალურად დახარჯვა. საკი შემადგენლობის როტაციაზეც ამახვილებს ყურადღებას.*


საკის თქმით, შემადგენლობის როტაცია აუცილებელია.

**მიზანი:** "ამ ზაფხულს კლუბის პრეზიდენტმა დიდი კაპიტალდაბანდებები განახორციელა. ჩვენ უზარმაზარი პოტენციალი გვაქვს. უდიდესი ტექნიკური არსენალის პატრონები ვართ, მაგრამ უმთავრესი როლი წარმატების მიღწევაში მაინც გუნდურ თამაშს მიუძღვის. სწორედ ამაზე მუშაობს მუხლჩაუხრელად ვანდერლეი ლუშემბურგო. ჩვენ ყველანი ერთი მიმართულებით უნდა წავიდეთ. შემართებით ვითამაშოთ და ყოველ მატჩში მაქსიმალურად დავიხარჯოთ".

**შემადგენლობის როტაცია:** "მარტოოდენ "გალაქტიკოსები" თუ ითამაშებენ მთელი სეზონის განმავლობაში, ეს ძალიან სარისკო ნაბიჯი იქნება. კვირას "მილანმა" კაფუს, კაკას, პირლოსა და ჯილარდინოს გარეშე ითამაშა. "იუვემ" კი ემერსონისა და ნედვედის გარეშე... არაფერს ვამბობ "ჩელსიზე". ჩვენ თუ მინდორზე მხოლოდ ერთი და იგივე შემადგენლობას გამოვიყვანთ, თამაშის ხარისხი დაეცემა. გუნდს დაღლა დაეტყობა და ტრავმებიც მოიმატებს... შემადგენლობის როტაციას ყველა ევროპული გრანდი მიმართავს. გავაკეთებთ ამას თუ არა, ეს ვანდერლეიზე იქნება დამოკიდებული".

**შენაძენი:** "ჩვენ შევეცადეთ შემადგენლობა იმ ფეხბურთელების ხარჯზე გაგვეახალგაზრდავებინა, ვინც უკვე ახლა აჩვენებს თამაშის მაღალ ხარისხს და მომავალში კიდევ უფრო მოუმატებს. თუმცა, ამავე დროს ვცდილობთ შემადგენლობა ყველა რგოლში კიდევ უფრო დავაბალანსოთ. დიოგოზე დიდ იმედებს ვამყარებ, მისი ძალიან მჯერა. მართალია, ის ცოტას თამაშობს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მას სამი წლის განმავლობაში არდადეგები არ ჰქონია. ბაპტისტა არ არის ელეგანტური ფეხბურთელი, მაგრამ მხოლოდ ელეგანტურები არ იგებენ თამაშს. ის ძალიან დაგვეხმარება. პაბლო გარსიას მუშაობა ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ის გუნდზე და გუნდისთვის თამაშობს. თანამედროვე ფეხბურთში კი მხოლოდ ტექნიკის ხარჯზე ფონს ვერ გახვალ. სერხიო რამოსი უნდა დამშვიდდეს, მსაჯს არ მისცეს დასტვენის დაბაბი. თუმცა, ვაღიარებ, მისი ბოლო გაძევება უსამართლო იყო. მას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ მადრიდში წარმატებას მიაღწიოს".

**ჩემპიონთა ლიგა:** "ვფიქრობ, ამ დროისთვის ევროპაში ყველაზე ძლიერი გუნდები არიან "იუვენტუსი" და "ჩელსი". მათი ფეხბურთი შეიძლება მოგეწონოს ან არ მოგეწონოს, მაგრამ ამ გუნდებს მკვეთრად განსაზღვრული პროექტი აქვთ. თუმცა, მე ძალიან მჯერა ჩემი გუნდის და ვიცი, რომ გადამწყვეტ მომენტში შეგვიძლია სიურპრიზების შემოთავაზება". ევროპული გრანდების არც ერთმა მწვრთნელმა - არც "იუვეს", არც "მილანის", არც "მანჩესტერ იუნაიტედის" და არც "ჩელსის" მწვრთნელმა ფავორიტთა შორის არ დაგვასახელა".

**დევიდ ბექჰემი:** "მე ის ძალიან მომწონს და რაც უფრო მეტად ითამაშებს გუნდისთვის, მით უფრო ხარისხიანი თამაში გამოუვა. ბექჰემი სპეციალისტი არ არის და შეიძლება მასზე მაღალი კლასის ფეხბურთელებიც არსებობენ, მაგრამ რაც დევიდმა იცის, იმას უმაღლეს დონეზე აკეთებს".

# ჰოლანდიელები გმირებს ირჩევენ

ჰოლანდიური პრესა კომპლიმენტებს არ იშურებდა ნაკრების მწვრთნელის მარკო ვან ბასტენისა და პრაღის მატჩის ერთ-ერთი გმირის, მეკარე ედვინ ვან დერ საარის მიმართ.

ჩეხებთან შეხვედრაში ჰოლანდიელთა გამარჯვება რაფაელ ვან დერ ვაარტისა და ბარი ოპდამის გოლებმა უზრუნველყვეს. მათ ორი გოლი 8 წუთის შუალედში გაიტანეს მას შემდეგ, რაც ედვინ ვან დერ საარმა ტომაშ როსიცკის მიერ დარტყმული პენალტი მოიგერია.

"მზადების პროცესში მე როსიცკის რამდენიმე პენალტის ვარიანტი დავამუშავე. თუმცა, მას გამორბენის დროს მსაჯის სასტვენმაც შეუშალა ხელი, რომელმაც ფეხბურთელი შეაჩერა, - ამბობს "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე, - პირველი 30 წუთის განმავლობაში ჩვენ რამდენიმე უსიამოვნო ეპიზოდი გადავიტანეთ. მაშინ ჩვენი ცენტრალური მცველები დისკომფორტს განიცდიდნენ. იმან, რომ პენალტის შემდეგ თითქმის მაშინვე გავხსენით ანგარიში, უდიდესი ფსიქოლოგიური უპირატესობა გვარგუნა".


ედვინ ვან დერ საარი - ჩეხეთთან მატჩის გმირი.

საერთაშორისო არენაზე გამართულ 104-ე მატჩში ვან დერ საარმა საკუთარი კარი ზედიზედ მერვედ მშრალად შეინარჩუნა. ამასთან, ფრანკ დე ბურის რეკორდამდე ვან დერ საარს 8 მატჩიღა დარჩა, მაგრამ მთავარი ჯილდო მაინც ის იყო, რომ ვეტერანი ფეხბურთელი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდა. "ჩემს ასაკში მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის სხვა შანსი აღარ მომეცემა", - განაცხადა ჰოლანდიის ნაკრების მეკარემ.

თუ ვან დერ საარი ბოლო შესარჩევი მატჩის გმირი გახდა, გუნდის მწვრთნელი მარკო ვან ბასტენი ასეთად მთელი შესარჩევი ციკლის განმავლობაში გვევლინება. "შესარჩევ ეტაპზე წაუგებელი სერიით ვან ბასტენმა ზაფხულამდე მაინც გააჩუმა მისი კრიტიკოსები", - წერს გაზეთი "ტელეგრაფი".

"მისი გუნდი არცთუ ისე მიმზიდველ ფეხბურთს აჩვენებს, მაგრამ ციფრები თავისას ამტკიცებენ. ვან ბასტენის ხელმძღვანელობით გამართულ 11 შეხვედრაში გუნდმა 27 გოლი გაიტანა და საკუთარ კარში მხოლოდ 3 მიიღო. მისი გუნდი ისეთი ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული, რომლებზეც ცოტა ხნის წინათ ვერავინ იტყოდა, რომ უმაღლეს დონეზე თამაში შეუძლიათ. მომავალში კი ისინი მაღალი მიზნებისთვის ბრძოლასაც შესძლებენ" - Algemeen Dagblad.

ფორვარდი რუუდ ვან ნისტელროი, რომელსაც შეუძლია პირველად ითამაშოს გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონატზე, საკმაოდ კმაყოფილი ჩანს. "მსოფლიო ჩემპიონატს მარტო მე არ ველი მოუთმენლად, - განაცხადა ფორვარდმა, - ამ გუნდის მთელი მარილიც ის არის, რომ ფეხბურთელთა უმრავლესობა ახალგაზრდაა და კიდევ შეუძლია პროგრესირება. მსოფლიო ჩემპიონები გავხდეთ? რატომაც არა? თუ არ იოცნებე, ცხოვრება მოსაწყენი გახდება".

ჩოგბურთი

# მარი პირსი: "შარაპოვას არ ვემდური"

მსოფლიოს მეექვსე ჩოგანმა ფრანგმა მარი პირსმა ერთხელ მოიგო კრემლის თასი, მაგრამ ბოლო ორი გათამაშება ფრანგი ჩოგბურთელისთვის უიღბლო გამოდგა. პირსი ახლა მოსკოვში ტურნირზე იმყოფება და ჟურნალისტებს შეჯიბრებისა და მარია შარაპოვას შესახებ უამბობს.

**- მარი, თქვენ ხომ არ გსურდათ მოსკოვში ჩამოსვლა და ტურნირზე შემთხვევით აღმოჩნდით - ლინდსი დევენპორტის ტრავმის გამო. რა გეგმები გქონდათ და რატომ შეიცვალა ისინი?**

- სიმართლე რომ გითხრათ, განსაკუთრებული გეგმა არ მქონია. მე კალენდარში პაუზის გაკეთება მქონდა დაგეგმილი. შემდეგ კი ვფიქრობდი, რომელიმე ღირსეულ ტურნირში მიმეღო მონაწილეობა. აზიაში წასვლა მინდოდა, მაგრამ მოსკოვის ტურნირი უფრო ძლიერია და სარეიტინგო ქულებსაც უფრო უხვად იძლევიან. სწორედ ამიტომ ჩამოვედი რუსეთის დედაქალაქში. ჩემი უმთავრესი მიზანი კი მასტერსის სერიის ტურნირზე კარგი გამოსვლაა, რომელიც ლოს ანჯელესში გაიმართება.

**- აქ მთელი ყურადღება მარია შარაპოვაზეა გადატანილი. მისი ყოველი ნაბიჯი ფიქსირდება, მას ყველაზე დიდი რიგი უდგას ავტოგრაფებზე. ამაზე რას იტყვით? ეს ყველაფერი გულს გტკენთ თუ გაღიზიანებთ?**

- ეს ცხოვრებაა. ამჟამად მთელი მსოფლიო მაშას გარშემო ტრიალებს. ის რეიტინგში პირველი თუ მეორე ნომერია. სიმართლე გითხრათ, არც ვიცი. ასე რომ, ეს პოპულარობა აბსოლუტურად გასაგებია. სიბრიყვეა ამის გამო მაშას გაებუტო.



**- ანასტასია მისკინამ განაცხადა, თუმცა, შემდეგ უარყო ინფორმაცია, რომ ნაკრებიდან წასვლას აპირებს და ფედერაციის თასზე აღარ ითამაშებს. მიზეზი ცნობილია - მას სურს ახალგაზრდებს დაუთმოს ადგილი. თქვენ არ გეგმავდით ნაკრებიდან წასვლას?**

- საქმე ის არის, რომ საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ჩემს თამაშებს კალენდრით ადგენენ. წელს მე სწორედ ამ კალენდრის მიხედვით ვცხოვრობ. მომავალში რა მოხდება, უბრალოდ არ ვიცი. თუმცა, ერთმნიშვნელოვნად ვიცი, რომ არ მინდა ეროვნული გუნდიდან წასვლა. იქ შესანიშნავი ატმოსფერო სუფევს და ჩოგბურთის თამაშით სიამოვნებას ვიღებ. სიმართლე გითხრათ, მთავარი ჯილდოს მოგებას ვგეგმავ.

**- საინტერესოა, რუსეთის ნაკრებთან შეხვედრაში რა დაგაკლდათ გამარჯვებამდე?**

- ყველაფერი ელენა დემენტიევას ბრალია. მან საოცარი ჩოგბურთი წარმოგვიდგინა. სწორედ ის გახდა რუსეთის ნაკრების გამარჯვების შემოქმედი. თუმცა, იმ უქმეებზე ფრანგმა გულშემატკივარმაც ისიამოვნა.

**- ახლა რუსეთში შურისძიებისთვის ჩამოხვედით?**

- რას ბრძანებთ. მე არ ვარ ის ადამიანი, ვისაც შურისძიება ხიბლავს. 1999 წელს კრემლის თასი მოვიგე. შემდეგ კიდევ ორჯერ ვითამაშე მოსკოვის ტურნირზე. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ადრე ჩვენ სასტუმროში ვცხოვრობდით და კორტებამდე ფეხითაც შეიძლებოდა მისვლა. მაშინ აქ მხოლოდ ქალები ასპარეზობდნენ. ამ ქვეყანაში სიამოვნებით ჩამოვდივარ. აქ, მოსკოვში, ვცდილობ, რაც შეიძლება დიდი დრო გავატარო სუფთა ჰაერზე, მზის სხივების ქვეშ. "ოლიმპიისკის" დარბაზში მხოლოდ მაშინ შევდივარ, როცა ვარჯიში ან თამაში მაქვს.

**- როგორ აფასებთ ახლანდელ პირობებს?**

- კორტი უაღრესად მძიმეა და განსხვავდება იმისგან, რომელსაც მიჩვეული ვარ. ამას გარდა, ის ძალიან ტრავმასაშიშია. ამბობენ, რომ ზოგიერთი სპორტსმენი უკვე დაშავდა. ისე გამოდის, რომ სპორტსმენი ფეხებით საფარს ეჭიდება.

**- ფედერაციის თასის ფინალის შემდეგ თქვენ სადღაც დაიკარგეთ. რას აკეთებდით?**

- პარიზში ბინა ვნახე. საფრანგეთის სამხრეთში გავემგზავრე. ჩემს ნათესავებს გოგონა შეეძინათ და ბავშვი ვინახულე. შემდეგ დედაქალაქში დავბრუნდი და კვლავ ბინას ვეძებდი. ვისვენებდი. ღონეს ვიკრებდი.

**- მოსკოვს ვისთან ერთად ეწვიეთ?**

- ძმასთან და სპარინგ-პარტნიორთან ერთად.

ინფოთეკა

## "ფერარი" რვიდან ათ ცილინდრამდე იზრდება

გაუმჯობესებული ტექნიკური მახასიათებლების მქონე ბოლიდი, რომელიც მესაჭეებს ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლის საშუალებას მისცემს, "ფერარის" საჯინიბო 2006 წლის იანვარში გამოცდის.

"ახალ მანქანას დაგეგმილზე ადრე გამოვამზეურებთ. ერთ-ერთი საცდელი ნიმუში ჩვეულებრივ, რვა ცილინდრით კი არა, მოდერნიზებული ათცილინდრიანი ძრავით იქნება აღჭურვილი", - ბოლიდის შესაძლებლობებს გვამცნობს "ფერარის" ტექნიკური დირექტორი როს ბრაუნი.

გარდა ამისა, ბრაუნმა ისიც განაცხადა, რომ ერთ-ერთი ასეთი ბოლიდის გამოსაცდელად მიხაელ შუმახერთან მიღწეულია შეთანხმება. მეორე მანქანას კი ალბათ იტალიური საჯინიბოს მეორე მრბოლი ბრაზილიელი ფელიპე მასა გამოცდის. შეგახსენებთ, რომ გუნდის მეორე მესაჭის ფელიპე მასას თანამემამულეს რუბენს ბარიკელოს სკუდერიელებთან ხელშეკრულების ვადა დეკემბერში ეწურება.

## ოლიმპიზმის მესაჭე "ჩინეთის დიდ პრიზს" დაესწრება

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი კვირას ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპს "ჩინეთის დიდ პრიზს" დაესწრება.

მსოფლიო ჩემპიონატის ჩინური ეტაპი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომლის მასპინძლობაც კვირას მოუწევს ჩინეთს. ამიტომაცაა, რომ ბევრნი "ჩინეთის დიდ პრიზს" 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ჭრილში განიხილავენ. ასე რომ, მასპინძლებს დიდი სურვილი აქვთ, საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინონ.

## მეივეზერი VS მიტჩელი ნოემბერშია

კრივის მსოფლიო საბჭოს (WBC) პირველი საშუალო წონის ჩემპიონ ფლოიდ მეივეზერ-უმცროსს 19 ნოემბერს ამავე წონის ყოფილ ჩემპიონ შარმბა მიტჩელთან შეხვედრა უწევს, თუმცა, მეივეზერი-მიტჩელის ორთაბრძოლას ნახევრად საშუალო წონის დატვირთვა ექნება, რომელშიც ამჟამად, სხვათა შორის, მიტჩელი გამოდის. ასე რომ, მეივეზერის ტიტული არ გათამაშდება.

## კორალესი კასტილიოს რევანშს ავალდებულებს

საბჭოსა და (WBC) და ორგანიზაციის (WBO) მსუბუქი წონის ჩემპიონი დიეგო კორალესი ხოსე ლუის კასტილიოსთან შაბათის მატჩში მარცხის გამო სასწრაფო რევანშს ითხოვს.

აღსანიშნავია, რომ კასტილიოს მიერ მსუბუქ წონაში კორალესთან მოგებული საჩემპიონო ორთაბრძოლის მიუხედავად, გამარჯვებულისთვის ჩემპიონის ტიტული მაინც არ მიუნიჭებიათ. საქმე ისაა, რომ კასტილიოს წონა დაშვებულ ზღვარს აჭარბებდა.

"ის, რისთვისაც მას ვეჩხუბე, ქამრებით არ განისაზღვრება", - განაცახადა კორალესმა და იქვე დასძინა, რომ კასტილიოსთან განმეორებითი ორთაბრძოლის ხელშეკრულებაში სასწრაფო მატჩრევანში იყო მითითებული, რომლის გამოყენებისაც ახლა ეიმედება კორალესს.

## დარასელია და კვირკველია "ალანიაში" ვარჯიშს შეუდგნენ

ვლადიკავკაზის "ალანიას" პრეს-სამსახურის ცნობით, ალანიელთა ქართველი ლეგიონერები ვიტალი დარასელია და დავით კვირკველია, რომლებიც ებრაელი სპეციალისტის იცხაკ შუმის მწვრთნელობისას ტრანსფერზე იყვნენ დაყენებული, გუნდის ძირითად შემადგენლობასთან ერთად ვარჯიშს შეუდგნენ.

# არტ-კავკასია 2005 - აქტუალური ხელოვნების ძიებაში

სოფო კილასონია

*გაიარეთ ამ დღეებში ბამბის რიგებში? ესტუმრეთ სავაჭრო ცენტრს - ჯი თი სი? თუ იცით, 5-დან 9 ოქტომბრამდე ქართულ ART ცხოვრებაში მნიშვნელოვანი დღეები რომ იდგა? ამ დღეებში თბილისში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების მეორე საერთაშორისო კონვენცია "არტ კავკასია 2005" მიმდინარეობდა. ინფორმაციის ნაკლებობა ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ინტერესის ნაკლებობა აშკარად იყო... ასე რომ, საჭიროა დაწვრილებით და რიგიანად მივყვეთ საქმეს.*



პროექტის ავტორია ასოციაცია "არტ კავკასია." **"სამხრეთ ქვეყნების თანამედროვე ხელოვნების კონვენციის სტრატეგია ამ რეგიონებში თანამედროვე ხელოვნებისა და არტ ბიზნესის განვითარებას გულისხმობს"** - ვკითხულობთ კონვენციის დებულებაში და, რა თქმა უნდა, ვიჯერებთ. ვიჯერებთ იმიტომ, რომ ვხედავთ, როგორი სერიოზულობით მოეკიდნენ ქართული აქტუალური ხელოვნებისა და არტ ბიზნესისა თუ ბაზრის ცნებებს ორგანიზატორები და მათი საკმაოდ სერიოზული სპონსორ-დონორები. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჩათვლით წელს არტ კავკასიაზე კიდევ 11 ქვეყანა მონაწილეობდა. თუ შარშან წამყვანი და აქცენტირებული იყო სახვითი ხელოვნება, ამჯერად პრიორიტეტი გახდა ის თანამედროვე ხელოვნება, რომელსაც არც ისე დიდი ხანია, რაც ჩვენც კი აქტუალურ არტს ვუწოდებთ. არტ კავკასია 2005 მხოლოდ ამით არ განსხვავდება შარშანდელი ექსპოსგან. წელს იგი ბევრად უფრო ფართო ცნების, ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო კონვენციად იქცა და ამით ალბათ რაღაც მაინც შეიცვალა...

"არტ კავკასია 2005" სამი ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა. ექსპო - კომერციული სტენდებით, ინსტალაციებით, პერფორმანსებით, ვიდეოპროექტებით. საპატიო სტუმრების სახით "არტ კავკასიაზე" ინგლისიდან, საბერძნეთიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, ამერიკიდან და ირლანდიიდან საერთაშორისო მასშტაბის დამოუკიდებელი ექსპერტები, ავტორიტეტული კრიტიკოსები, კურატორები და ხელოვნების ისტორიკოსები იყვნენ მოწვეული. ეს არ მოხდებოდა, რომ არა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID, ფონდ "ევრაზიის" დაფინანსება და თბილისის მერიისა და კულტურის სამინისტროს თანადაფინანსება. "სტერეოტიპებს მიღმა" - ასე დაარქვეს საერთაშორისო კონფერენციას და თითქოს ამით მიზნებიცა და სასურველი ფორმებიც განისაზღვრა. აქვე მოხდა პირველი რეგიონული ჟურნალის "ლუპის" პრეზენტაციაც. ეს ყველაფერი არ იქნებოდა, რომ არა თავად "არტ კავკასიის" ხელმძღვანელობის, მისი დირექტორის ნანა ყირმელაშვილის მონდომება და ენთუზიაზმი.

თითქმის ყველაფერია იმისთვის, რათა თანამედროვე ქართული ხელოვნების წინსვლასა და განვითარებას ხელი შეეწყოს, აქტუალობა შეიძინოს, ცნება, ცოდნა, ზოგიერთის გამოცდილება და კიდევ მრავალი იდეა იდეად და სიტყვებად არ დარჩეს. თანამედროვე ქართული ხელოვნება ვახსენეთ და ყურადღება მივაპყროთ სიტყვა "ქართულს". ეს იმიტომ, რომ მჯერა, არტ კავკასიის ორგანიზატორთათვის მთავარი, თუმცა, არა ყველაზე მთავარი - ქართული არტია. ნანა ყირმელაშვილი იმასაც გვიდასტურებს, რომ ამ მიმართულებით ჩვენ, ქართველები, სომეხ და აზერბაიჯანელ არტისტებს და მათ აქტივობას ბევრით ჩამოვრჩით. ერთნიც და მეორენიც ძალიან სერიოზულ განაცხადებს აკეთებენ საერთაშორისო ბიენალეებსა და ექსპოზიციებზე, მაშინ როდესაც ჩვენ, სამშობლოშიც კი, ვერ ვხედავთ გამორჩეულ აქცია-გამოფენებს. და აი, პრობლემასთან მივედით. მაინც როგორ წარმოჩინდა თავად მასპინძელი არტ კავკასია 2005-ზე? არ მსურს მკითხველს სუბიექტური ვეგონო, მაგრამ ფაქტებს გვერდს ვერ ავუვლი.

ქართული არტისტული წრე ვერც მკვეთრი და ვერც ფერმკრთალი სილუეტებით ამ ექსპოსა და ამ კონვენციის მიდამოებთან და მის სიახლოვეს ვერ დავინახე. გაჩნდა უამრავი კითხვა: სად იყვნენ ქართველი მართლაც რომ იდეებით, სურვილებით დატვირთული არტისტები, უბრალოდ რომ ვთქვათ, მხატვრები? ზოგიერთმა მიპასუხა, რომ ჯი თი სი-ს ბოქსები გარკვეული თანხა ღირდა. თუმცა, ისიც ვიცი, რომ ორგანიზატორთა მიერ მოწონებულ პროექტებს სივრცე უპრობლემოდ ეთმობოდა. მაგრამ გაიტანდა კი, თუნდაც საქართველოში, ამ პატარა "პროვინციაში", უკვე ავტორიტეტული ხელოვანი საკუთარ იდეას შარშან ნომინირებული საბჭოს წინაშე? იქნებ მიწვევას ელოდნენ? არ ვიცი, ვინ რას ელოდა, მაგრამ იმაში კი ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ ამ საერთაშორისო არტ კონვენციას ქართველებისთვის მეტი გახსნილობა ბევრად წაადგებოდა. კომერციულ ნაწილში, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ახალგაზრდა ჯგუფს, ძირითადად ქართველი დამთვალიერებლისთვის ახალი და ორიგინალურად გადაწყვეტილი პროექტი არ ყოფილა. წარმოდგენილ ნამუშევრებს ისედაც ხშირად ვაწყდებით შარდენის სალონებში თუ რიგით გამოფენებზე. ბუნებრივია, ჩამოტანილი პროექტები და არაკომერციული ნაწილი მეტ ინტერესს იწვევდა. აქ ქართველი მხატვრები დიდი ამბიციურობით არ გამოირჩეოდნენ: რამდენიმე ახალბედა ჯგუფი და რამდენიმე ქართველი მხატვრის კარგი ნამუშევრები, თუმცა, სიახლის თვალსაზრისით ბევრით არაფრით გამორჩეული. მაკა რაზმაძის "მელანქოლია I-X" - ნატიფი ესთეტიზმითა და ტრანსავანგარდული ირონიით დახატული, ალექს ბერდიშევი ჩვეული კულტურით, ამჯერად მედია ტექნოლოგიების პლანში გადაწყვეტილი. შალვა ხახანაშვილი ისევ სტაბილური აქტუალიზმით გამოირჩევა, მიშა გოგრიჭიანი ზედმეტი მინიმალიზმითა და ალბათ სპონტანურობით. მიუხედავად ამისა, არტ კავკასიაზე ქართველი მხატვრების, ცნობადი სახელებისა და სახეების კონკურსი არ გაჩაღებულა. არადა, ბიენალეების ყველაზე დიდი მომხიბვლელობა ამაშია. ეს მრავალჯერ ნახსენები "არტ ბაზარი" ხომ მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის პროცესით არ იზღუდება. მაგრამ სიღრმეებს რომ თავი დავანებოთ, მარტივი რეალობა უნდა აღვნიშნოთ: ასეთი, არსობრივად მასშტაბური მოვლენა და მისდამი საზოგადოების საკმაოდ მცირე ინტერესი. მე რიგით და უბრალო საზოგადოებას ვგულისხმობ და არა ისევ და ისევ მხატვრულ-მეგობრულ წრეებს. ახალგაზრდებისთვის, თუნდაც ხელოვნებით დაინტერესებულთათვის, შესაძლოა, ვერც ლეონიდ ბაჟანოვის და ვერც ლიდია მეტიუს სახელსა და ავტორიტეტს მოეხდინა ველური ინტერესის პროვოცირება. მიპასუხებენ, რომ საზოგადოება ინერტულია, მაგრამ ამ პასუხს ბოლომდე ვერ დავეთანხმები. იმასაც ვიტყვი, რომ ორგანიზატორების, კოორდინატორებისა და მათი მუშაობის უმთავრესი მიზანი პირველ რიგში საზოგადოების ინერტულობის დაძლევაა. ყველაგან ასეა და ჩვენ გამონაკლისი ვერ ვიქნებით.

**დავით ანდრიაძე**: "რომ გითხრათ, ამ ფესტივალს დიდი სასოებით მოველოდი-მეთქი, არ ვიქნები გულწრფელი. იმის გამო არა, რომ რაღაც განსაკუთრებულად ფორუმების კრიტერიუმები მქონდა. არა. ჩემთვის დადებითია ამგვარი ფესტივალები, არტ სალონები. ამით ჩნდება შანსი, რომ ჩამოყალიბდეს ახალი ინსტიტუცია. ეს თავისთავად უკვე კარგია: ადამიანებმა ჩაიფიქრეს ამგვარი მოვლენა. რამდენად აქვთ მათ წარმოდგენა ახალ ინსტიტუციებზე - ეს მეორე საკითხია. ერთი შეხედვით მომწონს თვითონ ფაქტი, მაგრამ, მეორე მხრივ, შიგნით რას ვხედავთ? დასათვალიერებელი ამ გამოფენაზე არაფერია. ერთი რამ ვერ გავიგე: ვისთვის არის ეს ბიენალე? ვინ არის მისი აუდიტორია? იქნებ ის მხატვრები, ვინც თვითონ მონაწილეობენ და თვითონვე იღებენ წარმოდგენილს... პირველ რიგში ჩემთვის ესაა გაუგებარი. მხატვრის სოციალურმა ფიგურამ გარკვეულწილად ისევ და ისევ სიბრალულის გრძნობა გამოიწვია. ისინი აბსოლუტურად მიტოვებულნი არიან. ისინი არავის სჭირდება. ზოგიერთი იხდის თანხას ამ ბოქსებისთვის, მაგრამ ისიც არ ჩანს, ვინ არის მათი ნამუშევრების მყიდველი. თვითონ არტ პროცესისთვის არის რამის მომცემი ასეთი გამოფენა? ამაზე უნდა დავფიქრდეთ. დღეს ისეთი ფორმა უნდა გამოჩნდეს, რომელიც დაგვანახებს ჩვენთან მიმდინარე პროცესს. აქ ეს არ ჩანს. არაკომერციულ ნაწილში ძალიან ცუდი სურათი ნამდვილად არ არის. კარგი მხატვრები არიან წარმოდგენილნი, მაგრამ ისინი ცოტანი არიან. თანაც, აქ მათი ცალკე აღებული ნამუშევრები იმდენად არ არის მთავარი, ექსპოზიცია უნდა იყოს ნაწარმოები, ინსტიტუცია უნდა გახდეს იმედების მომტანი მოვლენა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თბილისის გალერეების უმრავლესობამ ამ მოვლენას, როგორც შარშან, ისე წელსაც, იგნორირება გაუკეთა. მიზეზების ძიება შორს წაგვიყვანს. აქ ძალიან ბევრი ახალი სახეა, რომლებიც ახლა იწყებენ არტ სცენაზე აპრობაციას. ხვალ-ზეგ ეს ყველაფერი დამთავრდება და უნდა გამოჩნდეს შედეგი. მე მაინც მგონია, რომ ჩვენი არტ-სიტუაციის სიმწირე და მისი უნიათობა ბევრწილად გამოწვეულია არტისტული ინსტიტუციების უნიათობით. კატალოგი ბევრად უფრო საინტერესო გამოვიდა, ვიდრე ექსპო. ეს "აღმაფრთოვანებელია" ზოგადად. ასეთმა გამოფენებმა უნდა აღზარდოს პუბლიკა. აქ კი პუბლიკა არ ჩანს. აქ მართლაც მაღალი დონის ქართველი მხატვრები რომ წარმოედგინათ. შესაძლოა, სხვაგვარი ყოფილიყო სურათი. ვფიქრობ, არტ-კავკასია შედგა და არც შედგა. მე დავაფიქსირე განწირული მხატვრების სახეები. დაბოლოს, დარჩა კომპიუტერზე აწყობილი პროკლამაციები-არტსეგრეგაცია. ამ სეგრეგაციას კი, ნებსით თუ უნებლიეთ, ალბათ თავად კოორდინატორებმა შეუწყვეს ხელი. გაურკვეველი მიზეზების გამო თავად შექმნეს გაუგებარი დაყოფა ე.წ. დაზგურ და აქტუალურ ხელოვნებას შორის. მე არ ვიცი, მომავალ წელს კვლავ გაიმართება თუ არა ეს ფორუმი, მაგრამ ის კი მგონია, რომ არტ-კავკაზუსები ეგრე იოლად დასაძლევი არ გახლავთ."

შესაძლოა, ბევრი არ დაეთანხმოს არც ამ სტატიის ავტორს და არც მის რესპონდენტს. მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ სულ პატარა კრიტიკული აზრიც კი ძალიან ეხმარება ზოგადად პროცესებს, მით უფრო, საწყის ეტაპზე. "არტ კავკასია 2005" დასრულდა. მან არაერთი საინტერესო უცხოელი შემოქმედი გაგვაცნო, არტ-ბაზრის სილუეტებიც დაგვანახა, ლამაზი და "ახალგაზრდა" მცდელობებიც იყო. ბოლოს და ბოლოს, ვინც დაინტერესდა, იმან ნახა, ვინც გაიგო, იმან დაიმახსოვრა. იმედია, არაერთმა ქართველმა ხელოვანმა გადაწყვიტა, 2006 წლის ექსპოს გვერდით დაუდგეს. მჯერა, რომ თავად ორგანიზატორები, უცხოელი არტისტების გარდა, ეროვნულ აქტუალურ, ოღონდ ნამდვილ ხელოვნებასაც მოძებნიან. ერთმა და ორმა თუ მაინც აღიქვა და საკუთარ გამოცდილებად გაიაზრა ყველაფერი საუკეთესო, რაც სტუმრებმა წარმოგვიდგინეს, მასპინძლების გარჯასა და შრომას შედეგი ნამდვილად ექნება.

## ერთნაირად თავისუფლები

### ფსიქიატრიის საერთაშორისო დღე მხოლოდ პაციენტების მონაწილეობით



ია ვეკუა

ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების თანახმად ჩვენი საზოგადოების ახალგაზრდა ნაწილის 43% ფსიქიკურად დაავადებულებისადმი დადებითადაა განწყობილი, 18% მათ მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში აღიქვამს, ხოლო ამ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი აზრი არ გააჩნია 13%-ს. მართალია, ეს მაჩვენებლები არ გამოხატავს ერთიან დამოკიდებულებას, მაგრამ გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალებას მაინც იძლევა. თუმცა, გუშინდელი დღის შემდეგ ეჭვს იწვევს, რომ ამ კატეგორიის ადამიანებისადმი უარყოფითად მხოლოდ 18%-ია განწყობილი.

გუშინ, 10 ოქტომბერს, ფსიქიატრიის საერთაშორისო დღე იყო. ეს თარიღი თავისებურად აღნიშნა ახალგაზრდების გარკვეულმა ჯგუფმა - მათ ასათიანის ქუჩაზე მდებარე ფსიქიატრიული კლინიკის ეზოში კედელი მოხატეს. ეს იდეა თავად მხატვრებს, Bruckenbau-დ წოდებული კვარტეტის წევრებს: ბესას, ლაშას, თეონას და გიგას დაებადათ. შემდეგ ფსიქოლოგი, ზემოთ მოყვანილი სოციოლოგიური გამოკითხვის ავტორი კახა ბოხუა შეიამხანაგეს და თბილისის მერიის ადგილობრივი ინიციატივების მხარდამჭერი ფონდის ფინანსური დახმარებით ეს მხატვრულ-კონცეპტუალური აქცია ჩაატარეს.

საქმე კი ისაა, კედლის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე რამდენიმე ჟურნალისტისა და საავადმყოფოს ბინადრების გარდა არავინ მივიდა. თუმცა, ეს კედელი, ისევე როგორც გუშინდელი დღე, სწორედ ამ უკანასკნელთ ეკუთვნოდათ. როგორც კახა ბოხუამ გვითხრა, სამი დღის განმავლობაში ფსიქიატრიული კლინიკის ეზოში გაიმართა პოეზიის საღამო, პერფორმანსული წარმოდგენა და რამდენიმე როკ-ჯგუფის კონცერტი. მნიშვნელოვანია, რომ ამ მცირე მასშტაბის ღონისძიებებში თავად კლინიკის პაციენტებიც მონაწილეობდნენ. მათ საკუთარი ლექსებიც წაიკითხეს და მცირერიცხოვან სტუმრებს მუსიკალური ნომრებითაც ართობდნენ.

რაც შეეხება Bruckenbau-ს მიერ მოხატულ კედელს, იგი ისეთივე ჭრელია, როგორც მათი წინა ნამუშევრები. აქ სიმბოლურადაა აღნიშნული ის დამოკიდებულება, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულთა და დანარჩენ საზოგადოებას შორის უნდა არსებობდეს. ნახატის პერსონაჟებს ხელში ქაფჩა, გონიო და ხერხი უპყრიათ, რაც ამ საზოგადოებებს შორის ხიდის შენების სიმბოლოა. ნახატის ზედა კუთხეში მცირე ზომის თეთრი ვერტმფრენია მიხატული. როგორც ბესამ ახსნა, ვერტმფრენი იმიტომ დახატა, რომ მტრედი მეტად ბანალურად მოეჩვენა. რას იზამ, როგორც მაშინაც ვამბობდი, გიჟები და ხელოვანები ერთნაირად თავისუფლები არიან!

P.S. ფსიქიატრიული კლინიკის მთავარმა ექიმმა Bruckenbau-ს საავადმყოფოს ფოიეს მოხატვა სთხოვა. სავარაუდოდ, ამ აქციაში პაციენტებიც ჩაებმებიან.

## ორი უფასო ბილეთი ლონდონის მიმართულებით




*პეინტბოლი რომ აზარტული თამაში ყოფილა, ამაში ორიოდე დღის წინ კუს ტბაზე შეკრებილი საზოგადოება კიდევ ერთხელ დარწმუნდა. თუმცა, იმ დღეს პეინტბოლის თამაში შეჯიბრებას უფრო ჰგავდა. ეს გასაგებიცაა: საქმე ლონდონის მიმართულებით ორ უფასო ბილეთს ეხებოდა.*

ლონდონში გამგზავრების, უფრო ზუსტად, ამ ქალაქის მიმართულებით უფასო ბილეთების მსურველთა რაოდენობამ იმ დღეს მოლოდინს გადააჭარბა. შვიდი გუნდი 6-6 მოთამაშით, ანუ სულ 42 სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანი ბოლო წუთამდე იბრძოდა ბილეთებისთვის. მსურველები კიდევ იყვნენ, თუმცა, თამაშის წესების არცოდნის გამო მათ თავი შეიკავეს.

თბილისი-ლონდონი-თბილისის მიმართულებით ორი ბილეთი კი, რომელიც ავიაკომპანია "ბრიტანეთის ავიახაზებმა" - British Airway დააწესა, გამარჯვებულ ავთო ჭოლოკავას ერგო. მიუხედავად იმისა, რომ ის ერთ-ერთ ტურისტულ სააგენტოში მუშაობს და ამის გამო მოგზაურობა მისთვის პროფესიისა და საქმის განუყოფელ ნაწილად იქცა, British Airway-ის საჩუქარმა ის მაინც ძალიან გაახარა.

ტურნირში მონაწილეობას იღებდნენ ავიაკომპანიის მგზავრები, კორპორაციული მომხმარებლები, ტურისტული სააგენტოები და ქართული მედიის რამდენიმე წარმომადგენელიც.

მსგავს ღონისძიებებს, რომლის დროსაც ლონდონის მიმართულებით ხსენებული ავიაკომპანიის ბილეთებს გამარჯვებულს ჩუქნიან, British Airway თითქმის ყოველ წელს მართავს. ამჯერად ბრიტანულმა ავიაკომპანიამ პეინტბოლზე შეაჩერა ყურადღება, რადგან როგორც კომპანიის მარკეტინგის მენეჯერი ნინო ანდრიაძე განმარტავს: **"სპორტის ეს ექსტრემალური სახეობა იმიტომ შევარჩიეთ, რომ მონაწილეები გუნდურ მუშაობასა და თავდაჯერებულობას ეჩვევიან, ამავდროულად არაჩვეულებრივი გართობაცაა. გვიხარია, რომ ჩვენი ერთგული მგზავრებისა და ჟურნალისტებისთვის მშვენიერი სანახაობა მოეწყო".**

იმ დღესვე British Airways-მა გამოავლინა საუკეთესო გაყიდვების მაჩვენებელი სააგენტოც. ეს "კაუკაზუს თრეველია", რომელიც High Flyer Award-ის სიგელით დაჯილდოვდა.

**24 საათი**


## თარჯიმანი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის დროებითი პოზიციის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბიპი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

სამუშაოს დახასიათება:

მოვალეობები და პასუხისმგებლობა:

თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:

- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმნა;
- ნათარგმნი დოკუმენტების კორექტირება;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

სამუშაო გამოცდილება და განათლება:

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი გამომდინარე;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა ხუთშაბათი, 2005 წლის 20 ოქტომბერი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი“, „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან“ ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის“ რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის“ ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე“ „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან“ მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი“ აგებს.

# სანამ სტრატეგიული ობიექტი გაიყიდება

## სანამ კომპანიას გაყიდის, მთავრობამ დარგის რეგულირების სეგმენტი უნდა გააძლიეროს

პირველი გვერდიდან

*ამასობაში გასაყიდი კომპანიის ამჟამინდელი მმართველები ვითარებას თვალყურს შორიდან ადევნებენ, ვინაიდან ის, გაიყიდება თუ არა ობიექტი და, თუ გაიყიდება, რა პირობებით, მათ არ ეხება. ისინი მხოლოდ კომპანიის მენეჯმენტით არიან დაკავებულნი და დღეს, შეიძლება ითქვას, უკვე კარგად იციან, რა ხდება "შიგნით" და რა მოხდება, თუ პრივატიზაცია არასწორად ჩატარდა.*
*აქედან გამომდინარე, ის, რომ* ***სანამ კომპანიას გაყიდის, მთავრობამ დარგის რეგულირების სეგმენტი უნდა გააძლიეროს****, შეიძლება ჩავთვალოთ, ამერიკელების ერთ-ერთი ბოლო რეკომენდაციაა - ერთგვარი "ანდერძი" მანამდე, სანამ დარგი მთლიანად რუსული ენერგოგიგანტების ხელში გადავა. ბუნებრივია, თუ დარგში "რაო" შემოვიდა, ამერიკელებს რჩევას აღარავინ ჰკითხავს და ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩვენი ჩინოვნიკების მიერ ასე მონატრებული "უფროსი ძმა" გადაწყვეტს. ასე რომ, დრო აღარ რჩება.* ***ან ახლა*** *უნდა ითქვას, რომ მათი რჩევის გათვალისწინება - ეს ერთადერთი რეალური ბერკეტია, რათა საქართველოს მოსახლეობის ინტერესები პოლიტიკურად დაინტერესებული და, შესაძლოა, ხანდახან ძალიან არაკეთილგანწყობილი მონოპოლიებისგან მომავალში ვინმემ მაინც დაიცვას,* ***ან აღარასოდეს****. უფრო სწორად - ვეღარასოდეს. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო გეოსტრატეგიული ინტერესების ხელახალ ფორმირებამდე მაინც.*
*ეს ისე, "შესავლად".*

*ახლა კი გთავაზობთ ინტერვიუს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" გენერალურ დირექტორთან* ***დინ უაითთან****, რომელიც კომპანიის მიმდინარე საქმეებსა და პრობლემებზე გაცილებით უფრო ხალისიანად გვესაუბრებოდა, ვიდრე "სგსე"-ს არცთუ შორეული პერსპექტივების თაობაზე.*



*"პრობლემა ის კი არ არის, რომ კომპანია გაიყიდება, არამედ ის, თუ რამდენად სწორად მოხდება ეს," - აცხადებს დინ უაითი.*

ლევან ხარხელაძის ფოტო

**- რა ხდება კომპანიაში?**

- იმ მიღწევებით, რაც ბოლო დროს აქვს კომპანიას, ძალიან კმაყოფილი ვარ. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ გაუმჯობესდა ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებლები. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ფული, რომელიც ამოღებულია, მიდის იქ სადაც სინამდვილეში უნდა მიდიოდეს, რაც ადრე არ ხდებოდა. გარდა ამისა, არის მთელი რიგი სერიოზული მიღწევები: ეს არის კომუნალური გამრიცხველიანება და ინდივიდუალური გამრიცხველიანება, რომელსაც 15 დიდ ქალაქში ვახორციელებთ. ეს პროცესი არის ძალიან აგრესიული და ძალიან სწრაფი გრაფიკით მიმდინარეობს - ასეთი გრაფიკი, ფაქტობრივად, ჯერ არ ყოფილა. გარდა ამისა, ყოველგვარი პრობლემის გარეშე მოხდა ჩვენს მიერ "სახელმწიფო ელექტროსისტემის" აქტივების "შესრუტვა", ანუ მათი 35-იანი და 110-კილოვოლტიანი აქტივების გადმოცემა ჩვენთვის.

**- სწორი იყო ეს გადაწყვეტილება?**

- ძალიან სწორი. ოთხი თვის განმავლობაში ვიღწვოდით, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული ყოფილიყო.

**- მაგრამ, ამით ელექტროსისტემა თავის ფუნქციას თანდათანობით ხომ არ კარგავს?**

- არა. მას მხოლოდ 220-იანი ხაზები და ქვესადგურები აქვს და ის მოემსახურება ცენტრალურ - მაღალი ძაბვის გადაცემას. ჩვენ კი პრობლემები გვქონდა: მარტო სექტემბერში, ანუ სანამ ეს სადგურები "სახელმწიფო ელექტროსისტემის" ხელში იყო, 220-კილოვოლტიანი ქვესადგურებიდან 110-კილოვოლტიანი ფიდერები რომ გამოგვერთო, მათთან უნდა შეგვეთანხმებინა. ახლა ჩვენ შეგვიძლია განვახორციელოთ გამორთვები მათთან შეთანხმების გარეშე, რაც საქმეს გვიიოლებს, რადგან არგადამხდელების გამორთვა - ეს მხოლოდ დისტრიბუციას ეხება. ამიერიდან იქნება მხოლოდ ერთი ორგანიზაცია, რომელიც გააკონტროლებს დისტრიბუციის სექტორს მთლიანად. რაც მთავარია, ეს პროცესი - აქტივების გადმოცემა - ჩატარდა ხავერდოვნად, ძალიან რბილად. პრაქტიკულად, ერთ დღეში გადმოიღვარა ჩვენთან ამ ქვესადგურებისა და ხაზების მომსახურე ცხრაასი თანამშრომელი. მე კმაყოფილი ვარ იმით, რაც აქამდე გაკეთდა, მაგრამ არის კიდევ რამდენიმე პრობლემური საკითხი და მათ შორისაა ის, რომ ყველაზე მეტი ძალისხმევა ახლა უნდა ამოღების გაუმჯობესებისა და, იმავდროულად, ელექტროენერგიით მომარაგების დახვეწაზე დაიხარჯოს. ჩვენ ახლა გარკვეულ ნაბიჯებს ვდგამთ იმისთვის, რომ მომსახურების სერვისი და ჩვენს მომხმარებლებთან ურთიერთობის სამსახური გაძლიერდეს. ახლა მეტი ინვესტიციები დაიხარჯება იმისთვის, რომ მოხდეს ჩვენი სერვისის ხარისხის გაუმჯობესება.

**- რა გზით აპირებთ ამის მიღწევას - თავად დააფინანსებთ სერვის-ცენტრებს თუ გაქვთ წინასწარი შეთანხმებები, ან წინადადებები თანამშრომლობაზე მომსახურების სხვა სფეროებთან, მაგალითად, გაზის ან წყალმომარაგების.... ან, თუნდაც, პირდაპირ საბანკო სექტორთან?**

- ჩვენ ადგილობრივ ბანკებთან უკვე ვთანამშრომლობთ. ეს თანამშრომლობა იმ დონეზეა, რომ ლოკალური საკითხების რბილად და მშვიდობიანად წარმართვას შესაძლებელს ხდის. ანუ, ეფექტური, ქმედითი საკრედიტო ხაზი არსებობს, მაგრამ რაც შეეხება დიდ ინვესტიციებს, ჩვენ სხვა წყაროდან - გერმანული "KfW"-ს (გერმანიის საკრედიტო ბანკი, რომელიც საქართველოს ენერგოსექტორის ერთ-ერთი მსხვილი დონორია - მ.უ.) მიერ დაფინანსებული პროგრამიდან გვექნება. ამ ბანკის მიერ 25 მილიონი ევროს გამოყოფაზეა საუბარი, საიდანაც ინვესტირება "სგსე"-ს სერვისის გაუმჯობესებისთვისაც უნდა მოხდეს. სერვის-ცენტრების ოპტიმიზაციაზეც, რასაკვირველია, არის საუბარი და კარგი იქნება, თუ ეს მოხდება. ჩვენც, ჩვენი მხრიდან, თუ ვიპოვით რაიმე გზას ამისთვის, გავაკეთებთ, რა თქმა უნდა. მაგალითად, ჩვენ ქვემო ქართლში ასეთი რამ უკვე ვცადეთ - იქ რამდენიმე სერვისცენტრი დაიხურა და გაიხსნა ერთი, უფრო მსხვილი. შესაძლოა, ეს პრაქტიკა სხვაგანაც გადავიტანოთ.

**- სულ ახლახან "თბილგაზმა" განვითარების ალტერნატიული გზა აირჩია: ადგილობრივი დისტრიბუციით კერძო სექტორი დააინტერესა და განსაკუთრებულად რთული სეგმენტის - უშუალოდ მომხმარებლის კონტროლის - კერძო მართვაში გაშვება გადაწყვიტა. მისაღებად მიიჩნევთ თუ არა ანალოგიურ პოლიტიკას ელექტროენერგიის სადისტრიბუციო სეგმენტისთვისაც მას შემდეგ, რაც "ელექტროსისტემის" აქტივების გადმოცემამ კომპანიის მთლიანი მართვა გააიოლა?**

- თქვენ იცით, რომ "სგსე"-ს სხეულში არსებობდნენ ე.წ. "მცირე ლიცენზიანტები", რომლებიც დღემდე რჩებიან კორუფციის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ წყაროდ. ამიტომ, ჩვენ გვჭირდება პირიქით - კომპანიის გამთლიანება, რადგან დეცენტრალიზაცია გამოიწვევს საპირისპირო შედეგს. ანუ, უფრო გაძვირდება მომსახურება და ჩვენს მიერ გატარებული ღონისძიებები დაკარგავს ეფექტურობას. ანუ, ჩვენ არ ვაპირებთ ინკასატორების ინსტიტუტის აღდგენას და ჩვენი სისტემის მცირე-მცირე სეგმენტებად დაშლას. მიგვაჩნია, რომ ისეთ გარემოში, როგორიც საქართველოა, ძალიან ბევრ სირთულეს წარმოქმნის ცენტრალური მართვის შესუსტება. პირველ რიგში, ეს არ იქნება პატიოსანი საქციელი ჩვენი მომხმარებლების მიმართ, რადგან პრაქტიკულად, გამოვა, რომ თვითონ კომპანია იხსნის პასუხისმგებლობას მათ ელექტრომომარაგებაზე და მომხმარებლებთან ურთიერთობა ეკისრება პატარ-პატარა, მცირე კომპანიებს. ამის შემდეგ, ბუნებრივია, ნათელი არ იქნება, თუ ვინ დაარეგულირებს ამ ურთიერთობებს - დიდი კომპანია თუ თავად ეს პატარა კომპანიები. ამიტომ, ძალიან ბევრი გაუგებრობა შეიძლება წარმოიქმნას და, ამასთან, მომხმარებლის საზიანოდ.

**- რაც შეეხება პრივატიზაციას: კომპანია უნდა გაიყიდოს. მაგრამ, დადგა თუ არა ამის დრო? თქვენ "სგსე"-ს სწორედ ამ პროცესისთვის ამზადებდით. მზად არის თუ არა იგი გასაყიდად უკვე?**

- სახელმწიფოს მკაფიოდ აქვს გაცხადებული თავისი პოზიცია, თუ როგორ უნდა მოხდეს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" პრივატიზება თავისი აქტივებითურთ - ქვესადგურებით, ხაზებით და ასე შემდეგ. რაც შეეხება თავად კომპანიის პოზიციას, "სგსე" აბსოლუტურად ეთანხმება მთავრობას ამაში და აცხადებს, რომ საუკეთესო ალტერნატივა კომპანიისთვის არის მისი პრივატიზება. მაგრამ, ამავდროულად, ჩვენ ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ ისეთი რთული სისტემის პრივატიზება, როგორიც "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაა", რომელიც ძალიან ბევრ ხალხს ემსახურება და ძალიან რთულ პირობებში, გაცილებით უფრო საფრთხილო და უფრო რთულია, ვიდრე, ვთქვათ, რომელიმე წარმოების, ქარხნის, ჰიდროელექტროსადგურის ან, თუნდაც - შავი ზღვის რომელიმე პორტისა. საქმე ის გახლავთ, რომ ეს კომპანია ემსახურება საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტს. კომპანია მოიცავს სხვადასხვა რეგიონების მთელ სპექტრს და, თან, ყველა რეგიონში სხვადასხვანაირი სიტუაციაა. ერთი სიტყვით, აქ არის მეტად რთული, მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი სისტემა. ამიტომ მიდგომაც მის მიმართ განსაკუთრებულად ფრთხილი უნდა იყოს. იმის მაგალითი, თუ როგორ არ უნდა მოხდეს პრივატიზაცია, არის კახეთი. მე იქ ახლახან გახლდით და მინდა გაცნობოთ, რომ იქ ძალიან ცუდი სიტუაციაა. პრაქტიკულად, ინვესტიციის სახით არც ერთი ცენტი იქ არ დახარჯულა და დღეს კახეთის კომპანია გაკოტრების გზაზე დგას.

**- რაც შეეხება თავად პრივატიზაციის პროცესს: რა არის გასათვალისწინებელი მანმადე, სანამ კომპანია კერძო ხელში გადავა?**

- კიდევ ერთხელ გავიმეორებ - ჩვენ ვართ მომხრენი, რომ ეს კომპანია გადაეცეს კომპეტენტურ კერძო ხელს, მაგრამ აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მთელი რიგი საკითხებისა. მაგალითად, საკითხი, რომელიც თქვენ აღნიშნეთ - ტარიფის თემა. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია მომხმარებელთა ინტერესები და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი პრივატიზაციის პროცესისას გათვალისწინებული უნდა იყოს. რაც შეეხება კერძოდ ტარიფს: მისი რეფორმა აუცილებელია, რადგან იმ შემთხვევაშიც კი, თუ "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის 100 პროცენტის ამოღებას მოახერხებს, ფული მაინც არ ეყოფა იმ საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას, რომელიც კომპანიას მომსახურებაში ეხარჯება. "თბილგაზმა" რაც წამოიწყო, ის გაზის ტარიფს აწევს. აიწევა სხვა ტარიფებიც. ეს გარდაუვალი პროცესია.

**- მაგრამ, ხომ უნდა არსებობდეს რაღაც ბალანსი, რაღაც სახელმწიფო დონეზე დამტკიცებული ფორმულა, ან ზღვარი, რომელიც დაიცავს მოსახლეობას იმისგან, რაც "თელასმა" სცადა - ანუ, სამომხმარებლო ტარიფის ისეთი ხარჯების გამო მომატებისგან, რომლებიც კონკურენტულ გარემოში მხოლოდ კომპანიის ყაირათიანობასა და მოქნილ მენეჯმენტზე უნდა იყოს დამოკიდებული?**

- პირველ რიგში, მე გეთანხმებით იმაში, რომ ქვეყანას აუცილებლად დასჭირდება ძალიან მკაცრი და ძლიერი სარეგულაციო ინსტიტუტი. სწორედ იმისგან თავის დასაზღვევად, რაც თქვენ თქვით, აუცილებელია ასეთი ინსტიტუტის არსებობა. სწორედ მან უნდა იზრუნოს მომხმარებელთა ინტერესების დაცვაზე. სწორედ მას უნდა მიმართონ მომხმარებლებმა საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად. სწორედ მომხმარებლის დაცვა უნდა იყოს ამ ინსტიტუტის ძირითადი ფუნქცია და, ამიტომ, ეს ძალიან ძლიერი ინსტიტუტი უნდა იყოს.

**- თქვენ სემეკ-ის გაძლიერებას გულისხმობთ? მაგრამ ეს კომისია, რომელსაც დღესდღეობით მარეგულირებლის ფუნქცია აკისრია, ამ ცოტა ხნის წინ მთავრობამ კინაღამ საერთოდ გააუქმა.**

- არა მხოლოდ სემეკ-ს. არის რამდენიმე ვარიანტი იმისთვის, რომ მარეგულირებელი ზედამხედველობა კარგად განხორციელდეს. შესაძლებელია, მაგალითად, მთავრობამაც გადაწყვიტოს, რომ დაიბრუნოს გარკვეული ფუნქციები და თვითონ გახდეს მარეგულირებელი.

**- იქნება კი ეს გამართლებული ვითარებაში, როცა მთელი ელექტროენერგეტიკული კომპლექსი, რომლის გამართული კონტროლიც სუბიექტებს შორის ურთიერთობების დარეგულირების მექანიზმებს უნდა ემყარებოდეს, შესაძლოა, მალე ერთ ხელში გადავიდეს? შეგახსენებთ, რომ "სგსე"-ს შესყიდვის ერთ-ერთ სერიოზულ პრეტენდენტად "თელასის", "მტკვარისა" და, ნაწილობრივ, "საქრუსენერგოს" მეპატრონე "რაო" მოიაზრება.**

- იქედან გამომდინარე, თუ ვინ იქნება პრეტენდენტი და მთავრობა ვისთან გადაწყვეტს მოლაპარაკების დაწყებას, შესაძლოა, სრულიად განსხვავებული საკითხები წამოიწიოს. მაგალითად, "რაოს" შემთხვევაში, ანუ, თუ "რაო", რომელიც დაინტერესებულია გენერაციის ობიექტებით, დისტრიბუციის შეთავსებასაც დააპირებს, დამატებითი საკითხები წამოიჭრება. ასე რომ, გააჩნია, რომელი კომპანია გამოხატავს ინტერესს და მთავრობა ვისთან დაიწყებს მოლაპარაკებას. მე კი დავუბრუნდები ისევ სოციალურ საკითხებს. რაც არის გასაკეთებელი მთავრობის მხრიდან და ჩვენს მხარს რაშიც ვუჭერთ, ეს არის ის, რომ უნდა შეიქმნას სოციალური უსაფრთხოების, სოციალური დაცვის კარგი სისტემა. ანუ, ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი სოციალური დაცვის სისტემაზე უნდა გაკეთდეს და ყურადღება ჩვენი საზოგადოების იმ ღარიბი ელემენტების მიმართ უნდა იყოს მიმართული, რომლებიც განსაკუთრებულად უმწეონი, სოციალურად გაჭირვებულნი არიან. ლაპარაკია ოჯახებზე და არა დაბალი ტარიფის შენარჩუნებაზე. უბრალოდ, მზარდმა ტარიფმა ისინი არ უნდა დააზიანოს. მაგრამ, მათზე ცალკე უნდა ვიზრუნოთ.

**- არსებობს თუ არა მზა რეცეპტი, რის მიხედვითაც შეიძლება ეს სამართლიანად მოხდეს?**

- ძალიან მკაფიოდ უნდა გავმიჯნოთ: არსებობს დენის და გაზის ტარიფი, რომელმაც შეიძლება მოიმატოს და შეიძლება დაიკლოს. მაგრამ, არიან სოციალურად დაუცველი, უმწეო ფენები, რომელთაც ჩვენ სრულიად ცალკე უნდა მივხედოთ. ანუ, უნდა შემუშავდეს ამ ფენების დაცვის მექანიზმი, მაგრამ არა ტარიფის ხარჯზე. ტარიფი მოიმატებს თუ დაიკლებს, ეს ცალკე საკითხი და ცალკე პროცესი უნდა იყოს. ასე რომ, დასამუშავებელია თავად სოციალური დაცვის გარკვეული მექანიზმი. მე ჩართული ვიყავი "ზამთრის გათბობის პროგრამის" შემუშავებაში, რომელიც სწორედ ამ სოციალურად დაუცველი ფენების დაცვისთვის იყო მიმართული. ანუ, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" უკვე ასეთი პროგრამების გამოცდილებაც აქვს.

**- დაბოლოს: ვალები, რომელთა არსებობაც კომპანიას მიმზიდველობას აკარგვინებს და ინვესტორთან ვაჭრობისას პოზიციებს გვაკარგვინებს. მართალია, ვალები ამ ეტაპზე საბითუმო ბაზარს "აწერია", მაგრამ ვალების მომსახურების სააგენტოს შექმნა, რაც დონორების რეკომენდაცია იყო, არ მოხდა. მევალეები კი კუთვნილ თანხებს ითხოვენ. შესაძლოა თუ არა, რომ მთავრობამ კომპანიის პრივატიზებისას შეღავათები სწორედ მსხვილ მოვალეებს აღუთქვას, რადგან "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" საბითუმო ბაზრის ყველაზე მსხვილი დებიტორია?**

- ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ მემკვიდრეობით მიღებული ვალებია. "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" 500 მილიონი ლარის ოდენობით მემკვიდრეობით მიღებული ვალი აქვს. მოსაზრება, რომ სააგენტოს შექმნა - ეს არ იქნება პრობლემის გადაწყვეტა. ეს იქნება მხოლოდ პრობლემის ირგვლივ ტრიალი. კი, იქნება სასამართლოები, გაუგებრობები, ჩივილი, მაგრამ პრობლემა ამით არ გადაწყდება. ერთადერთი, რისი იმედიც მე მაქვს, რომ მთავრობა, კერძოდ კი - ფინანსთა სამინისტრო ამ სახითხს მოკიდებს ხელს და მოხდება კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება: შესაძლოა, შეიქმნას რაღაც ახალი ენერგეტიკული კანონი, რომელიც დაარეგულირებს და მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ რა უნდა მოუვიდეს მემკვიდრეობით მიღებულ ვალებს.

**- თუმცა, შესაძლოა, კომპანიის მიმართ სერიოზული პრეტენზიები მევალეებს სწორედ პრივატიზებისას ჰქონდეთ. სწორია თუ არა ვალების თემის ამ დრომდე მოტანა?**

- მე ამ პრეტენზიებს ველი კიდეც და ამის მიმართ სავსებით ნეიტრალური პოზიცია მაქვს. მართალია, ეს არ შეუწყობს ხელს პრივატიზაციის პროცესს, მაგრამ ეს ჩვენთვის არ იქნება მოულოდნელი.! ვალების ძირითადი ნაწილი ჩვენ გვმართებს სახელმწიფო, ან ნახევრადსახელმწიფო ორგანიზაციების მიმართ. ეს არის გადასახადების ვალი, ან "წყალკანალის" ვალი, ან იმ ორგანიზაციების, ვისაც, თავის მხრივ, ჩვენი ვალი აქვთ და ასე შემდეგ. ერთმანეთშია ეს ვალები გადახლართული. კერძო კრედიტორების წილი ამ ვალებში ძალიან ცოტაა. თუმცა, როგორც ვიცი, KfW-სთან ერთად მიდის მუშაობა სქემებზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ საკითხის დარეგულირება, სააგენტოს შექმნა და ჩვენ უკვე ველოდებით კანონპროექტს, რომელიც მზადდება.

**- მაგრამ, მაინც: ვალების მომსახურების სააგენტო, რომელიც დონორთა რჩევით უნდა შექმნილიყო, დღემდე, ანუ კომპანიის პრივატიზებამდე არ შეიქმნა. დააზიანებს თუ არა ეს კომპანიის ინტერესებს პრივატიზაციის პროცესში?**

- იმ პერიოდში მთავრობა ეძებდა სხვადასხვა მოდელს ამ ვალების მომსახურებისთვის. ენერგოსექტორის ის ინსტიტუტები, რომლებსაც ამ ვალების გამო ყველაზე მეტი ზიანი ადგებოდათ, ანუ "სახელმწიფო ელექტროსისტემა", საბითუმო ბაზარი და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია", ახლა დროებითი ნორმატივებით არიან დაცულნი. თუმცა, მე ძალიან დიდი სურვილი მაქვს, რომ ვიხილო მზა კანონპროექტი უახლოეს 30-60 დღეში.

**- ანუ, მაინც პრივატიზაციამდე?**

- რასაკვირველია. ეჭვგარეშეა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ამ საკითხის დროულად, მანამდე გადაწყვეტა. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც თუ ჩვენ ვყიდით კომპანიის წილს, ყურადღება მიექცევა, თუ სად იქნება თავმოყრილი მემკვიდრეობით მიღებული ვალები. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ვყიდით მარტო აქტივებს, ამ შემთხვევაშიც: მაშინ ამ აქტივებზე პრეტენზიები, შესაძლოა, მევალეებმა გამოთქვან. ამიტომ ეს ძალიან სერიოზული თემაა.

**- კომპანიის შესყიდვის მსურველთათვის ინტერესთა გამოხატულების კონკურსი გაზაფხულის ბოლოდან არის გამოცხადებული. ამ ხნის განმავლობაში მოგმართათ თუ არა ვინმემ და დაინტერესდა თუ არა ვინმე პრეტენდენტი კომპანიის მდგომარეობით, მისი აქტივ-პასივებით და ასე შემდეგ?**

- ეს ძალიან ნორმალურია, სახელმწიფო კომპანიის მენეჯერთა ფუნქციაა, რომ შეხვდნენ პოტენციურ ინვესტორს და აცნობონ, რა ხდება კომპანიაში. ჩვენ ძალიან კარგად ვართ მომზადებული იმისთვის, რომ ეს გავაკეთოთ. შესაბამისად, ჩვენ მთავრობის ინიციატივით გვქონდა მხოლოდ ერთი კონტაქტი ყაზახებთან, რომლებიც მხოლოდ ზოგადი საკითხებით დაინტერესდნენ. ეს იყო და ეს.

**- ეს რით აიხსნება: მეტი ინტერესი არ არის, თუ სხვა ინვესტორებს კომპანიის მენეჯერთა აზრი, ან კომპანიაში რეალურად არსებული ვითარების შესახებ ინფორმაცია არ აინტერესებთ?**

- ნებისმიერი კომპანია, სანამ წინადადებას შეიტანდეს რაღაცის ყიდვაზე, წინასწარ კარგად უნდა გაერკვეს, თუ რა მდგომარეობაა კომპანიაში, რა ვითარებაა კომპანიის შემოსავლების მხრივ, რა ვითარებაა პერსონალთან დაკავშირებით, როგორ არის მოგვარებული სხვადასხვა წვრილწვრილი საორგანიზაციო თუ სხვა საკითხები. მილიონი დეტალია საინტერესო. ეს არის ის ინფორმაცია, რომელიც კომპანიამ უნდა იცოდეს მანამდე, სანამ გადაწყვეტს რაღაცის ყიდვას. ჩემთვის პირადად, ყოველივე ამ ინფორმაციის გარეშე მაგიდაზე დადებული წინასწარი შემოთავაზება მიუღებელია და არასერიოზული. ანუ, ეს ყველაფერი გასაკეთებელი იქნება. თუ ეს არ მოხდა, ნიშნავს, რომ შენ დიდ უბედურებაში აგდებ საკუთარ კომპანიას.

**- როგორ ფიქრობთ, საჭიროა თუ არა პოტენციური ინვესტორის გამოცდილების, ვინაობის, ფულის წარმომავლობის წინასწარ შემოწმება?**

- ის, რაც ხდებოდა კომპანიაში ამ რამდენიმე ხნის წინ, ეს იყო სრული ქაოსი - უბედურების ზონა. არაფერი არ იყო თავის ადგილზე. ბევრი რამ კიდევ არის გასაკეთებელი, მაგრამ საამაყოდ ბევრიც გაკეთდა და ახლა სახეზეა ძალიან დიდი პროგრესი. თუმცა, სამომავლოდ ის, რაც გაკეთდა, წყალში ჩაიყრება, თუ პრივატიზაცია ფრთხილად არ მოხდა. ის, რაც მართლა გაკეთდა, არ უნდა დაიკარგოს. თუ პრივატიზაცია სწორად არ განხორციელდა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ რეალური საფრთხის ქვეშ ვაყენებთ ქართველი ხალხის ნახევარზე მეტის მომავალს. ამიტომ საინვესტიციო პირობები მოზომილად უნდა შეირჩეს.

# ქართველი არქეოლოგი ტროას შესახებ

*ეძღვნება ტროას გათხრების ხელმძღვანელის, მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი არქეოლოგის პროფესორ მანფრედ კორფმანის ნათელ ხსოვნას*

## ზოგიერთი რამ ტროას აღმოჩენისა და ახალი გათხრების შესახებ

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ტროას აღმომჩენად ითვლება გერმანელი არქეოლოგი ჰაინრიხ შლიმანი, რომელმაც ამ ლეგენდარულ ქალაქში არქეოლოგიური გათხრები პირველად 1871 წელს დაიწყო. სამართლიანობა მოითხოვს ტროას აღმომჩენად ასევე დავასახელოთ ინგლისელი ფრანკ კალვერტი, რომელმაც შლიმანამდე ჰისარლიკის ბორცვზე მცირე გათხრები ჩაატარა. მართალია, ჰომეროსმა და ვერგილიუსმა ტროას შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი ცნობები შემოგვინახეს, მაგრამ მხოლოდ შლიმანის არქეოლოგიური გათხრების დაწყების შემდეგ დადასტურდა რეალურად ამგვარი ქალაქის არსებობა. მრავალი არგუმენტი არსებობს იმის სამტკიცებლად, რომ ტროა/ილიონი სწორედ იქ მდებარეობდა, სადაც დღეს არქეოლოგები გათხრებს აწარმოებენ.

1932-1938 წლებში ტროაში არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ცინცინატის უნივერსიტეტის არქეოლოგები პროფ. კარლ ბლეგენის ხელმძღვანელობით. 1939 წელს მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო არქეოლოგიური სამუშაოები შეჩერებული იქნა.

1988 წელს ტროაში არქეოლოგიური გათხრები განაახლა პროფესორმა მანფრედ ო. კორფმანმა გერმანიის ტიუბინგენის უნივერსიტეტიდან. ბოლო დრომდე ექსპედიციის თანახელმძღვანელი იყო პროფ. ბრაიან როუზი აშშ-ის ცინცინატის უნივერსიტეტიდან. პროფესორ კორმფმანის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური სამუშაოები ტროაში დღემდე გრძელდება, წელს დაგეგმილია გათხრების მე-18 სეზონი.

სამწუხაროდ, ყველასათვის მოულოდნელად 2005 წლის 11 აგვისტოს პროფესორი მანფრედ კორფმანი მცირე ხნის, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. საბედნიეროდ მან ისეთი კარგი არქეოლოგიური სკოლა შექმნა, რომ ტროაში არქეოლოგიური გათხრები კვლავაც გაგრძელდება. უკვე წელს, როცა ბატონი კორფმანი ავად იყო, არქოლოგიური გათხრები ტროაში მაინც ჩატარდა და მომავალშიც გაგრძელდება. პროფ. კორფმანის მემკვიდრეა მისი თანამშრომელი დოქტ. პეტერ იაბლონკა. ტიუბინგენის უნივერსიტეტის რექტორმა ებერჰარდ შაიხმა ინტერნეტში გავრცელებულ ინფორმაციაში დაადასტურა, რომ არქეოლოგიური გათხრები ტროაში კვლავაც გაგრძელდება და ტიუბინგენის უნივერსიტეტი ამისათვის ყველაფერს გააკეთებს.

■ ■ ■

ახლა მინდა გაზეთ "24 საათის" მკითხველს მოკლედ მივაწოდო ზოგიერთი მონაცემი ტროას ახალი არქეოლოგიური გათხრების შესახებ. ტროას ბორცვსა და მის ქვედა ქალაქში გათხრები ყოველწლიურად წარმოებს და მასში მეცნიერების სხვადასხვა დარგის 60-დან 100 სპეციალისტამდე მონაწილეობს მსოფლიოს 15 ქვეყნიდან (ზოგჯერ მეტი, ზოგჯერ ნაკლები). 2000 წლამდე გათხრებზე ასამდე მუშა იყო დასაქმებული, ამჟამად მათი რაოდენობა შემცირდა, რადგანაც ბოლო წლებში მეტი ყურადღება კამერალურ სამუშაოებს ეთმობა. საურთიერთობო და სამუშაო ენებია გერმანული, ინგლისური და თურქული. სამუშაო დღე ძეგლზე მომუშავე არქეოლოგებისათვის დილის 6 საათზე იწყება, ხოლო მასალებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის დილის 6:30 საათზე და საღამოს 18 საათამდე გრძელდება.

არქეოლოგიური გათხრების პარალელურად ტროაში დიდი სამუშაოები ტარდება მოპოვებული მასალების შესასწავლად. მეცნიერებისა და სტუდენტების ერთი ნაწილი სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს. ორი ჯგუფიდან ერთი სწავლობს ბრინჯაოს ხანის მონაპოვრებს, ხოლო მეორე - ანტიკური ხანისას. დიდი ყურადღება ეთმობა ბრინჯაოს, წინარეანტიკური და ანტიკური ხანის კერამიკული და სხვა სახის მასალების შესწავლას. გარდა ტროაში დამზადებული კერამიკული ნაწარმისა, დიდ როლს უთმობენ პროტოგეომეტრიული და არქაული კერამიკის, მინის ნაწარმის, ეპიგრაფიკული ძეგლების, ტერაკოტებისა და ნუმიზმატიკური მასალის შესწავლას.

ტროაში ფართო ხასიათის სამუშაოებს აწარმოებენ საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერების წარმომადგენლებიც. არქეოზოლოგები ახდენენ მოპოვებული ძვლოვანი მასალის შესწავლას. ძველი გზების, კედლებისა და ნაგებობების გამოკვლევისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს მაგნიტურ გამოკვლევებს. სწორედ გეომაგნიტური გამოკვლევების წყალობით შესაძლებელი გახდა "უხილავი" ტროას აღდგენა. აღსანიშნავია დათარიღების საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეთოდების ფართოდ გამოყენება ტროას მონაპოვრების ქრონოლოგიური ინტერპრეტაციის დროს.

## ტროას ადრებრინჯაოსა და შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისის კულტურა
(ძვ. წ. 3000-1700 წ.წ.)

ჰომეროსის თანახმად, ქალაქი ტროა (იგივე ილიონი/ილიოსი) დაეცა ბერძენტროელთა ომის მეათე წელიწადს. ამით, აღესრულა ბერძენი ქალღმერთების ათენასა და ჰერას ნება და წინასწარმეტყველება ტროელების დამარცხების შესახებ. ჰომეროსი მოგვითხრობს, რომ ჰერა და ათენა ერთმანეთს შეხვედრიან ორი მდინარის საკამანდროსისა და სიმეოსის შესართავთან ანუ იქ, სადაც ტროადის სამეფო დედაქალაქი ქალაქი ტროა მდებარეობდა. მათ ამ შეხვედრის დროს დაუგეგმავთ ტროას დანგრევა და განადგურება. რა თქმა უნდა, ეს ასეც მოხდა, რადგანაც ღმერთების ნებასა და სურვილს წინ ვერავინ დაუდგება.... მანამდე კი ტროა მცირე აზიის დასავლეთი სანაპიროს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი ყოფილა განვითარებული ეკონომიკით (მელითონეობა, მეთუნეობა, ოქრომჭედლობა და სხვ.), გამორჩეული არქიტექტურითა და მაღალი კულტურით. მისი მდებარეობა დარდანელის სრუტესთან ამ ქალაქს დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგანაც ის კეტავდა ეგეოსის ზღვიდან შავი ზღვისკენ მიმავალ ძველი სამყაროსთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზას. ტროას დაცემით სრულდება ბრინჯაოს ეპოქა და იწყება ადრერკინის ხანა, რაც ეგეოსურ სამყაროსა და მცირე აზიაში "ბნელი საუკუნეების" სახელითაა ცნობილი. თუმცა ნელ-ნელა ამ რეგიონებშიც კვლავ დაიწყო კულტურული აღმავლობა, მათ შორის ტროაშიც. მაგრამ ამის შესახებ მოკლედ ქვემოთ ვისაუბრებთ.

■ ■ ■

ტროა ძირითადად ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის ქალაქია, თუმცა აქ მცირე დასახლება ბიზანტიურ ხანაშიც არსებულა. გამოვლენილია ათი კულტურული ფენა. I-III ფენა ადრებრინჯაოს ხანას განეკუთვნება, IV-V - ადრებრინჯოს დასასრულსა და შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისს, VI და VIIa - შუა- და გვიანბრინჯაოს, VIIb - ადრერკინას, VIII - ბერძნულ, IX - რომაულ, ხოლო X - ბიზანტიურ ეპოქას. ტროას მოსახლეობა სხვადასხვა დროს განსხვავებული სიდიდის ფართობზე ცხოვრობდა, რაც კარგად ჩანს ამ დასახლების გენერალურ გეგმაზე.

ბრინჯაოსა და ადრეკინის ხანის ტროა (ტროა I-VII) მთლიანობაში 50 სამშენებლო ფაზისაგან შედგება. პირველად ადამიანი ტროას ბორცვზე ძვ. წ. 30-ე საუკუნეში მის დასავლეთ ნაწილში დასახლდა, რომელიც მაშინდელი ზღვის დონიდან 15 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობდა. ტროა I-ის კულტურა არსებობდა დაახლ. ძვ. წ. 2920-2350 წ.წ., რაც ემთხვევა ანატოლიის ადრებრინჯაო II პერიოდს.

ტროა I-ის დასახლება შემოსაზღვრული იყო დაუმუშავებელი ქვის გალავნით, რომლის მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილია სადღეისოდ შემორჩენილი. ტროა I-ის დრონინდელია შლიმანის მიერ განათხარ ერთ-ერთ არეალში აღმოჩენილი გრძელი, მარკუთხა ფორმის სახლების ნაშთები. 1988 წელს პროფ. კორფმანმა კვლავ დღის სინათლეზე გამოაჩინა ამ სახლების ფუნდამენტები, რომელთაც სარესტავრაციო სამუშაები ჩაუტარდა. კორფმანმა ეს ნაშთები დაახასიათა როგორც ერთმანეთის გვერდით მდგომი გრძელი სახლები. რაც შეეხება შლიმანის მიერ გათხრილ N 102 სახლს, ის დახასიათებულია როგორც ადრეული მეგარონის ტიპის სახლი. ერთ-ერთი სახლის ძირში ნაპოვნია ბავშვის ორი სამარხი. ქალაქში შესასვლელ ადგილას ორი კვადრატული ფორმის კოშკი უნდა მდგარიყო. ტროა I-ის მცხოვრებლები ჯერ კიდევ არ იცნობდნენ სამეთუნეო მორგს. მიუხედავად ამისა, ხელით ნაძერწი თიხის ჭურჭელი 10 ტიპითაა წარმოდგენილი. საკამაოდ გვხვდება ქვის ჭურჭელიც. იარაღები დამზადებულია ქვის, ძვლის და სპილენძისაგან. ტროა I 14 სამშენებლო ფაზისაგან შედგება.

ტროა II დათარიღებულია დაახლოებით ძვ. წ. 2550-2250 წ.წ. ამ დროის დასახლებას წრიული ფორმა აქვს. ბორცვზე მდებარე ციტადელის ფართობი დაახლოებით 9000 მ2-ია, ხოლო მის გარშემო არსებული თავდაცვითი კედლის სიგრძე 330 მ ყოფილა. შედარებით კარგადაა შემონახული სამხრეთ-დასავლეთი ჭიშკრის შესასვლელი. ხუთი მეტრის სიმაღლეზე მდებარე ჭიშკრის შესასვლელამდე უნდა გაევლოთ 21 მ სიგრძისა და 7,55 მ სიგანის რამპა, რომლის ზედაპირი დიდი ქვის ფილებით იყო ნაგები, ხოლო გვერდები ასევე ქვის კედლებით იყო შემოსაზღვრული. ბორცვს სამხრეთის მხრიდან ეკვროდა ქვედა ქალაქი, დასავლეთის მხრიდან კი - წყლის გამოქვაბული. ბორცვზე მდგარა მეგარონის ტიპის დიდი სახლები. სამშენებლო მასალად კვლავ მარკუთხა ფორმის დაუმუშავებელი ქვები და ალიზი გამოიყენებოდა.

ტროა II უშუალოდ აგრძელებს ტროა I-ის კულტურასა და ტრადიციებს. დადასტურებულია რვა სამშენებლო ფაზა. ტროა II სამჯერ გაუნადგურებია ხანძარს. როგორც ჩანს, ტროა II მტრის შემოსევის შედეგად დაეცა და გადაიწვა.

■ ■ ■

ტროა III (ძვ. წ. 2250-2200 წწ.) ასრულებს ტროაში ადრებრინჯაოს ხანის II ეტაპს. ამ დროის დასახლება უშუალოდ აგრძელებს ტროა I და II-ის კულტურას. დადასტურებულია დაახლ. ოთხი სამშენებლო ფაზა. ეს დასახლება ერთხელ ხანძარს გაუნადგურებია.

■ ■ ■

ტროა IV და V დახასიათებულია როგორც ტროას ანატოლიური კულტურა. ამ დროის ჰისარლიკის ბორცვზე არსებული დასახლების ფართობი 18 000 მ2-მდე გაიზარდა. ეს არის ადრებრინჯაო III და შუაბრინჯაოს ხანის დასაწყისი. ტროა IV, რომელიც შვიდი სამშენებლო ფაზისაგან შედგება, თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ამ დროს აქ სახლების მშენებლობის წესი შეცვლილია. შიდა ანატოლიის მსგავსად აქ გრძელ სახლებს უკვე ერთმანეთის გვერდით, ძალზე მჭიდროდ აშენებდნენ. სხვადასხვა სახლებს ხშირად საერთო კედელი და ბრტყელი სახურავები ჰქონდა. სიახლე იყო ასევე სახლების შიგნით გუმბათიანი ღუმელების გამოჩენა.

## ბრინჯაოს ხანის ტროას ბრწყინვალე კულტურა
(ძვ. წ. 1700-1200 წ.წ.)

ტროა VI (ძვ. წ. 1700-1200 წ.წ.) განეკუთვნება შუაბრინჯაოს დასასრულსა და გვიანბრინჯაოს ხანას. ამ დროს ტრაოა/ვილუსა წარმოადგენდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სავაჭრო ცენტრს. აქ უკვე საკმაოდ დიდი დასახლება არსებულა. ამ დროს ტროა VI-ის საერთო ფართობი (ბორცვი და ქვედა ქლაქი) დაახლ. 270 000 მ2-ს შეადგენდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იმ დროს ტროა მცირე აზიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქალაქი იყო.

ტროა VI-ის მცხოვრებლები კულტურულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვნად დაწინაურებულები ჩანან, ვიდრე ტროა V-ისა. ტროა VI ხასიათდება მძლავრი საგალავნო სისტემით. ამ დროის სამშენებლო მასალად კარგად დამუშავებული ოთხკუთხა ფორმის კირქვის ფილები გამოყენებოდა. სახლებისა და კედლების ნაშთები მიუთითებენ მაღალ სამშენებლო ტექნიკაზე. ქალაქის დაგეგმარება გარკვეულ, მკაცრად განსაზღვრულ წესს ემორჩილებოდა. ამას გარადა ქალაქი კარგად იყო სასმელი წყლით მომარაგებული არა მარტო მშვიდობიან პერიოდში, არამედ ომის დროსაც. ქალაქს იცავდა და ამშვენებდა მონუმენტური, მასიური თავდაცვითი კედლები, რომელთა საერთო სიმაღლე ათ მეტრზე მეტიც კი იყო. ქალაქს ხუთი ჭიშკარი, ორი მასიური კოშკი და ორი ბასტიონი ჰქონდა. ერთი კოშკი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში დაუშენებიათ იქ მდებარე ჭიშკრის დასაცავად. სამხრეთის ჭიშკარი იყო ქალაქის აკროპოლისში მთავარი შესასვლელი. შესასვლელის სიგანე 3,30 მ იყო. აქედან შედარებით ფართო ქუჩა მიემართებოდა აკროპოლისისაკენ. ჭიშკარს 7 მეტრის სიგანის მქონე კოშკი იცავდა.

ტროა VI-ის დროს 16 ტიპის თიხის ჭურჭელი გვხვდება. ყველაზე ტიპიურია ნაცრისფერი კერამიკა (Graue Ware), რომლის ყელი და მხარი ხშირად ტალღისებრი ორნამენტითაა შემკული. ამ დროს დასტურდება მრავალმხრივი კავშირების არსებობა ეგეოსურ სამყაროსთან, განსაკუთრებით მიკენთან, რაზედაც მიუთითებს აქ დიდი რაოდენობით აღმოჩენილი მიკენური კერამიკა.

ტროა VI-ს არსებობა შეუწყვეტია ძლიერი და დამანგრეველი მიწისძვრის გამო.



პროფესორი მანფრედ კორფმანი ტროა VI კედლებთან.



პროფესორი ჯონი აფაქიძე ტროაში არქეოლოგიური სამუშაოების დროს.



ტროას ოდეონი.



არქეოლოგიური გათხრები ტროას ქვედა ქალაქის დასავლეთ მონაკვეთში.



კერამიკული ჭურჭლის ზოგიერთი ნიმუში ტროას ერთ-ერთი მეგარონიდან (troa II/III).

## ჰომეროსის ტროა

არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე შემდგომი პერიოდი, კერძოდ, ტროა VIIa დათარიებულია ძვ. წ. 1300-1200 წწ. ამ დროს სამხრეთი ჭიშკარი კვლავ გამოიყენებოდა როგორც ქალაქში მთავარი შესასვლელი. ამ დროსვე განეკუთვნება ქალაქის ქუჩების ქვებით მოკირწყვლის დაწყება და საკანალიზაციო სისტემის გაყვანა. ჩვეულებრივია სახლების ქვეშ სამეურნეო დანიშნულების დიდი ზომის ქვევრების ჩამარხვა, რომელთა სიგრძე 1,75 მეტრიდან 2 მეტრამდე აღწევდა, სიგანე კი - 1 მეტრიდან 1,25 მეტრამდე. კვლავ გამოყენებაშია მიკენური კერამიკა.

**ამერიკელ არქეოლოგთა აზრით, სწორედ ტროა VIIa-ს დროს უნდა მომხდარიყო ჰომეროსის მიერ აღწერილი ტროას ომი.** შესაბამისად, სწორედ ეს უნდა იყოს ჰომეროსის მიერ აღწერილი ტროა/ილიონი. მათი აზრით, ამაზე არაპირდაპირ მიუთითებს სახლების კედლებში ნაპოვნი მრავალრიცხოვანი ისრისა და შუბისპირები და ადამიანთა ძვლები. ხანგრძლივი ალყის შემდეგ აქაველებმა ტროა აიღეს, გადაწვეს და დაანგრიეს. Eუნდა აღვნიშნო, რომ ეს მოსაზრება უდავო არ არის. ზოგიერთ მკვლევარს (მაგ., ე. აკურგალი, გ. შახერმაიერი, თ. მიქელაძე და სხვ.) მიაჩნია, რომ ჰომეროსის ტროა უფრო ადრე, კერძოდ, ტროა VI-ის მიწურულს, მისი ბოლო ფაზის დროს უნდა არსებულიყო. პირადად ჩემთვის, არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით და იმის გათვალისწინებით, რომ ტროა VI-ის არსებობა დამანგრეველმა მიწისძვრამ დაასრულა, ჰომეროსის მიერ აღწერილი ტროას ომის თარიღად, თუკი ის ოდესმე მართლა მომხდარა, მიმაჩნია ტროა VIIa-ს არსებობის უკანასკნელი ათი წელი. აქ აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ გამოჩენილი ქართველი ჰომეროლოგი პროფ. რისმაგ გორდეზიანი ჰომეროსის ტროას სწორედ ტროა VIIa პერიოდით ათარიღებს. მისი აზრით, თუ არსებობდა, სწორედ ამდროს უნდა არსებულიყო ლეგენდარული პრიამოსის ქალაქი.

## ტროას ბალკანიზირება

მას შემდეგ, რაც აქაველებმა ტროას მხარე დატოვეს, გადარჩენილმა მოსახლეობამ აქ კვლავ განაახლა ცხოვრება. ეს არის ე. წ. ტროა VIIb პერიოდი, რომელიც სამ ქვეპერიოდად იყოფა და მთლიანობაში ძვ. წ. 1200-1000 წ.წ. დათარიღებული.

ტროა VIIb პერიოდის დასახლება ძირითადად მხოლოდ ტროას ბორცვზე იყო განფენილი და ის თავისი საერთო ფართობით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა წინარე პერიოდის დასახლებას. კულტურული დაღმავლობა აშკარაა.Aმაგალითად, ამ დროს 1000 წლის შემდეგ კვლავ თავს იჩენს ხელით ნაძერწი კერამიკა, რაც, როგორც ჩანს, აქ მოსულ ახალ ეთნიკურ ელემენტებს უნდა უკავშირდებოდეს. თუმცა ამ დროს კვლავ შესამჩნევია წინარე ეპოქის ტრადიციების გაგრძელებაც. ამ მხრივ მაგალითად, აღსანიშნავია, მაგალითად, ძველი თავდაცვითი კედლის ნაწილობრივი გამოყენება. კედლების გასამაგრებლად ამ დროს ძირითადად დაუმუშავებელი, არათანაბარი ზომის ქვის ფილები გამოყენებოდა, რაც წინა პერიოდთან შედარებით უკან გადადგმული ნაბიჯი იყო.

ტროა VIIb2 პერიოდის დროს აქ ადგილი აქვს კულტურის შემდგომ დაღმავლობას, რასაც ამ დროს ხელს უწყობდა ამ მხარის გარკვეული ბალაკანიზირებაც. ამ მოვლენას თვალსაჩინოდ ასახავს აქ ფართოდ გავრცელებული ორი ტიპის კერამიკა, კერძოდ ბუკელური (Buckelkeramik) და "ბარბაროსული" (Barbarian ware) კერამიკა. ბევრია იმპორტული ჭურჭელიც. ამასთან აქ უდავოდ უნდა აღვნიშნო, რომ სწორედ ტროა VIIb პერიოდს განეკუთვნება ტროაში დღემდე აღმოჩენილი ერთადერთი წარწერიანი ნივთი. ესაა 1995 წელს გათხრების დროს მოპოვებული ბეჭედი (დმ დაახლ. 2 სმ), რომელსაც ძვ. წ. XII ს-ის დასასრულით ათარიღებენ. ბეჭდის ორივე ზედაპირი ლინზისებურად ამოზნექილია და ორივე მხარეზე ლუვიურ ენაზე შესრულებული წარწერაა დატანილი. ზედაპირზე ანუ წინა მხარეს ნახსენებია წარწერის შემსრულებლის, ხოლო უკანა მხარეს - რომელიღაც ქალის სახელი.

თუ რამ გამოიწვია ჯერ ტროა VIIb1-ის, ხოლო შემდეგ ტროა VIIb2 განაგურება არქეოლოგებისათვის ჯერჯერობით უცნობია. იგივე უნდა ვთქვა ტროა VIIb3 ფაზაზეც, რომლის არსებობაზეც ახალი არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მიუთითებს პროფ. მანფრედ კორფმანი (Manfred Korfmann, Der prЗhistorische Siedlungsh gel Hisarlik. Die "zehen StЗdte Troias" - von unten nach oben. In: Troia - Traum und Wirklichkeit, 2001, 352).

## ილიონი - ბერძნული კულტურა ტროაში

ტროა VIII-ის დროს (ძვ. წ. 700-85 წ.წ.) აქ ბერძნული კულტურაა გავრცელებული და შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს ტროა ტიპური ბერძნული კოლონიაა. როგორც არქიტექტურული, ისე კერამიკული თუ სხვა სახის მასალები თვალნათლივ ადასტურებენ ამ დროს აქ ბერძნული კულტურის დომინირებას. ამ დროს აქ ძირითადად ჰისარლიკის ბორცვი ყოფილა დასახლებული. ტროა VI-ის კედლის დასავლეთი ნაწილის გარეთ გამართული იქნა საკულტო ადგილი, რომელზედაც სამსხვერპლო აღმართეს. ჰეროდოტეს თანახმად, სპარსთა მეფემ ქსერქსემ ძვ. წ. 480 წელს ბერძენ ღმერთებს აქ 1000 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი შესწირა. ეს მსხვერპლშეწირვა სიმბოლურია, რადგანაც ის აღესრულა ბერძენ-სპარსელთა ომის დროს და ქსერქსეს მხრიდან მიზნად ისახვდა მტრის ე. ი. ბერძნების ღმერთების მოსყიდვას. ძვ. წ. 334 წელს ტროაში რამდენიმე დღით შეჩერებულა ალექსანდრე მაკედონელიც და გაუცია ბრძანება ათენას ახალი ტაძრის ასაშენებლად, რადგანაც ძველი მას არ მოწონებია. ძვ. წ. 85 წ. რომაელებმა დაანგრიეს ბერძნული წმინდა ქლაქი ილიონი.

## "ახალი ილიონი" - რომაული კულტურა ტროაში

ტროა IX (ძვ. წ. 85 - ახ. წ. 500) არის ტროაზე უკანასკნელი დასახლება. ამ დროის ტროას, რომელიც რომაული გავლენის ქვეშ იყო, ხშირად მოიხსენიებენ როგორც "ახალი ილიონს", "ახალ ტროას".

რომაულ პერიოდში აქ ადგილი ჰქონდა დიდ კულტურულ აღმავლობას. ამ დროს ტროამ მნიშვნელოვნად გადააბიჯა ძველი კედლების საზღვრებს. ქალაქის წყლის მომარაგების მიზნით ახალი არხები იქნა გაყვანილი. ტროა IX დიდი ნაწილი დღემდე გაუთხრელია. კარგადაა შესწავლილი, მაგალითად, ოდეონი (ნაგებობა მუსიკოსთა და მომღერალთა გამოსვლებისათვის) და აბანო. პროფ. კორფმანის ხელმძღვანელობით ოდეონს ჩაუტარდა სრულყოფილი სარესტავრაციო სამუშაოები და ის დღეს ტროას ბორცვზე ერთ-ერთი ბრწყინვალედ აღდგენილი ნაგებობაა, რომელიც მნახველებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს.

რომაელი იმპერატორები თავს ტროას მემკვიდრეებად მიიჩნევდნენ და ამიტომ ქალაქი ტროა განსაკუთრებული ზრუნვისა და ყურადღების ცენტრში იყო. ისინი დიდად აფასებდნენ ასევე ტროას მითოლოგიურ წარსულს და ამ განსაკუთრებულ ადგილს ხშირადაც სტუმრობდნენ. ამ მხრივ თავი განსაკუთრებით იმპერატორმა ავგუსტუსმა (ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარი) გამოიჩინა. მან გაადიდა და უფრო მშვენიერი გახადა ათენას ტაძარი. განახლებული იქნა ქვედა ქალაქიც, რომელსაც გარშემო 3,5 კმ სიგრძის თავდაცვითი კედელი შემოავლეს.

იმპერატორ კონსტანტინე დიდს მე-4 საუკუნეში ტროა აღმოსავლეთ რომის იმპერიის დედაქალაქად უნდოდა გამოეცხადებინა, მაგრამ საბოლოო არჩევანი მან იმ ადგილზე გააკეთა, სადაც ამჟამად სტამბოლი მდებარეობს და მას კონსტანტინეპოლი უწოდა. დაიწყო ტროას მნიშვნელობის დაკნინება: მას უკვე ძველებური სტრატეგიული მდებარეობა არ ეკავა, რადგანაც მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო გზა უკვე კონსტანტინეპოლზე გადიოდა. ძლიერი მიწისძვრის გამო ახ. წ. VI-ის დასაწყისში ტროაზე ცხოვრება შეწყდა.

## ტროას უკანასკნელი ქალაქი - ბიზანტიური ილიონი

ახ. წ. 13-14 სს-ში ტროას ქვედა ქალაქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა დასახლების არსებობა. ამას გარდა აღმოჩენილია ამ დროის მრავალრიცხოვანი სამარხები. აღსანიშნავია ასევე, რომ კორფმანის გათხრების დროს ბერძნულ-რომაული ტაძრის მახლობლად ბიზანტიის ხანის ნაგებობის ნაშთები დადასტურდა. თუმცა ჰისარლიკის ბორცვზე ამ დროის ნაშთების პოვნა არცთუ ისე ადვილია. შესაძლოა დროთა ვითარებაში ყველაზე გვიანი ხანის ფენა ბორცვის ზედაპირიდან ნელ-ნელა წაიშალა. მის შემდეგ მთელი ხუთი საუკუნე ტროას ბორცვზე არავითარი დასახლება არ არსებულა. 1871 წელს კი შლიმანმა მთელს მსოფლიოს ამცნო ტროას აღმოჩენის შესახებ და ჰისარლიკის ბორცვზე დაიწყო დიდი არქეოლოგიური სამუშაოები. ორი წლის შემდეგ ამ ბორცვზე აღმოჩენილი იქნა უმდიდრესი განძი, რომელმაც ტროას საქვეყნოდ გაუთქვა სახელი და რომელსაც ქვემოთ მოკლედ წარმოვადგენ.

## ტროას განძების შესახებ

ტროას არქეოლოგიური გათხრების დროს შლიმანმა 20-მდე განძი აღმოაჩინა. დონალდ ისტონის გამოკვლევის თანხმად კი შლიმანმა ჰისარლიკის ბორცვზე მთლიანობაში 21 განძი აღმოაჩინა. სადღეისოდ შლიმანის მიერ აღმოჩენილი განძები მსოფლიოს 50-მდე მუზეუმშია დაცული. მათ შორის ყველაზე მდიდარი კოლექციები დაცულია მოსკოვში, პუშკინის მუზეუმში. ვლადიმერ ტოლსტიკოვისა და მიხეილ ტრაისტერის მიერ 1996 წელს გამოქვეყნებულ ტროას განძების კატალოგში შესულია მხოლოდ 259 ნივთი ამ მუზეუმიდან. მ. ტრაისტერის თანხმად, ეს მასალები მომდინარეობენ შლიმანის მიერ 1872-1890 წლებში აღმოჩენილი 13 განძიდან.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე ტროას განძების დიდი ნაწილი, კერძოდ, 17 განძი ბერლინის ძველი ისტორიის მუზეუმში ინახებოდა. 1945 წელს ბერლინის აღების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა ბერლინის მუზეუმი გაძარცვეს და ხელს ტროაში აღმოჩენილი განძებიც გააყოლეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ განძების დიდი ნაწილი - 13 განძი დღეს მოსკოვში, პუშკინის მუზეუმშია დაცული (M. J. Trejster 1996, 197). ინფორმაცია ამის შესახებ მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გავრცელდა.

აქ ძალზე მოკლედ მხოლოდ სამ განძს შევეხები. ტროას ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია ე. წ. "პრიამოსის განძი", რომელიც შლიმანმა 1873 წელს ტროა II-ის კულტურულ ფენაში (დაახლ. ძვ. წ. 2550-2250 წწ.). აღმოაჩინა. ეს განძი ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის მრავალი ნივთისაგან შედგება. მასში შედიოდა ოქროს 56 საყურე, 8750 ოქროს ბეჭედი და ღილი, ოქროს ორი დიადემა, რომელთაც ანალოგები არ ეძებნება და სხვ. მთლიანობაში ეს განძში შედგებოდა 8830 ნივთისაგან.

"პრიამოსის განძი"-ს ნივთებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანებში ტროაში მცხოვრები ქალები განსაკუთრებით მაღალი გემოვნებით დამზადებულ სამკაულებს ატარებდნენ. დახვეწილი ოქრომჭედლობის გარდა ჩვენს აღფრთოვანებას იწვევს კერამიკული ნაწარმი, ფაქიზად დამზადებული სხვადასხვა ტიპის ჭურჭელი. განსაკუთებულ ყურადღებას იპყრობს ოქროს ღვინის ორყურა ჭურჭელი.

შლიმანმა თავიდან ტროა II მიიჩნია ჰომეროსის მიერ აღწერილ ტროად. ჰომეროსის ტროა კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ტროა VIIa პერიოდს უკავშირდება. ასე რომ ზემოთ ხსენებული განძი და მეფე პრიამოსი, რომელიც ჰომეროსის თანახმად, ტროას ომის დროს ცხოვრობდა, ერთმანეთთან კავშირში არ არის.

ძალზე საინტერესოა სხვა განძის, კერძოდ, "Schatz L"-ის ქვის ცულები, პირველ რიგში, ლაზურიტის ანუ იგივე ლაჟვარდის ცული. აქ კარგად ჩანს კონტაქტები ავღანეთთან, რადგანაც "ძველი მსოფლიოში" ლაჟვარდის საბადოები მხოლოდ ავღანეთში, კერძოდ, ბადახშანში იყო ცნობილი. იგივე შეიძლება ითქვას კიდევ ერთი განძის, კერძოდ, "Schatz E"-ს შესახებ, რომელშიც სარდიონის მძივსამკაულებს შეიცავს. შესაძლოა, სარდიონის მინერალები ტროაში სამხრეთ კავკასიიდან და განსაკუთრებით კი თანამედროვე საქართველოს ტერიტორიიდან შეჰქონდათ. ამგვარი მოსაზრება არ არის საფუძველს მოკლებული, რადგანაც საქართველო მდიდარია კვარც-აქატ-ქალცედონის კონგლომერატებითა და გამონამუშევრებით და ძვ. წ. II-I ათასწლეულების აქაურ ძეგლებზე სარდიონის სხვადასხვა ჯიშის მძივსამკაული დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ამრიგად, ლაჟვარდისა და სარდიონის მინერალები ტროაში აღმოსავლეთიდან უნდა მოხვედრილიყო: პირველი ავღანეთიდან, ხოლო მეორე - კავკასიიდან. ტროაში აღმოჩენილი ნახევრადძვირფასი ქვების მძივსამკაულების მინერალების წარმომავლობის საკითხი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო და აქტუალური თემაა (იხილე მაგ., Joni Apakidze, Lapislazuli-Funde des 3. und 2. Jahrtausends v. Chr. in der Kaukasusregion - Ein Beitrag zur Herkunft des Lapislazuli in Troia, Studia Troica 9, 1999, 511-525).

## ტროა - მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობა და ტროას მუზეუმი

ტროას ექსპედიცია თავისი შემადგენლობით ინტერნაციონალურია. მასში სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ორი-სამი თვის მანძილზე ერთად ცხოვრობენ და მუშაობენ. ყველა ცდილობს ღირსეულად წარმოაჩინოს თავისი ქვეყანა, გააკეთოს მაქსიმუმი და დაეხმაროს კოლეგას, თუკი რაიმე პრობლემა წარმოიშობა. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ შლიმანის მიერ 1871 წელს დაწყებული საქმე ღირსეული მემკვიდრეების ხელშია, და რომ ყველა "ტროელი" ადრე პროფესორ კორფმანისა და მამჯერად დოქტორ პეტერ იაბლონკას ხელმძღვანელობით ყველაფერს აკეთებდა და აკეთებს იმისათვის, რომ ტროა - მსოფლიო კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი - სრულყოფილად იქნას შესწავლილი და სამზეოზე გამოტანილი.

1998 წელს იუნესკომ ტროა მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობად გამოაცხადა. ტიუბინგენის უნივერსიტეტი თურქულ მხარესთან ერთად ახლა ბევრს მუშაობს იმისათვის, რომ ტროაში შეიქმნას დიდი მუზეუმი, სადაც სრულად იქნება წარმოდგენილი ამ ლეგენდარული ქალაქის ისტორია, არქეოლოგია და კულტურა.

ჰომეროსი და ტროა... ტროას ბრწყინვალე კულტურა, მისი ზღაპრული ლანდშაფტი.... ათწლიანი ომი დიდი სიყვარულისა და დიდი სიძულვილის გამო... დიდი ღალატისა და ვერაგობის სიმბოლო - ტროას ცხენი... რომანტიკული სახელები: მშვენიერი ელენე, მენელაოსი, აგამემნონი, პრიამოსი, აქილევსი, ჰექტორი, ოდისევსი, კასანდრა.....

ტროას მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობად გამოცხადება და ტროაში დიდი მუზეუმის შექმნა, უნდა გახდეს ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი და თუ გნებავთ შესანიშნავი იდეა იმისათვის, რომ იქ, სადაც ადრე ომები და ნგრევა იყო, იქ სადაც ადრე სიკვდილი დათარეშობდა, ახლა სიკეთე, სიყვარული და მშვიდობა სუფევს.... ტროას მთელი ისტორია დასაწყისიდან დღემდე არის ერთ-ერთი ძალზე ნათელი და თვალსაჩინო მაგალითი იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს სიკეთე ბოროტებაზე მაინც იმარჯვებს!

**ჯონი აფაქიძე,**
პროფესორი, საქართველოს ჰუმბოლდტის კლუბის გენერალური მდივანი, თსუ სოხუმის ფილიალის არქეოლოგიის კათედრის გამგე

Kuzanov Clinic
კუზანოვის კლინიკა
ქართულ-ამერიკული რეკონსტრუქციულ-პლასტიკური და ესთეტიკური ქირურგიის კლინიკა; ლაზერული ცენტრი; თვალის სრული დიაგნოსტიკა და ქირურგია;სტომატოლოგია; კოსმეტოლოგია.
გამსახურდიას გამზ. N5
ტელ: 424-005, 8(99) 703-703
www.kuzanov.com
იქ, სადაც სილამაზე იქმნება.

ლაშა ბუღაძის სვეტი

# საზოგადოებრივი ტელევიზია, პირველი არხი, პროგრამა „მთავარი"



**წამყვანი**. /მოწყენილია/ გამარჯობათ, პატივცემულო ხალხი...

**პროდიუსერი**. /წამყვანს ყურთსასმენის მეშვეობით ეჩურჩულება/ ჯერ ერთი, გამარჯობა და არა - გამარჯობათ... მეორეც - ხალხო და არა ხალხი... და მესამე - ცოტა ხალისიანად, ჩემი გოგო!

**წამყვანი**. ვინმე გვიყურებს?

**პროდიუსერი**. კი... სამონტაჟოში გვიყურებენ... ფოიეშიც... საშვთა ბიუროში პირველი არხი ქონიათ ჩართული... ამ წუთას შემატყობინეს...

**წამყვანი**. მოლარე?.. მოლარე ვისია?

**პროდიუსერი**. ჩვენია ეგეც... ფაქტიურად...

**წამყვანი**. თავმჯდომარე?

**პროდიუსერი**. თავმჯდომარე, ჯერჯერობით, პრინციპულად არ უყურებს პირველ არხს... არ უნდა, რო შევეცოდოთ - მერე ველარ გაგვაგდებს... ადამიანია ეგეც, ქვის გული კი არა აქვს... როცა, მაგალითად, "სარჩევი" იწყება, ასე ამბობს ხოლმე: "ჯვარი აქაურობას, ჯვარი აქაურობას!"

**წამყვანი.** სამეთვალყურეო საბჭო?.. რას უყურებს რონდელი?.. ან, ქალბატონი მაცაცო?.. /ცრემლებს ძლივს იკავებს/ ქალბატონი მაცაცოს იმედი მაქვს... ეგ მაინც არ დაგვთმობს...

**პროდიუსერი**. სამეთვალყურეო საბჭოს ნაწილი საღამოს გამაჯანსაღებელ ლოცვაზეა წასული წმინდა გიგასთან...

**წამყვანი**. არველაძე?.. არც არველაძე გვიყურებს?

**პროდიუსერი**. გიორგი არველაძე დისკოტეკათა მფარველი წმინდანია... ტელევიზია არ აინტერესებს!

**წამყვანი**. წმინდა გივიკო?!

**პროდიუსერი**. ვინაა წმინდა გივიკო?

**წამყვანი**. გივიკო, ნუ!.. თარგამაძე...

**პროდიუსერი**. ვინ გითხრა, გივიკო წმინდანიაო?!.. ეგ არ გაიმეორო მეორედ!..

**წამყვანი**. ქალბატონ ნინოს თუ მოვწონვართ?.. ჩვენს დიდებულ ბალერინასა და ალუათა რისხვას?!

**პროდიუსერი**. ალუათა რისხვას, როგორც ჩემთვისაა ცნობილი, პრეზიდენტისთვის უთხოვია, ვინც საზოგადოებრივ არხზე მუშაობს, ყველამ პუანტები ჩაიცვას, თორემ დავკრავ ფეხს და უკან ალარსდროს ჩამოვალო...

**წამყვანი**. რაო, მერე, პრეზიდენტმა, რა უპასუხა?

**პროდიუსერი.** ნერვიული ქავილი დაწყებია, თურმე... ანუ, არც ჰო უთქვამს და არც არა... მიდი ეხლა, ჰე!.. დაიწყო გადაცემა!.. გამოცოცხლდი!

**წამყვანი**. /რამდენადაც შესაძლებელია, გამოცოცხლდება/ მოგესალმებით, პატივცემულო ხალხი... ძალიან გვინდოდა, რომ დღის ამბები მოგვეთხრო თქვენთვის, მაგრამ ჩვენი კორესპონდენტები დროულად ვერსად მივიდნენ... ყველგან დააგვიანეს!.. ყაზახეთის პრეზიდენტი იყო ჩამოსული და როცა ლიტვის პრეზიდენტი გაფრინდა უკან, რეპორტაჟის მომზადება მაშინ გაახსენდათ... ისიც ბუშზე!.. გონიათ, რო მაინც გააგდებენ და ტყუილა რატო ვიწვალოთო!.. მოკლედ, არ ვიცი, რა... აქ იმისთანა დაბნეულობაა ამჟამად - ჩემ მტერს!.. ნუ, რა მოგიყვეთ, წარმოდგენა არა მაქ... თუკი დღის ამბები გაინტერესებთ, გადართეთ "კავკასიაზე" და ყველაფერს გაიგებთ... /თავს ვერ შეიკავებს, აქვითინდება/ აწი მარტო "კავკასია" ლაპარაკობს სიმართლეს!..

**პროდიუსერი**. /კვლავ ყურთსასმენის მეშვეობით უჩურჩულებს წამყვანს/ წმინდა გიგამ დარეკა, პროვოკატორობას მოეშვას, თორე "რუსთავი "2-ზე" გადასვლას ვერასდროს ეღირსებაო!

**წამყვანი**. არც მინდა, ბატონო!.. სუ არ მინდა მასეთი... ყურებადობა!..

აქ უფრო მშვიდად ვარ... ვინც მე მინდა, მარტო ის მიყურებს... ჩემი ბიძაშვილები, მაგალითად... მაგათთან ერთად ვარ გაზრდილი!..

**პროდიუსერი**. სპორტი!.. სპორტზე გადადი!

**წამყვანი**. არ ვიცი და არც მაინტერესებს, სპორტში რა ხდება!.. ვინმეს ხო უნდა მოეტანა სპორტის ამბები, მე ხო არ დამესიზმრებოდა!..

**პროდიუსერი**. ძველი ამბავი მოყევი... ოღონდ, კაი!.. ოპტიმისტური!

**წამყვანი**. თასების თასი აიღო თბილისის "დინამომ!.." ვიტალი დარასელიამ გადამწყვეტი გოლი გაიტანა!..

**პროდიუსერი**. გადადი ამინდზე!

**წამყვანი**. აქედან არ ჩანს, მაგრამ ქარია, მგონი...

**პროდიუსერი**. დასაბრუნებელი ტერიტორიებით დაიწყე, წმინდა გიგას თხოვნაა ესეც!

**წამყვანი**. სოხუმში ნალექიანობაა... ცხინვალში ბაყაყების წვიმა მოდის...

ტაო-კლარჯეთში და საინგილოში ტენიანობაა...

**პროდიუსერი**. ...მგონი, მაგდებენ!

**წამყვანი**. რა იცი?

**პროდიუსერი**. "მინუტკა" მედგა აგერ და გაქრა... ტყუილა არ გაქრებოდა... სხვას აძლევენ, ეტყობა...

**წამყვანი**. იმღერე!.. სიმღერით წადი...

**პროდიუსერი**. /აკანკალებული ხმით/ ჩემი ხააატია საა...

**წამყვანი**. /ტირილით/ სახატეეე ჩემიი ქვეეყაანააა...

დასასრული

---

სსიფ | საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი | GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND | GSIF

**განცხადება ტენდერის შესახებ**

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით თერჯოლის რაიონის სოფელ ბარდუბნის ხიდის მშენებლობა.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

**სოფელ ბარდუბნის სათემო კავშირთან "ბარდუბანი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ბარდუბანი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, თერჯოლის რაიონი,**
**სოფელ ბარდუბნის საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი რომან ბარდაველიძე, სათემო კავშირი "ბარდუბანი"-ს თავმჯდომარე**

2005 წლის 11 ოქტომბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **4 000** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, თერჯოლის რაიონი**
**სოფელ ბარდუბნის საკრებულოს შენობა**
**საკონტაქტო პირი რომან ბარდაველიძე, სათემო კავშირი "ბარდუბანი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 11 ნოემბერი 13 საათამდე**.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

---

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ბორჯომის რაიონის გამგეობა, მისამართი ქ.ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1 აცხადებს ღია ტენდერს ქ. ბორჯომში ადმინისტრაციული შენობის და N1 საშუალო სკოლის თბომომარაგების სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. სამუშაოების შესრულების ვადაა 2005 წლის 31 დეკემბერი.

3. შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა: ადმინისტრაციული შენობის და N1 საშუალო სკოლის თბომომარაგება.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე 2 ეგზემპლარად (1 ორიგინალი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი, 1 ასლი) უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 26 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრიდან 10-დან 17 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1, მე-5 სართული ოთახი N2, ბორჯომის რაიონის გამგეობა.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმე.

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემელ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის.

5.2. ფიზიკური პირისთვის:

ა) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.

ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულებისთვის.

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება.

5.3 როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირისათვის:

ა) იურიდიული/ფიზიკური პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები).

ბ) ლიცენზია შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე (ნოტარიულად დამოწმებული ასლი).

გ) სახელმწიფო ორგანოს დადგენილებას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ (ნოტარიულად დამოწმებული ასლი).

დ) 2000-2004 წლების განმავლობაში შესრულებული სამუშაოს დასახელება, ხელშეკრულების ღირებულება, შესრულებული სამუშაოს ტიპი და ვადა დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით.

ე) ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობა დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების და სხვა საშუალებების შესახებ დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით.

ვ) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავეთა თანამდებობა, გვარი, სახელი და მამის სახელი, მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი), ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი).

ზ) საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებულ ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშებს ან ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს (იურიდიული პირისათვის ბალანსები, ფიზიკურინპირისათვის დეკლარაციები).

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი მე-4 პუნქტში დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობით სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეუძლიათ 31 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე 10 სთ-დან 17 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1 მე-5 სართული მე-2 ოთახი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

8. ქართულ ენაზე შედგენილი წინადადება წარდგენილი უნდა იქნას 2005 წლის 8 ნოემბრის 14 სთ-მდე მისამართზე: ქ.ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1 მე-5 სართული მე-2 ოთახი. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული და ფიხიკური პირის ხელმძღვანელის მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინება სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით.

9. სატენდერო მოსაკრებელი ჩაირიცხება: საქ. ეროვნულ ბანკში კოდი 220101107 ანგ. N200122900 კოდი 300624040 ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.

10. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: ქ. ბორჯომი რუსთაველის მოედანი N1 მე-5 სართული, ბორჯომის რაიონის გამგეობა, ტელეფონი: (8-267)-2-39-05 ან 2-30-51.

*სატენდერო კომისია*

---

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური, (ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24, საიდ. კოდი 201955296, ა/ა 001132801, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველო კოდი 220101107) აცხადებს ღია, ტენდერს **ქ. თბილისის ტერიტორიების შესწავლისა და**

**ქალაქთმშენებლობითი ანალიზისთვის** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელი სამუშაოები დაყოფილია ორ ლოტად:

**I - ლოტი:** დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, დიდუბე, საწარმოო ზონები;
**II - ლოტი:** ისანი-სამგორის რაიონი, არსენალისა და მისი მიმდებარე ტერიტორია

1. დაფინანსების წყაროა - ქ. თბილისის ბიუჯეტი.

2. მიწოდების სასურველი ვადაა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 1 დეკემბრამდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 19 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N89/24.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

**4.1. იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ)ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

დ) დადგენილება სასამართლოდან რეგისტრაციის შესახებ, წესდების ან დებულების თანდართვით.

**4.2 ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ)ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;

დ) ცნობა რაიონული სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3 როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირისათვის:**

a) ლიცენზია საპროექტო სამუშაოების განხორციელების შესახებ;
b) ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების განხორციელების შესახებ:
გ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
d) ინფორმაცია სუბკონტრაქტორის მიერ გასაწევი სამუშაოს შესახებ;

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდა.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველს აქვს ერთი სატენდერო წინადადების წარმოდგენის უფლება;

7. სატენდერო კომისია მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით შეესაბამებიან დადგენილ პირობებს.

8. სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით.

9. სატენდერო წინადადებების მიღება მოწვეულ პრეტენდენტებს 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, დავით აღმაშემენლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.** სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად, შერჩევიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) დღის ვადაში.

10. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: **ბ. გელდიაშვილი** - სატენდერო კომისიის წევრი და **ალეკო ჩხეიძე** - სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონტაქტო ტელ: 96-91-26 მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N89/24, ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური.

*სატენდერო კომისია.*

---

# შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს ტ ე ნ დ ე რ ს

ბათუმის საზღვაო ნავსადგური ლოკალური კომპიუტერული ქსელის შექმნის მიზნით იწვევს დაინტერესებულ პირებს ტენდერში მონაწილეობისთვის.

შესასრულებელი სამუშაოს მოკლე დახასიათება:

წინასწარ განსაზღვრული ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, საკუთარი მასალით ნავსადგურში ლოკალური კომპიუტერული ქსელის შექმნა.

ტექნიკური სპეციფიკაციის მიღება ტენდერში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 2005 წლის 10 ოქტომბრიდან 2005 წლის 13 ოქტომბრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე ნავსადგურის ადმინისტრაციაში მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, II სართული, ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება.

**ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

განცხადება ტენდერში მონაწილეობისათვის;
- პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- მოკლე ინფორმაცია პირის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულებისა და გამოცდილების შესახებ;
ლოკალური კომპიუტერული ქსელის შექმნის პროექტი და სრული ხარჯთაღრიცხა;
- საგარანტიო მომსახურების პირობები.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტები დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ ნავსადგურის ოფისში (ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება) ამა წლის 17 ოქტომბრიდან 21 ოქტომბრის ჩათვლით.

სატენდერო კომისიის მიერ დალუქული პაკეტების გახსნა მოხდება 2005 წლის 24 ოქტომბერს, ტენდერში მონაწილეთა თანდასწრებით, რის შემდეგაც კომისია გააგრძელებს მუშაობას თითოეული სატენდერო წინადადების ცალცალკე განხილვაზე, მათი წარმომდგენი პირების მონაწილეობით.

საბოლოო შედეგები ტენდერში მონაწილეებს ეცნობებათ წინადადებების განხილვიდან 5 დღის განმავლობაში.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

ტენდერში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ნავსადგურისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობებითა და ღირებულებით ლოკალური კომპიუტერული ქსელის შექმნა.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, იურიდიული განყოფილება, ტელ: 74914 ან ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება 74912 (11-22), (893) 918165.

*შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"*

# ახალი S-კლასის "მერსედეს-ბენცი" - აქცენტი უსაფრთხოებაზე

### შტუტგარტელთა პასუხი ბავარიელებს





"მერსედეს-ბენცი" თავისი ფლაგმანის, ლუქსის კლასის სედან S-კლასის ბოლო ვერსიას 1998 წლიდან უშვებს. ამ წლების განმავლობაში სულ 485 000 ცალი S-კლასის ავტომობილი იქნა გამოშვებული, რითაც აღნიშნული სედანი თავის კლასის ლიდერია. უფრო მეტიც, ავტომობილს, რომლის კოდური სახელწოდებაა W220, ბევრ ასპექტში დღესაც ბადალი არ მოეპოვება "თანასწორთა" შორის, თუმცა ამის მიუხედავად, შტუტგარტელებმა მისი შეცვლა მაინც გადაწყვიტეს.

ნურავინ იფიქრებს, რომ ახალი ავტომობილის ბაზარზე გამოჩენას შექმნილი სიტუაცია მოითხოვს. გასაგებია, რომ "სამქიმიანები" დღეს კრიზისში იმყოფებიან, თუმცა ეს სულაც არ არის S-კლასის სედანის დაძველების შედეგი. უბრალოდ, კომპანიის საწარმოო ციკლი ახალი მოდელის დროულ მომზადებას ითვალისწინებს და იმის გამო, რომ ძველი ავტომობილი ჯერაც პოპულარულია, ახალს, რომლის შექმნაზეც ასეულობით მილიონი ევროა დახარჯული, არავინ შეაყოვნებს.

დღეს, როდესაც პრემიუმ-სექტორის ავტომწარმოებლებს შორის "მერსედესს" პირველობა ბავარიულმა "ბეემვემ" ჩამოართვა, ახალი ავტომობილის ბაზარზე გამოშვება მისწრება უნდა იყოს. ჰოდა, შტუტგარტელებიც ფრანკფურტის ავტოსალონზე თავიანთი ახალი ფლაგმანის, ახალი S-კლასის (ძარის ინდექსია W221) სედანის დებიუტს გეგმავენ.

დებიუტამდე კი კომპანიამ მას-მედიას წარუდგინა ახალი ავტომობილის ფოტოები და ზოგიერთი ტექნიკური მონაცემი. ეს არცაა გასაკვირი - შტუტგარტელები ფრანკფურტშივე აპირებენ ამ სედანზე შეკვეთების მიღების დაწყებას და სურთ, რომ წლის ბოლომდე შეკვეთების სოლიდურ პაკეტს მოუყარონ თავი.

ახალი ავტომობილი გაბარიტებით წინამორბედზე დიდია. ამასთან, ის კვლავაც ორ ვერსიად მიეწოდება მყიდველს. ერთი ვერსია სტანდარტულია, მეორე კი - გრძელი ბაზით. ამასთან, გრძელბაზიანი ვერსიაც თავის შესაბამის წინამორბედზე დიდი იქნება. მაშ ასე, ახალი ავტომობილის სიგრძეა 5076 მილიმეტრი (+33 მმ), გრძელბაზიანის სიგრძეა 5206 მმ (+43 მმ), სიგანე 1871 მმ (+16 მმ), სიმაღლე 1473 მმ(+29 მმ), ბაზის სიგრძე კი - 3035 მმ (+70 მმ), გრძელბაზიანისა 3165 მმ (+80 მმ). გაბარიტების ზრდით, ყველაზე მეტად ავტომობილის უკანა მგზავრები იხეირებენ. გაიზრდება ასევე საბარგულის მოცულობაც, რომელიც 560 ლიტრს მიაღწევს (+60 ლიტრი).

სხვათა შორის, კომპანიის მესვეურებმა დაუფარავად განაცხადეს, რომ 'სამქიმიანებისთვის" სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ამ ახალი ავტომობილის წარმატებას ბაზარზე, რადგან მან კომპანიას შელახული რეპუტაცია უნდა აღუდგინოს. ამიტომ, გადაწყდა, რომ ექსტერიერი არ უნდა ყოფილყო გამორჩეული რევოლუციური ფორმებით. იქნებ, შტუტგარტელებმა გაითვალისწინეს თავიანთი მთავარი კონკურენტის მწარე გამოცდილება - "ბეემვეს" ლამის ორი წელი დასჭირდა, სანამ მყიდველს მიაჩვევდა თავისი ახალი, მე-7 სერიის სედანის ავანგარდულ დიზაინს. ამავე მიზეზის გამო, ბავარიელებმა ნაადრევად ჩაუტარეს ამ ავტომობილს მოდერნიზება.

ამ მხრივ, "სამქიმიანებს" ძალიან გამოადგათ თავიანთი შტოს, "მაიბახის" ლიმუზინების დიზაინი - ახალი S-კლასის სედანი პირველ რიგში სწორედ "მაიბახებს" მოგვაგონებს. ამასთან, თუ მისი წინამორბედი ელეგანტურობით გამოირჩეოდა, ახალი ავტომობილი უფრო მონუმენტური გარეგნობისაა და ხაზგასმით მიგვანიშნებს თავის წარმომავლობაზე. მის დიზანიში განსაკუთრებულ ყურადღებას კი ბორბლის უჩვეულოდ გამობურცული თაღებ იქცევს, როგორებიც აქვს განახლებულ M-კლასის უგზოობის მოდელს.

"მაიბახთან" მსგავსება უფრო უკანა ნაწილში იგრძნობა. უფრო ტრადიციულად მოჩანს სედანის წინა ნაწილი, სადაც ყურადღებას იქცევს დიდი ზომის, საბორბლე თაღებში გარდამავალი სათავო მაშუქები, რომლებსაც ერთგვარი მომრგვალებული სამკუთხედის ფორმა აქვს. ავტომობილი იცნობა ასევე ტრადიციული, დიდი რადიატორით, რომელსაც ოთხი განივი ტიხარი და კომპანიის სამქიმიანი ემბლემა ამშვენებს. ახალი ავტომობილის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია სახურავის კუპეს სტილის მოყვანილობა. მთლიანობაში კი ავტომობილის გარეგნობა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მისი წინა და უკან ნაწილების შექმნაზე დიზაინერთა ორი სხვადასხვა ჯგუფი მუშაობდა, რომლებიც მოგვიანებით გაერთიანდნენ და თავიანთი ნამუშევრების შერწყმა მოუხდათ.

გარეგნობაზე მეტად, ავტომობილის ინტერიერი შეიცვალა. აქ ყველაზე თვალში საცემი ის ფაქტია, რომ მაქსიმალურად გამარტივებულია მაჩვენებელთა დაფა, რომელზეც ტრადიციული სპიდომეტრისა და ტახომეტრის გარდა, ერთი უნივერსალური მონიტორიც არის დატანილი. მონიტორზე ხდება მძღოლისთვის საჭირო ყველა ინფორმაციის გამოტანა.

ბავარიული კომპანიის გავლენით, "სამქიმიანებმაც" უარი თქვეს გადაცემათა კოლოფის საფეხურების შესაცვლელ ტრადიციულ ბერკეტზე, რომლის ნაცვლადაც საჭის რგოლის უკან დაიტანეს პატარა ბერკეტი. მსგავსი გადამრთველები ერთ დროს აშშ-ში იყო პოპულარული, ახლა კი ორი გერმანული კონკურენტი კონცერნის წყალობით, ევროპაშიც მკვიდრდება.

მოკლე S-კლასის წინა სავარძლებს რეგულირების 18 პოზიცია გააჩნია. გარდა ამისა, დამატებითი საფასურის გადახდის შემთხვევაში, მყიდველი მიიღებს გამათბობლებითა და სავენტილაციო მოწყობილობით აღჭურვილ სავარძლებს. ამ სავარძლებს ექნებათ მულტიკონტურული მოწყობილობაც, რომლის მეშვეობითაც, სავარძლის ბალიში და საზურგე ავტომატურად რეგულირდება საგზაო სიტუაციის შესაბამისად. უფრო მეტიც, აქტიურ სავარძლებს შეუძლიათ მძღოლისთვის მასაჟის ჩატარება. ამისათვის გამოიყენება საჰაერო კამერები, რომლებიც წელის არეშია განლაგებული.

კონსტრუქტორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ავტომობილის აღჭურვას უსაფრთხოების ულტრათანამედროვე სისტემებით. ამ სისტემების "მომსახურე" გადამწოდები ძარის თითქმის ყველა ნაწილშია განთავსებული და ისინი ენტრალურ ჩიპს, ანუ ამ სისტემების ტვინს საჭირო ინფორმაციით ამარაგებენ.

უსაფრთხოების ტრადიციული სისტემების გარდა, ახალ S-კლასში ბევრი ისეთი სისტემაცაა, რომლებიც სხვა ავტომობილებში არ გვხვდება. ერთ-ერთი ასეთი სისტემათაგანია ექსტრემალური დამუხრუჭების სისტემა სახელწოდებით "ბრეიკ-ასისტანტ პლუს". ამ სისტემით ხდება ავტომობილის წინ მოძრავი ტრანსპორტისთვის თვალყურის დევნება, რისთვისაც გამოიყენება წინა ბამპერში ჩამონტაჟებული მინი-რადარი. იმ შემთხვევაში, თუ ორ ავტომობილს შორის მანძილი მეტისმეტად, ან სწრაფად მცირდება, რადარი ამ ინფორმაციას სისტემას მიაწვდის. შედეგად, ავტომობილის სამუხრუჭე სისტემა თავისათავად ამოქმედდება და იმ შემთხვევაშიც, თუ მძღოლი ვერ ასწრებს რეაგირებას, თავად დაამუხრუჭებს ავტომობილს. გარდა ამისა, ავტომობილს აქვს სტოპ-სიგნალის მანიშნებელი ადაპტური მაშუქები, რომლებიც უკან მიმავალი ავტომობილის მძღოლს ანიშნებს, რომ მანქანა ექსტრემალურად ამუხრუჭებს.

ზარმაცებისთვის S-კლასს გააჩნია კრუიზ-კონტროლის ადაპტური სისტემა "დისტრონიკ პლუს", რომელიც 200 კმ/სთ სიჩქარეზეც კი მუშაობს. მისი მეშვეობით, ავტომობილი ავტომატურად ინარჩუნებს დისტანციას წინ მიმავალ მანქანასთან, ავტომატურადვე აჩერებს სედანს და აჩქარებს წინასწარ მითითებულ სიჩქარემდე. გარდა ამისა, დამატებით ოპციაში შედის ღამის ხედვის სისტემა, რომელიც ინფრაწითელ გამოსხივებას (კადილაკი ვერმულ გამოსხივებას იყენებდა) იყენებს. მისი მეშვეობით, მძღოლს 150 მეტრის სიშორეზე შეუძლია სიბნელეში საგნების გარჩევა.

სალონი აღჭურვილია უნივერსალური ელექტრონული ცენტრით, სახელად "კომანდ" (აუდის MMI და ბეემვეს iDrive სისტემების ანალოგია), რომელიც უნივერსალურ ფუნქციას ასრულებს. ამასთან, "მერსედეს-ბენცი" ერთ-ერთი პირველია, რომელიც მძღოლისა და წინა მგზავრისთვის გამოიყენებს მუხლის უსაფრთხოების ბალიშებს.

ახალი S-კლასისთვის ჯერ მხოლოდ 4 ძრავია გათვალისწინებული. მათგან სამი სრულიად ახალი კონსტრუქციისაა. მათგან სამი საწვავად ბენზინს მოიხმარს, ერთი კი - დიზელს. ყველაზე მცირე და სუსტია V6, რომლის მუშა მოცულობა 3.5 ლიტრი, სიმძლავრე კი 272 ცხენის ძალაა. შემდეგ მოდის ახალი V8, რომლის მოცულობა 5.0 ლიტრია, სიმძლავრე კი 388 ცხენის ძალა. ეს აგრეგატი 530 ნმ მაბრუნ მომენტს ავითარებს და მისი მეშვეობით S500 ადგილიდან 100 კმ/სთ-მდე აჩქარებას 5.4 წამში ასწრებს.

CDI სერიის დიზელის V6 აგრეგატის მოცულობა 3.2 ლიტრია. ის აღიჭურვება ნაცრის ფილტრით და საწვავის უშუალოდ წვაის კამერაში შეფრქვევის სისტემით. მისი მაქსიმალური სიჩქარე 231 ცხენის ძალაა, მაქსიმალურ მაბრუნ მომენტს (540 ნმ) კი 1600 ბრ/წთ-დან ავითარებს.

S-კლასის ყველაზე პრესტიჟული ვერსია კი აღიჭურვება 6-ლიტრიანი V12 ბენზინის ძრავით, რომლის სიმძლავრეც 517 ცხენის ძალას აღწევს. S-კლასის სედანის საბაზო ვერსიაზე ყველა ძრავთან შეწყვილდება 7-საფეხურიანი გადაცემათა ავტომატური კოლოფი 7G-ტრონიკ. გარდა ამისა, შტუტგარტელები ყველაწამყვანბორბლიანი S-კლასის შექმნაზეც ზრუნავენ. თუმცა, ასეთი ავტომობილები შედარებით გვიან გამოჩნდება ბაზარზე.

სხვათა შორის, შტუტგარტელები არ მალავენ, რომ უკვე მუშაობენ S-კლასის სედანის ჰიბრიდულაგრეგატიან ვერსიაზე. თუმცა, კომპანიის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელ თომას ვებერის თქმით, ასეთი ავტომობილი დაახლოებით 4 წლის შემდეგ გამოჩნდება ბაზარზე და ეს ტიპიური უმაღლესი კლასის "მერსედესი" იქნება თავისი შესანიშნავი ტექნიკურ-დინამიკური და ეკონომიკურ-ეკოლოგიური მაჩვენებლებით. ამასთან, სხვადასხვა ბაზრისთვის სხვადასხვა ჰიბრიდული სისტემა მზადდება. მაგალითად, ამერიკელ და იაპონელ მყიდველს შესთავაზებენ ბენზინის ძრავისა და ელექტრომოტორის ჰიბრიდს, როცა ევროპელებისთვის დიზელისა და ელექტროძრავების ჰიბრიდია გათვალისწინებული.

ახალი S-კლასის სედანის მსოფლიო დებიუტი სექტემბერში, ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგება და მაშინვე დაიწყება მასზე შეკვეთების მიღება. ჯერჯერობით უცნობია ახალი ავტომობილის ფასი.

# "პორშე" ლე მანზე ბრუნდება





უკვე ათი წელია, რაც გერმანულ კომპანია "პორშეს" სარბოლი პროტოტიპი არ გამოუყვანია ლე მანის ლეგენდარულ 24-საათიან რბოლებში, სადაც განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იან წლებში დომინირებდა. პარალელურად, კომპანიამ ლე მანის რბოლა 1998 დიდი ტურიზმის პირველ კლასში (GT1) მოიგო, მაგრამ აბსოლუტურ კლასში გამარჯვებას უკვე დიდი ხანია, არ ღირსებია.

ბოლო წლებში კი, მას შემდეგ, რაც აშშ-ში ჩამოყალიბდა სარბოლი სერია სახელად "ამერიკენ ლე მანს სერის", სარბოლმა პროტოტიპებმა კვლავ დაიბრნეს პოპულარობა. ასე განსაჯეთ, სერიის ყველაზე პოპულარულ ეტაპებზე - დაიტონას 24-საათიან რბოლასა და სებრინგის 12-საათიან რბოლებში, სტარტზე გამოსული მანქანების თითქმის ნახევარი სწორედ პროტოტიპებია.

მზარდმა პოპულარობამ ამ კლასზე გული ბევრ ავტომწარმოებელს მოუბრუნა და გასაკვირი იქნებოდა, რომ "პორშე" დიდხანს დარჩენილიყო განზე. მითუმეტეს მაშინ, როცა კულუარებში სულ უფრო ხშრად ლაპარაკობენ იმაზე, რომ მალე ლე მანის რბოლა სწორედ პროტოტიპებს დაეთმობა, როგორც ეს 50-80-იან წლებში იყო.

ჰოდა, სწორედ თავისი ამერიკული შტოს, "პორშე ქარზ ნორთ ამერიკასა" და მისივე სპორტული დივიზიონის, "პორშე მოტორსპორტ ნორთ ამერიკას" თაოსნობით, გერმანულმა კომპანიამ მოამზადა კლას "ლე მანს პროტოტიპ 2-ის" (LMP2) ტექნიკური რეგლამენტის შესაფერისი სარბოლი პროტოტიპი, რომელმაც უკვე გაიარა წინასწარი ტესტები და ამ სეზონის ბოლოს, "ამერიკელ ლე მანს სერის" ბოლო ორ ეტაპზეც მიიღებს მონაწილეობას.

კომპანიის განცხადებით, ავტომობილის შასი, ძრავი, ტრანსმისია და თითქმის ყველა სისტემა სრულიად ახალი და თანაც, უშუალოდ "პორშეს" კონსტრუქტორთა მიერა დამზადებული. ამით გერმანული კომპანია თითქმის იმეორებს უშუალო კონკურენტის, იტალიური "ფერარის" "ოქროს წესს", რომელიც ავტომობილის მთლიანად საკუთარი ძალებით დამზადებას ითვალისწინებს. ოღონდ, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მრანელოელები მცირე სისტემების შექმნას (მუხრუჭები, გადაბმულობა, ელექტრონიკა და სხვა) "ფიატის" ჯგუფში შემავალ (თავადაც ამ ჯგუფის კუთვნილებაში არიან) მონათესავე კომპანიებს ანდობენ.

ახალი სარბოლი ავტომობილის გულია V8 კონფიგურაციის ძრავი, რომლის ცილინდრების რიგებს შორისაც გაყრის კუთხე 90 გრადუსია (ოპტიმალური კუთხე სარბოლი ავტომობილების ძრავებისათვის, რომელიც განაპირობებს მის კომპაქტურობას), მუშა მოცულობა კი 3.4 ლიტრი. იმის გათვალისწინებით, რომ ამ კლასში ძრავის ჰაერის ამღების განივკვეთის ფართობი ხელოვნურადაა შეზღუდული, ძრავის მიერ გამომუშავებული 480 ცხენის ძალა სოლიდურ სიმძლავრედ უნდა ჩაითვალოს. ამ სიმძლავრეს ძრავი მუხლა ლილვის 10 100 ბრ/წთ-ზე ავითარებს.

აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ლე მანის რბოლის თავისებურების გათვალისწინებით, ძრავისთვის წაყენებული მთავარი მოთხოვნა სიმძლავრესთან ერთად, გამძლეობაცაა. აქედან გამომდინარე, კონსტრუქტორებმა საწყის პარამეტრებად სწორედ აღნიშნული სიმძლავრე და ბრუნთა რცხვი აირჩიეს, რაც სრულად შეესაბამება ამ კლასის პროტოტიპების შესაბამის პარამეტრებს.

ძრავთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი სეკვენტალური, ნახევრად ავტომატური, მუდმივი მოდების მქონე გადაცემათა კოლოფი. ის ძრავს სამდისკოიანი გადაბმის ქუროს მეშვეობით უკავშირდება. მგვარი ქურო მაქსიმალურად მოკლე დროში მაბრუნი მომენტის ეფექტურ გადაცემას უზრუნველყოფს. კოლოფის საფეხურების ცვლა საჭის რგოლის უკან განლაგებული მცირე ნიჩბების მეშვეობით ხორციელდება. ძრავი და კოლოფი შასისთან ხზისტადაა შეერთებული და მასთან ერთად, მზიდ სისტემას ქმნის, რაც ორივესგან დიდ სიხისტეს მოითხოვს.

თანამედროვე სარბოლი ავტომობილების მსგავსად, "პორშე LMP2"-ის მონოკოკური შასიც კარბონისა და კევლარის ბოჭკოების კომპოზიტური მასალისგანაა დამზადებული. ამ მასალების წყალობით, შასის კონსტრუქცია მეტად მსუბუქი, მტკიცე და ხისტია. ავტომობილის სრული მასა მხოლოდ 750 კილოგრამია, რაც შეესაბამება LMP2 კლასს. "პორშე" ამაყობს იმით, რომ წონის ლიმიტს კონსტრუქტორებმა ეგზოტიკური მასალების გამოუყენებლად, კომპიუტერული პროექტირების უახლესი პროგრამების გამოყენებით მიაღწიეს.

წასის და ბორბლებს ერთმანეთთან აკავშირებს ორკაპა ჩანგლის ტიპის წევები, რომლებიც შასისთან ბურთულა სახსრებითაა დაკავშირებული. ავტომობილის განივი და ვერტიკალური რხევების ჩაქრობას კი უზრუნველყოფს ელექტრონიკით კონტროლირებადი დრეკადი ელემენტები, რომლებშიც მთავარ როლს პნევმოამორტიზატორები თამაშობს.

მუხრუჭების სისტემაში გამოყენებულია ორცილინდრიანი დამჭერები, რომლებშიც განლაგებული, კერამიკული და პოზიციური მასალებისგან დამზადებული ხუნდებიც "იჭერენ" 380 მილიმეტრიან წინა და 355 მილიმეტრიან უკანა დისკოებს, რომლებიც ასევე კარბონისა და კერამიკული მასალების კომპოზიტისგანაა დამზადებული. ერთადერთი გარე მომწოდებელი, ურომლისოდაც ეს პროექტი ვერ განხორციელდებოდა, არის საბურავების მწარმოებელი ფრანგული კომპანია "მიშლენი", რომელმაც მონაწილეობა მიიღო ავტომობილის შექმნისა და სრულყოფის პროცესში.

ავტომობლი აშშ-ის ლე მანის სერიის რბოლებში მონაწილეობისთვისაა განკუთვნილი. მერმის ამ ბოლიდებით "პენსკე რეისინგის" გუნდი იასპარეზებს, შემდეგ კი მომხმარებელთა რაოდენობა გაიზრდება. რაც შეეხება მიმდინარე სეზონს, "პენსკე" ორ-ორ "პორშე LMP2"-ს გამოიყვანს "როუდ ატლანტასა" (ჯორჯია) და ლაგუნა სეკას (კალიფორნია) რბოლებში.

**გვერდი მოამზადა**
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

# ეძღვნება „კატრინას"

ამერიკელი მომღერლები ქარიშხლისგან დაზარალებულებისთვის იმღერებენ



1985 წელს გვალვისა და შიმშილისგან განადგურებულ აფრიკას ამერიკელი მომღერლების ჯგუფმა შემდგომში მსოფლიო ჰიტად ქცეული We Are The World უმღერეს. ამ აქციის ორგანიზატორი პოპის მეფე, ჯერ კიდევ შეუბღალავი იმიჯის მქონე მაიკლ ჯექსონი იყო. მას შემდეგ 20 წელი გავიდა და ბავშვების გარყვნაში დადანაშაულებულმა, თუმცა უკვე გამართლებულმა ჯექსონმა, საკუთარი სახელის რეაბილიტაციისთვის ახალი პროექტი წამოიწყო - ქარიშხალ "კატრინასგან" განადგურებული ახალორლეანელებისთვის ახალი სიმღერა შექმნა.

მაიკლ ჯექსონის მოწოდებას ამერიკის ყველაზე ცნობილი სხვადასხვა ჟანრის მომღერლები გამოეხმაურნენ. მათ შორის არიან: ლენი კრავიცი, სნუპ დოგი, მისი ელიოტი, მერაია კერი, ლორენ ჰილი და ჯეიმს ბრაუნი. სიმღერას სახელწოდებით From the Bottom of My Heart ("მთელი გულით") მომღერლები ორ კვირაში ჩაწერენ, შემდეგ კი ალბომი მუსიკალურ მაღაზიებშიც გამოჩნდება.

ალბომს იმ სტუდიაში ჩაწერენ, რომელიც ბაჰრეინის ემირის შვილს ეკუთვნის. სწორედ ამ ქვეყანაში ცხოვრობს მაიკლ ჯექსონი მას შემდეგ, რაც მისი სკანდალური სასამართლო პროცესი დასრულდა.

მომღერლების გარდა "კატრინათი" მწერლებიც დაინტერესდნენ. ამერიკელი ისტორიკოსი და მრავალი ბესტსელერის ავტორი დუგლას ბრინკლი მალე ამ კატასტროფის შესახებ წიგნის წერას დაიწყებს. ნაწარმოები The Great Deluge ("დიდი წყალდიდობა") მომავალი წლის დასაწყისში გამოვა. ავტორის განცხადებით, ახალ ნაწარმოებში იმ კრიზისს გააანალიზებს და განიხილავს, რომელიც ახალ ორლეანს ტრაგედიის შემდეგ ელოდება.

ბრინკლი ახალი ორლეანის უნივერსიტეტის პროფესორია და კატასტროფის დროს ქალაქში იმყოფებოდა. "ქარიშხალი "კატრინა" ამერიკის ისტორიაში ყველაზე საშინელი ბუნებრივი კატასტროფა იყო. ჩვენ ვალდებული ვართ, გამოვიკვლიოთ და გავიგოთ, რა შეცდომა დავუშვით", - ამბობს მწერალი.

ბრინკლიმ უკვე შექმნა სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელიც წიგნისთვის მასალის მოპოვებაში დაეხმარება. იგი ინტერვიუებს აიღებს შტატის მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლებისგან.

ჯერჯერობით არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, წიგნის რეალიზაციიდან შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება თუ არა.

# „ბითლზმა" ყველა დროის საუკეთესო ბრიტანული სიმღერა შექმნა

გავლენიანი ბრიტანული ჟურნალ Q-ს გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ჯგუფ "ბითლზის" 1967 წლის კომპოზიაცია A Day In The Life ყველა დროის საუკეთესო სიმღერაა.

მეორე ადგილი გამოკითხვაში 1967 წელს ჩაწერილმა ჯგუფ "კინქსის" კომპოზიაციამ Waterloo Sunset-მა დაიკავა. მესამე ადგილზე კი ჯგუფ "ოაზისის" სიმღერა Wonderwall გავიდა. ჟურნალის ვერსიით, საუკეთესო ბრიტანული სიმღერების ათეულში შევიდა ჯგუფ "სექს პისტოლზის" God Save The Queen (მეოთხე ადგილი) და "ქუინის" Bohemian Rhapsody (მეხუთე ადგილი).

რობი უილიამსის სიმღერა Angels"მა მეშვიდე ადგილი დაიკავა. ათეული დააგვირგვინა ჯგუფ Massive Attack-ის სიმღერამ Unfinished Sympathy.



**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს 9,5 საშტატო ერთეულზე**

**კონკურსის პირობებია:**

ტრადიციული საბიბლიოთეკო საქმის ცოდნა (აღწერა, კლასიფიკაცია, კატალოგიზაცია, ანოტაცია და ა.შ.) და თანამედროვე ელექტრონული რესურსების გამოყენება;

ერთერთი უცხო ენის ცოდნა;

კომპიუტერის საოფისე პროგრამებისა და ინტერნეტის ცოდნა.

მსურველებმა საბუთები წარმოადგინონ უნივერსიტეტის კადრების განყოფილებაში:

ავტობიოგრაფია

უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი

უცხო ენისა და კომპიუტერის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი

ამონაწერი შრომის წიგნაკიდან

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

**საკონტაქტო ტელეფონები:**
**22 15 60 , 23 22 32**
**საბუთები წარმოადგინეთ ა.წ. პირველ ნოემბრამდე.**

**სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მიღებას მოსამზადებლად:სწავლის სრული კურსის ღირებულებაა 1000 ლარი.**

**მისამართი:ილია ჭავჭავაძის გამზ.32. ტელ.22 -34-26**

# ყურადღება!

რესტორანი „დაკარგული სამოთხე"

რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.

**ტელ. 999-207**

# მერი პოპინსი

1997 წლიდან

- ძიძები
- აღმზრდელები
- დამლაგებლები
- მზარეულები
- მოხუცებისა და ავადმყოფების მომვლელები

ვებ გვერდი: www.marypoppins.ge

ტელ: 44 34 60, 877 44 34 50

უცხოელი მეგობრები გყავთ?
რა შეკითხვები აღარ უჩნდებათ მათ საქართველოს შესახებ!
ლაკონიური, შუქჩრდილიანი და მართალი პასუხები ამ კითხვებზე ახალგაზრდა რეჟისორის **ლელა ბერიძის** ფილმში
**"კავკასიური ცარცის წრე მეგობრებისთვის"**
7 ოქტომბრიდან კინოთეატრ "ამირანის" მცირე დარბაზში (19.30)
გაიხსენე თავად! აჩვენე მეგობრებსაც!




# ყველაზე ჭკვიანი

შენ სწავლობ სკოლაში და ხარ 11 ან 12 წლის ?
ხარ ჭკვიანი და გამოირჩევი სწრაფი აზროვნებით?
არ გეშინია გამოსცადო შენი ინტელექტუალური შესაძლებლობები?
მაშინ, შენ შეგიძლია გახდე გადაცემა "ყველაზე ჭკვიანის" მონაწილე !

ამისათვის საჭიროა:

შეავსო ანკეტის ფორმა მშობელთან ერთად.

მოგვაწოდო ინფორმაცია შენს შესახებ, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქართველოს ყველაზე შორეულ კუთხეში ცხოვრობ.

ჩვენ ვეძებთ ყველაზე ჭკვიან ბავშვებს !

მონაწილის ანკეტა (შეავსე ყველა გრაფა)

სახელი, გვარი, მამის სახელი ---------------------------------------------

მისამართი ---------------------------------------------

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------------------------------------

დაბადების თარიღი ---------------------------------------------

სკოლა ---------------------------------------------

კლასი ---------------------------------------------

დამატებითი საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ---------------------------------------------

მშობლის ან მეურვის სახელი, გვარი ---------------------------------------------

მშობლის ან მეურვის ხელმოწერა ---------------------------------------------

ყურადღება: კონკურსანტი ბავშვის ასაკი არ უნდა იყოს 2005 წლის 1 სექტემბრისათვის 11 წელზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 12-ს. ანკეტა გამოაგზავნეთ მხოლოდ ერთ ეგზემპლარად.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოგვიტანეთ მისამართზე სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ვაჟა ფშაველას 45, 300077 თბილისი

ბ ლ ა ნ კ ი   უ ფ ა ს ო ა

